შეაიურული ინტრუზიული კომპლექსები სივრცობრივად ყველგან დაკავშირებულია ბაიოსური პორფირიტული სერიის გამოსავლებთან. ბაიოსურში უდიდესი მოცულობის ბაზალტური მასის შემოჭრამ სრულიად შეცვალა მიწის ქერქში ტემპერატურული და ფლუიდური რეაქტით და მოამზადა პირობები კრისტალური ფუნდამენტის ლინიისათვის. თვით ბაიოსური ვულკანოგენების აგებულებაში მუსკოვიტები ძლიერ მცირე რაოდენობით მონაწილეობს. ქერქიდან მუსკოვიტები გამოდნობას ბიძგი მისცა გაბროულმა მაგმამ, რომელიც შემოიჭრა ბაიოსური ვულკანური მოქმედების ბოლო ეტაპზე ან უშეალოდ ვულკანიზმის დამთავრების შემდეგ. აღწერილ მოვლენას ჩვენ გრანიტული მაგმის წარმოშობის ორსაფერიანი თერმული მოდელი ვუწოდეთ. ამ მოდელის მიხედვით აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამი ფაქტორის ერთობლიობა: 1. სიაღური კრისტალური ქერქის არსებობა; 2. ბაიოსურში მდლავრი ვულკანური აქტივობა; 3. ვულკანიზმის უშუალოდ მომყოლი გაბროული მაგმის შემოჭრა (Дудаури и др., 2004).

შეაიურულ გრანიტოდებში  $^{87}\text{Sr}/^{86}\text{Sr} \approx 0,705 - 0,706$ . ეს მნიშვნელობები მანტიურის და ქერქულის შორისაა. უდავოა, რომ შეაიურული გრანიტული მაგმა პალინგენური წარმოშობისაა და არ წარმოადგენს ფუძე მაგმის დიფერენციაციის პროდუქტს. სტრონციუმის დაბალი იზოტოპური შეფარდება შეიძლება განპირობებული იყოს ერთის მხრივ სუბსტრატის ქანებში მისი დაბალი შეფარდებით და მეორეს მხრივ მანტიური ფლუიდების ზემოქმედებით მდნარის წარმოშობის ზონაზე.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ შეაიურული (ბათური) გრანიტოდები წარმოიშვა მუსკოვიტის კრისტალიზაციის შედეგად. ინტრუზივები ყალიბდებოდა პიპაბისურ პირობებში, 3 კმ-ზე ნაკლებ სიღრმეზე, რადგან ისინი კვეთს ბაიოსურ პორფირიტულ სერიას, რომლის სიმძლავრე 3 კმ-ს არ აღემატება. გრანიტული მაგმის შემოჭრა მოხდა შექმნაში პირობებში, რაც გამოწვეული იყო ბათური ტექტონიკური ფაზის ზემოქმედებით. ამ მხრივ შეაიურული ინტრუზივები სინოროგენულ სხეულებს წარმოადგენს.

ბაიოსური ვულკანოგენებისა და ინტრუზიული სხეულების სივრცობრივი და გენეტური კავშირის გამო ჩვენ გამოვყავით შეაიურული ვულკანურ-პლუტონური ასოციაცია.

## გვიანცარცული ინტრუზიული მაგმატიზმი

### სამხრეთ ქაგდახის მთათა შუეთი

ამ რეგიონში ფართო გაგრცელებით სარგებლობს გვიანცარცული ასაკის ტექნიტები. მათი გამოსავლები ძირითადად დასავლეთ საქართველოში გვხვდება, სადაც ისინი დაკავშირებულია აზევების ცენტრალური ზონის ოკრიბა-ხრეიოთის ქვეზონასთან (И. Гамкрелиძე, 2000). ეს ინტრუზივებია ქურსები, ცუცხვათი, ოფურჩეთი (ონეგი), ბანოჯა, კალოუბანი, კუდოტი და სხვა – საქართველოს ბელტის ფარგლებში და ნიკორწმინდა და ხონჭიორი – რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის სამხრეთ ფრთაში. ტექნიტების სხეული გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიც, მდინარე იორის ხეობაში, მესტია-თიანეთის ნაოჭა-ფლიშური ზონის ჟინ-

ვალ-გომბორის ქვეზონაში (И. Гамкрелидзе, 2000). ტექნიტების სხეულები შრემარღვებით არის წარმოდგენილი.


კურსების სხეული (100 მ სიმძლავრის) თანხმობითაა განლაგებული ბათურ თიხაფიქ-ლებში. ცეცხლათის სხეული (100-120 მ) გაიდევნება 6.5 კმ-ზე და დაკავშირებულია ქვედაბა-თურ ფიქლებთან. ოფურჩხეთის ტექნიტები (80-90 მ) ზედა ბაიოსისა და ბათურის საზღ-ვარზეა განლაგებული და 4-5 კმ-ზე გაიდევნება. ბანოჯას სხეული (40-50 მ) ქვედაცარცულ ნალექებშია მოქცეული და 2 კმ-მდე გაიდევნება. შემცველ ქანებში აღინიშნება ტექნიტების 10 სმ-დან 2 მ-მდე აპოფიზები. კალოუბის სხეული (30-35 მ) გაშიშვლებულია ზედაბა-თურ ნალექებში, კუდოტის (35-40 მ) – ბაიოსის ფიქლებსა და ბათურ ქვიშაქვებს შორის (Схиртладзе, 1942<sub>1</sub>, 1943). ნიკორწმინდის ტექნიტის შრემარღვი დაკავშირებულია ალბურ მერგელებთან და მერგელოვან კირქვებთან. ხონჭიორის ტექნიტი (14გ) გაშიშვლებულია ქვედაცარცულ კირქვებში.

იორის ტექნიტი მდ. იორის სეობაში ზედაცარცულ (ზედასენომან-ტურონი) ნალექებ-შია გაშიშვლებული. იგი სინკლინის ორივე ფრთაში გამოდის – ჩდილო ფრთაში სიმძლავ-რე 56 მ-ია, სამხრეთში – 40-47 მ. ძარღვი არაერთგვაროვანია. ჩრდილო ფრთაში მისი ზედა კიდიდან ქვევით გამოიყოფა ქანთა შემდეგი სახესხვაობები: მანდელშტაინური ბაზალტი; ბარკევიკიტ-პიროქსენიანი ტექნიტი; ბარკევიკიტიანი ტექნიტი; ნეფლინიან-პიროქსენიანი ტექნიტი; ბარკევიკიტ-პიროქსენიანი ტექნიტი ბიოტიტით; ბარკევიკიტ-პიროქსენიან-ბიოტი-ტიანი ტექნიტი თლივინით (Герасимов, 1931).


დასავლეთ საქართველოს ტექნიტები და მათი შემცველი ქანები იკვეთება ლეიკო-კრატული და მელანოკრატული დარღვებით. ლეიკომარღვები წამოდგენილია ფელდშპატო-იდიანი სიენიტებით, ხოლო მელანოკრატული – ესენიტებით, კამპტონიტებითა და მონტიკი-ტებით (Схиртладзе, 1942<sub>2</sub>, 1948).

ტექნიტები მუქი-ნაცრისფერი, თითქმის შავი, ზოგჯერ მომწვანო ან ღია-ნაცრისფერი წვრილ-, საშუალო- ან მსხვილკრისტალური, ხშირად ფორმოვანი ქანებია. ჩვეულებრივ შრე-ძარღვები პერიფერიებში უფრო წვრილკრისტალური და მუქია. ტექნიტების სტრუქტურა თფიტური ან პოიკლორფიტურია, ზოგჯერ პორფირული. ქანძაშნი მინერალებია პლაგიო-კლაზი, მონკლინური პიროქსენი, კალიშატი, ანალციმი, ბარკევიკიტი (ზოგი სხეულის პერიფერულ ნაწილებში), თლივინი (ძირითად ცენტრალურ ნაწილებში და არა ყველა ინტრუზივში). ცენტრალურ ნაწილებიდან გვხვდება ნატროლიტი და ტომსონიტი.

ქიმიური შედგენილობით აღნიშნული ქანები ტუტე და სუბტუტე რიგის (სურ. 4) კა-ლიუმ-ნატრიუმიანი, იშვიათად ნატრიუმიანი სერიის ქანებია (სურ. 5).



სურ. 4. ტექნიტების განლაგება კლასიფიკაციურ დიაგრამაზე.  
1. ტექნიტები; 2. ფელდშპატოიდიანი სიენიტები.



სურ. 5. ტეშენიტების განლაგება  $\text{Na}_2\text{O}$ - $\text{K}_2\text{O}$  დიაგრამაზე

I-III სერიები: I – კალიუმიანი; II – კალიუმ-ნატრიუმიანი; III – ნატრიუმიანი.  
1. ტეშენიტები; 2. ფელდშპატოიდიანი სიენიტები.

ტეშენიტები კვთს მეზოზოურ ნალექებს დაწყებული ზედა ბათოსიდან ქვედა ცარცის ჩათვლით, ხოლო იორის ტეშენიტი – ზედა სენომან-ტურონულსაც. მკვლევარები ტეშენიტების ასაკის შესახებ სხვადასხვა აზრს გამოჰქვამდნენ – თვლილნებ ცარცულის შემდგომად, ცარცულად, მესამეულად და სხვა. ტეშენიტების ასაკის დასადგენად გამოყენებულ იქნა იზოტოპური დათარიღების K-Ar მეთოდი (Дудаури и др., 1989; Тогонидзе, Дудаури, 1982). დათარიღებულ იქნა ტეშენიტების თითქმის ყველა გამოსავალი. 11 ანალიზის საშუალო მნიშვნელობა  $90 \pm 5$  მლნ.წ.-ია. მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა დასავლეთ საქართველოს, რაჭისა და იორის ტეშენიტების სინქრონულობა და მათი გვიანცარცული ასაკი.

### მცირე კაგანიონის ნაოჭა სისტემა

ამ რეგიონის ართვინ-ბოლნისის ზონაში (И. Гамкрелидзе, 2000), ლოქისა და ხრამის კრისტალურ მასივებს შუა, ფართოდაა გავრცელებული ზედაცარცული სუბფულკანური ინტრუზივები, წარმოდგენილი ძარღვებით, დაიკებითა და შტოკისებული სხეულებით. ისინი სივრცობრივად დაკავშირებულია აქ არსებულ ფართო სინკლინურ სტრუქტურაში გავრცელებულ ზედაცარცულ ვულკანოგენურ-დანალექ წყებასთან. ინტრუზივებს შორის მინერალური შედეგენილობის მიხედვით გამოიყოფა პიროქსენიანი კვარციანი პორფირიტები, ალბიტოფირები, კვარციანი ალბიტოფირები და ბიოტიტიანი კვარციანი პორფირიტები. მცირე რაოდენობით გვხვდება აგრეთვე ფუძე ძარღვებიც (დუდაური, 1960, 1962, 1967).

პიროქსენიანი კვარციანი პორფირიტები დაკავშირებულია სენომანურ ვულკანოგენურ-კარბონატულ წყებასთან. ყველაზე დიდი სხეული – ლოქის დაიკა (სიგრძე 15 კმ., მაქს. სიმდლავრე 1600 მ) მდ. ფოლადაურის მარცხნა ფერდიდან მდ. დამბლუდის ხეობამდეა გაშიშვლებული. პიროქსენიანი კვარციანი პორფირიტის შტოკისებული სხეულები და დაიკები აღინიშნება მდ. ფორთფორთისა და მოლუდლუს წყალგამყოფ ქედზე და სოფ. სამწვერისთან. სხეულებს ახასიათებთ პარალელური ან სვეტური განწევრება.

პიროქსენიანი კვარციანი პორფირიტები ნაცრისფერი, მომწვანო- ან მოყავისფრო ნაცრისფერი მასიური ქანებია. სტრუქტურა პორფირული. ძირითადი მასა სრულკრისტალური, სფეროლითური ან მიკროპეგმატიტური. პორფირული გამონაფოფები წარმოდგენილია პლაგიოკლაზით და მონოკლინური პიროქსენით, იშვიათად კვარცით, რომელიც უდავოდ ინტრატელურული წარმოშობისაა. ქანი ცალკეულ სხეულში და სხეულის უბნებში სხვადასხვა ხარისხითაა გაკვარცებული. ზოგან ძირითად მასაში პლაგიოკლაზის ლეისტებს შორის

გვხვდება პატარა მარცვლების სახით, ზოგჯერ კი მიკროპეგმატიტურ სტრუქტურებს წარმოშობს. მეორადი მინერალებიდან გვხვდება დელესიტი, კალციტი, ეპიდოტი.

ალბიტოფირების ძარღვები და შტოკისბური სხეულები ზედაცარცული უკლეანური სერიის მთელ ფართობზე გვხვდება. ძარღვები განედური მიმართებისაა, ჩრდილო – ჩრდილო-დასავლური დაქანებით,  $<40-45^{\circ}$ . სიმძლავრე – ერთეულიდან 120 მ-დე, მიმართებაზე გავრცელება – რამდენიმე ათეული მეტრიდან 3-4 კმ-დე. შტოკისებური სხეულების დიამეტრი 30-50 მ-ის ფარგლებშია. ქანებისთვის დამახასიათებელია სვეტისებური განწევრება.

ალბიტოფირები ზოგჯერ მოყვითალო ან მოვარდისფრო მუქი-ნაცრისფერი ქანებია. სტრუქტურა პორფირული, სრულკრისტალური ან ვიტროფირული სტრუქტურის ძირითადი მასით. პორფირული გამონაყოფები წარმოდგენილია პლაგიოკლაზით. ზოგან გვხვდება ბიოტიტის ხარჯზე წარმოშობილი ქლორიტის ქერცლები და მათთან დაკავშირებული მადნეულის მარცვლები. პორფირული გამონაყოფები ქანის ~7% შეადგენს. ვიტროფირული მასა წარმოდგენილია მწვანე ფერის მუვე ვულკანური მინით. სრულკრისტალურ ძირითად მასას ზოგჯერ სფეროლითური სტრუქტურა აქვს. სფეროლითური წარმოდგენილია პლაგიოკლაზით, მათ შორის სივრცე შევსებულია კვარცით, ქლორიტით და მადნეულით.

კვარციანი ალბიტოფირების ძარღვები და შტოკისბური სხეულები ფართოდაა გავრცელებული ზედაცარცულ ვულკანურ სერიაში. დაიკების მიმართება ჩრდილო-აღმოსავლურია, სიმძლავრე – რამდენიმე ათეულიდან 150 მ-დე, იშვიათად 250 მ-დე, მიმართებაზე გავრცელება – 0,5-2 კმ. შტოკების დიამეტრი რამდენიმე ათეულიდან 500 მ-დეა. სოფ. სარაზლოს აღმოსავლეთით, მდ. შულავერის და სახსაგანის წყალგამყოფ ქედზე გაშიშვლებულია კვარციანი ალბიტოფირის მდლავრი (4,5კმ<sup>2</sup>) სხეული.

კვარციანი ალბიტოფირები ნაცრისფერი, ხორცისფერი, ზოგჯერ მოყვითალო ფერის მასიური ქანებია, პლაგიოკლაზის და ბიპირამიდალური კვარცის კარგად შესამჩნევი პორფირული გამონაყოფებით. სტრუქტურა პორფირული, ძირითადი მასა – მიკროკრისტალური, სფეროლითური ან ვიტროფირული. პორფირული გამონაყოფები წარმოდგენილია პლაგიოკლაზით, კვარცით და ზოგჯერ შეცვლილი პიროქსენით. მათი რაოდენობა ქანის 35-37% შეადგენს. ძირითადი მასა წარმოდგენილია კვარცით და პლაგიოკლაზით. გვხვდება აგრეთვე ქლორიტი, ბიოტიტი და აქცესორები – აპატიტი, ცირკონი და მადნეულები.

ბიოტიტიანი კვარციანი პორფირიტები მცირე გავრცელებით სარგებლობს. ყველაზე დიდი შტოკისებური სხეულის (500 მ × 300 მ) გამოსავალი ქ. ბოლნისთანაა, დიდი დაიკის – სოფ. აკაურთასონა (სიმძლავრე 40-50 მ. გაიდევნება 2 კმ-ზე).

ბიოტიტიანი კვარციანი პორფირიტები ნაცრისფერი, ზოგჯერ მოწითალო-ნაცრისფერი ქანებია, მაკროსკოპულად კარგად შესამჩნევი პლაგიოკლაზის, ბიპირამიდული კვარცისა და ბიოტიტის პორფირული გამონაყოფებით. მათი რაოდენობა ქანის მასის 30-32% შეადგენს. ძირითადი მასა ვიტროფირული ან სფეროლითური სტრუქტურისაა. სფეროლითური წარმოდგენილია პლაგიოკლაზით, რომელშიც ზოგჯერ ბიოტიტის ქერცლებიც გვხვდება. ორივე ტიპის ძირითად მასაში გვხვდება კვარცის მარცვლები და დაგროვებები, ზოგჯერ ძარღვაკებიც. მასა ხშირად გაეღენთილია პემატიტით, რომელიც აგრეთვე წარმოშობს დაგროვებებს და ძარღვაკებს. აქცესორებიდან გვხვდება აპატიტი, ცირკონი და მადნეულები.

ფუძე ძარღვული ქანები მუვე სუბვულკანური სხეულებისგან განსხვავებით მცირე გავრცელებით სარგებლობს. მათში გამოიყოფა მიკროდიაბაზები, დიაბაზ-პორფირიტები და პორფირიტები. მიკროდიაბაზები წარმოდგენილია ავგიტ-ლაბრადორიანი სახესხვაობით. ქანი აგებულია პლაგიოკლაზის ლეიისტებით და მათ შორის განლაგებული პიროქსენის ხარჯზე წარმოშობილი ქლორიტისა და მადნეული მინერალის მარცვლებით. გვხვდება პიროქსენის რელიქტებიც. დიაბაზ-პორფირიტები შედარებით ფართოდაა გავრცელებული. მოწიგნო-ნაცრისფერი მჭიდრო ქანებია, რომლის მუქ ფონზე კარგად ჩანს პლაგიოკლაზის ოქთონი პორფირული გამონაყოფები. ისინი ქანის მასის 30-40% შეადგენს. ძირითად მასას ოფიტური სტრუქტურა აქვს. შედგება პლაგიოკლაზის ლეიისტებისა და მათ შორის განლაგებული მონოკლინური პიროქსენის და მადნეულის მარცვლებისა და ქლორიტის ქერცლებისგან. პორფირიტები წარმოდგენილია ავგიტ-ლაბრადორიანი სახესხვაობით. შავი ფერის ქანებია. მაკროსკოპულად ჩანს პლაგიოკლაზის და მუქი მინერალის პორფირული გამონაყოფები. მათი რაოდენობა ქანის ~30% შეადგენს. ძირითადი მასა მიკროდიაბაზურია. აგებულია პლაგიოკლაზის ლეიისტებით და მათ შორის განლაგებული პიროქსენის და მადნეულის მარცვლებით და ქლორიტის ქერცლებით.

მევე სუბვულკანური სხეულები წარმოდგენილია ნორმალური რიგის, იშვიათად სუბტენტური რიგის ქანებით. პიროქსენიანი კვარციანი პორფირიტები კალიუმ-ნატრიუმიანია, ალბიტოფირებში გვხვდება როგორც კალიუმ-ნატრიუმიანი, ისე ნატრიუმიანი სერიის ქანები, ხოლო კვარციან ალბიტოფირებში ძირითადად კალიუმ-ნატრიუმიანი, იშვიათად ნატრიუმიანი სერიის ქანებია.

დადგენილ იქნა სხვადასხვა შედგენილობის სუბვულკანური სხეულების ურთიერთდამყიდებულება (Дудаури, 1965). პიროქსენიანი კვარციანი პორფირიტის ლოქის დაიკა იკვეთება ალბიტოფირის დაიკებით, ხოლო ალბიტოფირები (ბერდიკის ციხის აღმ. და სხვ) – კვარციანი ალბიტოფირის დაიკებით. ე.ი. სხეულების შემოჭრა შემდგენ თანამიმდევრობით მოხდა: პიროქსენიანი კვარციანი პორფირიტები, ალბიტოფირები, კვარციანი ალბიტოფირები. ბიოტიტიანი კვარციანი პორფირიტები, ფაუნისტურად სანტონურად დათარიდებულ ნალექებში (Гамბашидзе, 1958) მოქცეული ანალოგიური შედგენილობის მქონე პიროკლასტოლითების მიხედვით, სანტონურად თარიღდება. რაც შეეხება ფუძე ძარღვებს, ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტები სივრცობრივად დაკავშირებულია სანტონურად დათარიდებულ ფუძე ვულკანიტებთან და ბუნებრივია დავუშვათ მათი სანტონური ასაკი. სოფ. სარაჩლოსთან დიაბაზ-პორფირიტის დაიკა კვეთს კვარციან ალბიტოფირს, რაც ფუძე დაიკის უფრო ახალგაზრდა ასაკზე მიუთითებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში გვიანცარცულულში მძლავრ ვულკანურ აქტივობას მოყვება დროსა და სივრცეში დაკავშირებული სუბვულკანური სხეულების მთელი რიგი. ეს წარმონაქმნები ქმნის ვულკანურ-სუბვულკანურ ასოციაციას.

### გვიანცარცული ტუტე მაგმატიზმის განვითარების თავისებურებანი

ტეშენიტების ჰიპაბისური ინტრუზივები ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. ერთი სხეული ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოშიც, მდ. იორის ხეობაში, დაბა თიანეთის სამხრეთით. ეს სხეულები ძირითად სხვადასხვა სიმძლავრის ძარღვებს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ დედამიწის ქერქის აგებულებაში ტუტე ქანები მეტად დამორჩილებულ როლს თამაშობს. ეს ქანები დაკავშირებულია ბაქნების პერიფერიებთან და კონსოლიდირებულ ნაოჭა სისტემებთან. მათი გამოვლინება გვხვდება აგრეთვე კონტინენტურ რიზტულ სტრუქტურებში და კონტინენტის მახლობელ კუნძულებზე.

დასავლეთ საქართველოს ტეშენიტები დაკავშირებულია საქართველოს ბელტის მტკიცე სუბსტრატთან და აგრეთვე ჩრდილოეთით მასთან მიმდებარე რაჭა-ლეჩხეუმის სინკლინურ სტრუქტურასთან.

ტუტე მაგმატიზმის განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს დედამიწის ქერქის დესტრუქცია, მანტიამდე ჩაღწეული სიღრმული რდვევების გაჩენა, რომლებიც ასრულებს მაგმის ამომყვანი არხის როლს. გვიანცარცულულში საქართველოს ბელტში ასეთ არხს წარმოადგენდა სუბგანედური სიღრმული რდვევა. იორის ტეშენიტიც აგრეთვე დაკავშირებულია სიღრმულ ღრვევასთან, რომელიც გაიდევნება ავადხარიდან საბათლომდე (Иоселиани и др., 1989).

დასავლეთ საქართველოში ფართო გავრცელება აქს ზედაცარცულ (ტურონ-სანტონურ) ტუტე შედგენილობის ვულკანოგენურ წყებას, რომელიც მთავარის სახელწოდებით არის ცნობილი (Дзоцениძე, 1948; Гугუშვილი, 1968). ეს წყება ერთმანეთისგან იზოლირებული გამოსავლების სახით გავრცელებულია საქართველოს ბელტის დასავლეთ ნაწილში (ქუთაისი-წყალტუბოს რაიონი). ცნობილია აგრეთვე ცალკეული გამოსავლები მდ. წყალწიოტელას ხეობაში სოფ. გორდისა და საჩიქობაოს მახლობლად და რაჭა-ლეჩხეუმის სამხრეთ ფრთაში. არსებული გამოსავლების საერთო ფართობი 187 კმ<sup>2</sup> შეადგენს (Гугუშვილი, 1968). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ წყებას ვულკანური მოქმედების დამთვრების დროს ეკავა მნიშვნელოვნად უფრო დიდი ფართობი. მთავარის წყება აგებულია ტუტე ქანების სრული სერიით. ეს არის: პიკრიტ-ბაზალტები, ანალციმ-ოლივინიანი ბაზალტები, ტრაქიბაზალტები, ტრაქიანდეზიტები, ტრაქიტები და ფონოლიტები. წყების სიმძლავრე 300-800 მ-ის ფარგლებში მერყეობს (Дзоцениძე, 1948; Гугუშვილი, 1968).

მთავარის წყებისა და ტეშენიტების მინერალური და ქიმიური მსგავსების გამო გამოსტმული იყო მოსაზრება ამ წარმონაქმნების გენეტური კავშირის შესახებ (Дзоцениძე, 1948; Заридзе, 1947). მაგრამ იმ დროს საიმედო მონაცემები ტეშენიტების ასაკის შესახებ არ

არსებობდა. შემდგომში ჩვენმა მონაცემებმა დაადასტურა ტეჭენიტების გვიანცარცული ასაკი (Дудаури и др., 1989). ჩვენს ხელო არსებული სტრონციუმის იზოტოპური შეფარდების მნიშვნელობა ტეჭენიტების აპატიტებში შეესაბამება მანტიურ სიდიდეს ( $^{87}\text{Sr}/^{86}\text{Sr} \approx 0,703$ ). ეს მონაცემი შეიძლება გავრცელდეს მთავარის წყებაზეც.

მთავარის ვულკანოგენური წყებისა და ტეჭენიტების მინერალური და ქიმიური შედგენილობის მსავსება, წარმოშობის გეოლოგიური პირობების იდენტურობა, სივრცობრივი სიახლოვე, ერთასაკოვნება და აქედან გამომდინარე გენეტური კავშირი, საფუძველს გვაძლევს გამოვყოთ გვიანცარცული ტეტე ვულკანურ-პლუტონური ასოციაცია.

## ლიტერატურა

- გუგუშვილი ვ. (1968). საქართველოს ბელტის ცარცული ვულკანიზმი. გეოლ. ინსტ. შრომები. ა. სერ. 24. გვ. 81-91.
- ღუდაური ო. (1960). ბოლნისის რაიონის ზედაცარცული სუბვულკანური მცირე ინტრუზივები. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XXV. №5. გვ. 555-560.
- ღუდაური ო. (1962). ბოლნისის რაიონის ალბიტოფირები და კვარციანი ალბიტოფირები. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. 28. № 1. გვ. 57-64.
- ღუდაური ო. (1965). ბოლნისის რაიონის სუბვულკანური მცირე ინტრუზების პეტროგრაფია. გეოლ. ინსტ. შრომები. ა. სერ. 5. 106 გვ.
- ღამბაშიძე რ. (1958). ლოქის და ხრამის მასივების ზედაცარცული ნალექების სტრატიგრაფია და ფაუნა. საკანდ. დის. ავტორევ. 29გვ.
- ჯანელიძე ო. (1969). კავკასიონის სამხრეთი ფერდის გეოსინკლინის შუაიურული ვულკანიზმი (ენგურის და ცხენისწყლის ფარგლებში). გეოლ. ინსტ. შრომები. ა. სერ. 22. 102 გვ.
- Chapell B.W., White A.J.R. (1974). Two Contrasting Granite Types. Pacif. Geol. Vol.8. P.173-174.
- Dudauri O.Z., Togonidze M.G., Chernishev I.V., Gerstenberger H. The Gorab-Kelasuri intrusive complex in Transcaucasus: Geological Setting, Petrology and K-Ar Age of Biotites. Chemie der Erde. B.51 №2/3. P.82-86.
- Vinogradov V.I. (1991). Rb-Sr Systematics of The Kelasuri Granitoid Pluton, NW Caucasus (USSR). Chemie der Erde. Iena. B.51. №2/3. P.87-89.
- Белянкин Д.С. (1939). К вопросу о неоинтрузиях Центрального Кавказа. Изв.АН СССР. Сер. Геол. №2. С.93-100.
- Беридзе М.А. (1970). Некоторые новые данные о байосской порфиритовой свите Рачи. Изв. Геол. Общ. Грузии. Т.7. В.1-2. С.15-24.
- Вашакидзе Г.Т.(1998).Мезозойские интрузивы Локского массива. Сб.Тр. ГИН АН Грузии. С.210-218
- Гамкрелидзе И.П. (2000). Вновь о тектоническом расчленении территории Грузии. Тр. ГИН АН Грузии. Нов.сер. Вып.115. С.204-208.
- Гамкрелидзе П.И. (1966). Основные черты геологии Грузии в связи с ее глубинным строением. Глубинное строение Кавказа. М. С.3-14.
- Герасимов А.П. (1931). Тешениты с р.Иори. Тр.ГГРУ.Л. Вып.29. 69с.
- Гоголадзе Д.П. (1991). Корни верхнемелового вулканизма юго-восточной Грузии. Автореф. канд.дисс. 30с.
- Джанелидзе Т.В. (1970). Биотитовые порфириты в среднеюрской вулканогенной толще Абхазии. Сообщ. АН ГССР. Т.59. №3. С.625-628.
- Джанелидзе Т.В., Надареишвили Г.Ш. (1999). Мезозойский вулканизм закавказской межгорной области и его индикаторная роль в геодинамике Кавказа. Тр. ГИН АН Грузии. Нов. Сер. Вып.114. С.168-178.
- Дзоцениძე Г.С. (1948). Домиоценовый эфузивный вулканизм Грузии. Тб. Изд. АН ГССР. 408с.
- Дзоцениძე Г.С. (1962). Юрский вулканизм Закавказья. Тр.И Всес. Вулк. Совещ. 1959г. Вопросы вулканизма. М. С.139-148.
- Дудаури О. З. (2002). Основные закономерности развития среднеюрского магматизма Грузии. Тр. ГИН АН Грузии. Нов. сер. Вып. 117. С.146-156.
- Дудаури О.З., Хуцишвили О.Д. (1966). О форме залегания и возрасте Ушба-Эцерского интрузива. Сообщ. АН ГССР. Т.42. №3. С.635-641.

- Дудаури О.З., Тогонидзе М.Г. (1989). Некоторые особенности мезозойского интрузивного магматизма Грузии. Геология и полезные ископаемые Кавказа. Тр. ГИН АН ГССР. Нов. Сер. Вып.99. С.214-248.
- Дудаури О.З., Тогонидзе М.Г. (1998). Петрология и изотопный возраст Киар-Абакурского интрузивного комплекса. Сб. Тр. ГИН АН Грузии. С.150-162.
- Дудаури О.З., Тогонидзе М.Г., Вашакидзе Г.Т. (1999). Региональные проблемы изотопной геологии. Тр. ГИН АН Грузии. Нов. Сер. Вып.114. С.118-132.
- Дудаури О.З., Тогонидзе М.Г., Бартницкий Е.Н. (1989). Калий-argonовый возраст тешенитов Западной Грузии. Сообщ. АН ГССР. Т.134. №1. С.137-140.
- Дудаури О.З., Тогонидзе М.Г., Вашакидзе Г.Т., Лордкипанидзе М.Б. (2004). Среднеюрская вулкано-плутоническая ассоциация южного склона Большого Кавказа (в пределах Грузии). Тр. ГИН АН Грузии. Нов. сер. Вып.119. С.424-432.
- Заридзе Г.М. (1947). Закономерности развития вулканизма в Грузии и связанные с нимрудопроявления. Тбилиси. Техника да Шрома. 400с.
- Иоселиани М.С., Чичинадзе В.К., Диасамидзе Ш.П., Квеладзе З.И., Онопришвили Т.Г. (1989). Строение литосферы территории Грузии по сейсмическим данным. Тбилиси. 150 с.
- Схиртладзе Н.И. (1942<sub>1</sub>). О тешенитах Западной Грузии. Сообщ. АН ГССР. Т.3. №10. С.1049-1055.
- Схиртладзе Н.И. (1942<sub>2</sub>). Камptonito-мончикитовые жильные породы Кутайского и Тквибульского районов. Сообщ. АН ГССР. Т.3. №3. С.803-810.
- Схиртладзе Н.И. (1943). Тешенитовая формация Западной Грузии. Тр. ГИН АН ГССР. Сер. Минер.-петр. Вып.1. Т.1. 102с.
- Схиртладзе Н.И. (1948). Эссекситовые интрузии в Кутайском районе. Сообщ. АН ГССР. Т.9. №6. С.341-347.
- Тогонидзе М.Г.(1973). Петрология Горабского интрузива. Автореф. канд.дисс. Тбилиси. 28с.
- Тогонидзе М.Г., Виноградов В.И., Дудаури О.З. (1989). Новые радиогеохронологические данные о возрасте Хеви-Чалванского интрузивного комплекса на Дзирульском массиве. Сообщ. АН Грузии. 136. №1. С.104-104.
- Тогонидзе М.Г., Дудаури О.З. (1982) возраст тешенитов и их связь с вулканизмом. Тез. докл. Всес.Совещ. Киев. С.93-99.
- Хмаладзе И.И. (1970). Ортоклазовое габбро Дзирульского массива и связанные с ним лампрофиры. Изв. Геол. Общ. Грузии. Т.6.Вып.1,2. С.44-51.

UDC 553.3.072

## კალეო-გუნდულის ობალების ზერადი ლითონების ვალკანოგენური საგადოების გეოლოგიური პოზიცია და ვორმილების პირობები

**გ. პეტრიაშვილი, ს. პეტრიაშვილი, ბ. ასათიანი, ნ. საძრაძე, ნ. ბაბენიძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ალექსანდრე ჯანელიძის  
გეოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი 0171, გ. ალექსიძის 1/9. ელ-ფოსტა: sergokekelia@yahoo.com

პონტურ-სამხრეთ კავკასიური პალეოკუნძულთა რკალის საბადოების მაგალითზე განიხილება  
ვერადი ლითონების მაღნებისა და მათი შემცველი ქანების სივრცობრივ-დროებრივი დამოკიდებულების ძირითადი თავისებურებანი და, აგრეთვე, მაღანმაგმური სისტემების ეფოლუციის პირობები.  
ავტორების წარმოდგენები ეფუძნება გეოლოგიურ დაკვირვებებს, მაგნებსა და მაღანმაგმურ ეულ-  
კანიტებში სტრონციუმის, გოგირდისა და ეანგბადის იზოტოპურ თანაფარდობებს, იშვიათი მიწების  
შემცველობებსა და ოერმობაროგეოქიმიური კვლევების მონაცემებს.

**Geological Position and Formation Conditions of Paleo-island-arc Nonferrous Volcanogenic Deposit.**  
**Kekelia S., Kekelia M., Asatiani G., Sadradze N., Gagnidze N., Abdulaeva Sh., Ismailova A.** Ministry of Education  
 and Science of Georgia, LEPL Alexandre Janelidze Institute of Geology, 1/9 M. Alexidze st., 0171 Tbilisi, Georgia.  
 E-mail: sergokekelia@yahoo.com

On the example of the Pontian-South Caucasian paleoisland-arc deposits main features of spatial-temporal relationship of non-ferrous metal deposits and their host rocks, and evolution conditions of ore-magmatic systems are discussed. Authors' interpretations are based on geological surveys, isotope ratios of strontium, sulfur and oxygen in ores and ore-bearing volcanites, content of rare elements and data of thermobarogeochemical studies.

**Геологическая позиция вулканогенных месторождений цветных металлов палеоостроводужных сооружений и условия их формирования. М.А. Кекелия, С.А. Кекелия, Г.Л. Асатиани, Н.Г. Садрадзе, Н. З. Гагнидзе, Ш. Абдулаева, А. Исмайлова.** Министерство просвещения и науки Грузии, ЮЛОП институт геологии им. А. Джанелидзе, Тбилиси 0171, ул. М. Алексидзе 1/9. E-mail: sergokekelia@yahoo.com

На примере месторождений Понтийско-Южнокавказской леоостровной дуги рассмотрены пространственно-временные особенности взаимоотношений между рудами цветных металлов и вмещающими их породами, а также условия эволюции рудно-магматических систем. Представления авторов базируются на геологических наблюдениях, отношениях изотопов стронция, серы и кислорода в рудах и рудовмещающих вулканитах, содержании редких земель и данных термобарогеохимических исследований.

### Abridged English Version

In the Caucasian states and Turkey, the most important volcanogenic copper deposits have been found in rocks that form fragments of the Pontian-South Caucasian paleoisland arc. This paleoisland arc was actively functioning during the whole Mesozoic time representing the south margin of the Eurasian continent under which oceanic crust of the Tethys had been subducted (Fig. 1). Different segments of the arc differ from one another by their structure and geodynamic evolution that conditioned the origin of various types of volcanogenic ore deposits.

The paper presents brief characteristics of geological environments of ore deposit occurrences in Turkey, Georgia and Armenia. All of them can be attributed to Kuroko-type deposits, being distinguished by the character of ore accumulation. To the west, in Turkey, there are epigenetic and hydrothermal-sedimentary copper-zinc deposits that were, most likely, formed in deep restricted basin settings. An example of the latter is the Çayeli (Madenköy) deposit. To the east, in the Caucasus, we have predominantly only epigenetic deposits. Besides, in the Bolnisi mining district (Georgia) there is the Madneuli deposit, which represents an example of polyformational deposit, being in this respect a unique one. Here, within the restricted territory (the so-called biclinal structure on the slope of a large volcano), have been concentrated various kinds of mineralization: barite, barite-polymetallic, gold-bearing secondary quartzite and large-scale stockworks of copper ores. Judged by the  $^{87}\text{Sr}/^{86}\text{Sr}$  ratios, some volcanites that are spatially associated with ores, might have been products of the "differentiation" of undepleted mantle, or other magmas generated in the lower part of the earth crust.


In the Alaverdi ore district in Armenia, there are Jurassic volcano depressions that host copper, copper-zinc and barite-sulfide ores; besides, in an uplifted block bounding a volcano depression is located the Tekhut porphyry copper deposit. All the deposits of the Alaverdi district, porphyry copper including, contain economic reserves of ores.

On the basis of available literature material accumulated during the last decades and our own data, there has been created a mental-logical geological-genetic model of volcanogenic deposits. Analytical laboratory works (identification of ore and rare elements, isotopic ratios of oxygen in quartz from ores, thermobarogeochemical studies) have been performed in relevant laboratories of the U.S. Geological Survey in Denver, Colorado, with the participation of Georgian geologists.

In authors' opinion, ore components were extracted from surrounding country rocks; some components including sulfur might have been derived from crustal magmas. Solutions from which sulfides were precipitated had salinity very close to that of the seawater, being slightly-acidic; copper-bearing sulfidic ores were formed at maximum temperatures of 410-390°C, and barite-sulfide ores – at about 280°C. Most probably, the pressure in fluids at epigenetic deposits did not exceed 200 bar. The stable accumulation of hydrothermal-sedimentary ores proceeded at the sea bottom, at depths of about 2-3 km. The boiling up of fluids did not probably occur, and the mineral zonality similar to that which is observed in present-day "ore hills" may be explained by the subsequent re-distribution of ore-forming components as a result of the destruction of the "hills", and their diffusion from lower levels to upper ones during the process of ore leaching by ore-bearing fluids.

ალპურ-პიმალაურ ნაოჭა სარტყელში შემორჩენილია პალეოგენბულთა რეალებისა და მათი მომიჯნავე სტრუქტურების (რეალების და შედების ალეოუზების) ფრაგმენტები. სწორედ ამ ფრაგმენტებში (სურ. 1) თავმოყრილია ფერადი ლითონების უკელაზე მსხვილი საბადოები. ერთეული ასეთ ფულკანურ სტრუქტურას წარმოადგენს პონტურ-სამხრეთ კავკასიური პალეორგალი, რომლის ფარგლებში ალპური ფულკანური აქტივობის მაქსიმუმიაღმოსავლეთ ნაწილში უკავშირდება ბაიოსა და გვიანიურულს, ხოლო დასავლეთით (პონტიდებში და საქართველოს ტერიტორიაზე) – ცარცულ პერიოდს. ამასთან თერმოანომალიები, ულკანური და პიდროთერმული აქტივობა გამოვლენილ იქნა ალეორგალის იმ ადგილებში, რომლებმაც განიცადა უკელაზე დიდი ტექტონიკური დაბაბულობანი, ანუ ტრანსფორმული რდვევების ზონებში პონტურ-სამხრეთკავკასიის და ირანული მიკროფილების კონვერგენტული ურთიერთმოქმედების პირობებში (Biju-Duval et al., 1977; Монин, Зоненшайн, 1987; Yilmaz et al., 1977). მიკროფილების ამ კონვერგენტულობის დასაწყისში (იურა) წარმოიშვა სპილენძის კიგენეტური ულკანოგენური საბადოები და ბარიტ-პოლილითონური მაღნები (მაგალითად სომხეთში), ხოლო შემდგომ, გვიანცარცულში (სავარაუდოდ, მიკროფილების კოლიზიის საწყის ეტაპზე) - სპილენძის, ოქროს და ბარიტ-პოლილითონური საბადოები (საქართველოსა და პონტიდებში). პონტიდებში განთავსებულია აგრეთვე მასტბაბური პიდროთერმალურ-დანალექი სულფიდური ბუდობები (ჩაელის საბადო). უნდა აღინიშნოს, რომ პონტიდების აღმოსავლეთ ნაწილში მუშავდება შემდეგი საბადოები: აშიკო (კვიპროსის ტიპის საბადოები), კიგენეტური – ლასანოსი, უჟოლულარი, მურდული და კუროკოს ტიპის საბადო – ჩაელი. ამ უკანასკნელზე დათვლილია ფერად ლითონთა მაღნის მარაგები 15,9 მლნ. ტონის ოდენობით და ლითონთა შემდეგი შემცველობებით: სპილენძი – 4,4%, თუთია – 6,1%, ოქრო – 0,8გ/ტ, ვერცხლი – 44გ/ტ. საბადოზე აღმოჩენილია ერთი მაღნიანი სხეული მაქსიმალური სიმძლავრით – 100მ (Altun, 1977), რომელიც გაიღევნება 920 მ მანძილზე. მაღნიანი ბუდობის ჭრილი წარმოდგენილია სურ. 2-ზე. მაღანშემცველი სტრუქტურა აგებულია მაღანზედა ბაზალტების (პილოუ-ლავების), კირქების, „მერმაშული“ ფერის ტუფებისა და გაპროპილიტებული დაციტების მონაცელებით. სწორედ ამ დაციტებზე განლაგებულია მასიური სულფიდური მაღნები; მათ ქვემოთ გამოვლენილია კვარც-ქლორიტ-სერიციტიანი მეტასომატიტები სულფიდების ჩანაწინებლებით. მასიური მაღნები (სფალერიტი, ქალკოპირიტი, პირიტი) ბრექჩიორებულია და იჩენენ დიდ მსგავსებას კუროკოს ტიპის მაღნებთან იაპონიაში, აგრეთვე შუალედური ქედებისა და განაპირა ზღვების რიფტინგის ზონების „მაღნიან ბორცვებთან“. აქვე უნდა ითქვას პონტიდებში პიდროთერმალურ-დანალექი ბუდობების სხვა ტიპზედაც, რომელიც აშიკოს საბადოთი არის წარმოდგენილი. მისი ბუდობები განთავსებულია ალოქტონში, რომელიც ლიტერატურაში „კიურეს კომპლექსის“ სახელწოდებით არის ცნობილი (Guner, 1980; Ustaomer, Robertson, 1993; Çakir, 1995). სავარაუდოდ, ალოქტონი პალეოტეოსის განაპირა ზღვის აუზიდან გადაადგილებულ იქნა პალეოგენბულთარკალურ ნაგებობაზე. ალოქტონში მაღნების გეოლოგიური გარემოცვა უახლოვდება კვიპროსის ტიპის მაღნების ჩამოყალიბების პირობებს. ჭრილი აქ აგებულია პერიდოტიტებით, დაიბაზების დაიკური კომპლექსით და ბაზალტებით. პილოუ-ლავებზე განლაგებულია კოლჩედანური ბუდობები.

მაღნეულის საბადოს შტოკევერკულ-დარღვეული მაღნების მსგავს საბადოებს წარმოადგენს ლასანოსი და მურდული. მაღნიანობისა და გეოლოგიური სპეციფიკის თვალსაზრისით მაღნეულის საბადო (საქართველო) უნიკალურია. მის ფარგლებში სივრცობრივად ერთმანეთთან მიახლოებული არიან სხვადასხვა ეტაპის ოქროს, ბარიტ-სულფიდური და სპილენძის მაღნები. ცარცული ნალექებით ამოვსებული ფულკანურ-ტექტონიკური დეპრესია წარმოადგენდა რკალსმილმა არსებული აუზის ნაწილს. ფულკანური სტრუქტურების აგებულებაში მონაწილეობს სამი კომპლექსი (სურ. 3), რომლებიც წარმოიშვა ალბურ-კამპანურში ჯერ ნაპრალოვანი, ხოლო შემდგომ – ცენტრალური ტიპის ფულკანების ფუნქციონირების შედეგად. მადანმატარებელი გუმბათისებრი „ამობერილობები“ განხდა მსხვილი გულკანური ნაგებობების ფერდობებზე რიოდაციტური ექსტრუზიების „გამოწურვის“ აღგილებში. №3 სურათზე ნაჩვენებია პალეოგენულგანების ფრაგმენტები, რომლებიც აგებულია კირტუტე ფულკანიტებით (Kekeliava და დრ., 1993). მაღნეულის საბადოსათვის დამა სასიათებელია ექსტრუზიული გუმბათები, დაგით გარეჯისათვის – ჩამოქცევის კალდერები, ხოლო დაბაზის, მოშევანისა და საყდრისის მადანგამოვლინებებისათვის – ლავური გუმბათები და რიოდაციტების დაიკები. ზედა კომპლექსის (შედეგინდობით კონტრასტულის – ბაზალტ-ანდეზიტ-რიოლიტურის) ფორმირებით ბოლნისის ცარცულ სტრუქტურაში თავდება ფულკანური მოქმედება. კომპლექსის შესაძლო კომაგმატებს წარმოადგენს გრანიტორიტ-პორფირები, რომლებიც




სურ. 1. მეტალთა მთავარი საბადოების გავრცელება აღმოსავლეთ თურქეთისა და  
კავკასიის გეოლოგიური სტრუქტურების ფარგლებში

1-სამხრეთ კავკასიის მიკროკონტინენტის ფერდი და აზევება (იურულ-ადრეცარცული, კავკასიონის მთავარი ქედი); 2-სკვიორული და სამხრეთ კავკასიის მიკროკონტინენტების შელფური ზონა (იურულ-პალეოგენური, კავკასიონის მთავარი ქედი); 3-ჩრდილო ირანის მიკროკონტინენტის შელფური ზონა (ცარცულ-პალეოგენური); 4-პონტური მიკროკონტინენტის შელფური ზონა (ადრეიოურული, ადმოსავლეთ პონტიდები); 5-მცირე კავკასიონის ენსიალური კუნძულთა რკალი (ბაიოსურ-ადრეცარცული); 6-პონტური ენსიალური კუნძულთა რკალი (ცარცული); 7-კიდურა ზღვის ღრმა აუზები (ადრე-შუაიურული); 8-ალოქტონური ოქანური ზონები. 9-მცირე კავკასიონის რკალსუკანა ვულკანური დეპრესიები (გვიანცარცული); 10-პონტური რკალსუკანა ვულკანური დეპრესიები (გვიან ცარცული); 11-შიდაფილდაქნური რიფტოგენური ვულკანური სტრუქტურები (ეოცენ-ოლიგოცენური, მცირე კავკასიონი); 12-კოლიზიურამდელ სტრუქტურებზე ზედებული ეოცენური ვულკანური დეპრესიები (პონტიდები, მცირე კავკასიონი, ჩრდილოეთ ირანი); 13-ახალგაზრდა ვულკანური პლატოები (ოლიგოცენ-მეოთხეული); 14-ოროგენული ლრმულები (ოლიგოცენ-მეოთხეული); 15-ტერიგენულ-ვულკანურ ქანები (დიზის სერია, დევონურ-ტრიასული) შექრილი შეუაიურული გრანიტოდები; 16-სკვითური და სამხრეთ კავკასიის მიკროფილების ალპურამდელი ფუნდამენტი (კამბრიულისწინა(?) ადლეოზოური); 17-ჩრდილოეთ ირანის ალპურამდელი ფუნდამენტი (ჩრდილო ირანის მიკროფილა, კამბრიულისწინა-პალეოზოური); 18-გეობლოკების გამყოფი ტექტონიკური ნაკერები (წარმოდგენილი შესხლებები და ნასხლებები); 19-შეცოცებები; 20-სავარაუდო საზღვრები სკოტურ და სამხრეთ კავკასიის მიკროფილებს შორის (გადაფარული შეცოცებებით); 21-გრანიტოდები (ა-ადრეცარცული, ბ-გვიანცარცული, ც-ეოცენ-ოლიგოცენური); 22-მონცონიტები, სიენიტები (ოლიგოცენ-მიოცენური); 23 მინერალური საბადოები; 24-ალევოკუნძულთა რკალის ფრაგმენტები.

ევრაზიის აქტიური აალევკიდის მთავარი მეტალშემცველი საბადოები: 1-აშიკო (Cu), 2-ლახანონი (Cu, Zn, Pb), 3-ჩაელი-მადენკო (Cu, Zn), 4-მურდული (Cu, Zn), 5-ურუპი (Cu), 6-ქტიო-ტებერდა (W), 7-ტირნიაუზი (W), 8-ლუხერა (Au), 9-ცანა (As, Au), 10-ლუხეუმი (As), 11-ზოფხითო (Au, Sb), 12-სადონი (Pb, Zn), 13-ჭიათურა (Mn), 14-ფილიზხა (Zn, Pb, Cu), 15-ჯიზილ-დერე (Cu), 16-მადნეული (Cu, Zn, Pb, BaSO<sub>4</sub>),


17-ალავერდი (Cu), 18-შამლუგი (Cu), 19-ტებული (Cu), 20-მეგრადმორი (Au), 21-დაშქესანი (Fe, Co), 22-ოტი (Au), 23-კაფანი (Cu), 24-აჯარანი (Mo, Cu).

მიკროფილები: ეგრაზის პალეოკონტინენტი: A-სავითური, B-პონტურ-სამხრეთ კავკასიური (B<sub>1</sub>-აღმოსავლეთ პონტიდები, B<sub>2</sub>-სამხრეთი კავკასია); აფრო-არაბეთის პალეოკონტინენტი: C-ჩრდილოეთ ორანი.



სურ. 2. ჩაელის მადნიანი ძარღვის ჭრილი (მადენკოი)

1 – ბაზალტური ნაკადები (ზედა ცარცული); 2- რიოდაციტები (ზედა ცარცული); 3 – იაშმური კვარციტები; 4 – ტუფიტები (ზედა ცარცული); 5 – სინკულკანური რღვევები; 6 – პიაღოკლასტიტები (გაპირიტებული და გაკაოლინებული); 7 – მადნიანი სხეული (კერნის დასინჯვის შედეგების მიხედვით Cu-ის შემცველობა 5% და ცოტა მეტი, Zn – 9%).



სურ. 3. მაღნიანი სხეულებისა და პიღოროთერმულად შეცვლილი ქანების გავრცელება  
მაღნეულის საბადოს სხვადასხვა დონეზე

I-რიოდაციტები; 2-ლაგაბარექტიები და ფლუიდური რიოდაციტური ლავები; 3-ანდეზიტ-დაციტური კიტროკლასტური ფერფლის ტუფები; 4-სხვადასხვა კლასტური ტუფები; 5-ქსენოტუფები; 6-ექსპლოზიური ბრექჩიები; მაღნიანი სხეულები: 7-ბარიტი; 8-ბარიტ-ტყვია-თუთია; 9-სპილენი; 10-სხვადასხვა შეცვლილი ქანების საზღვრები; 11-მეორადი კვარციტები; 12-კვარც-სერიციტ-ქლორიტული ქანები; 13-აროპილიტები.

I-საბადოს ზედაპირის პროექცია კარიერის მოწყობამდე; II-კარიერის ზედაპირის პროექცია; III-937-დონე; IV-840მ - დონე.

შიშვლდება სტრუქტურის ცენტრალურ ნაწილში. მათი აღმოჩენა საბადოს კარიერზე ბურღვითი სამუშაოების შედეგია. №3 სურათზე მოყვანილია მაღნეულის საბადოს ჭრილი მაღნიანი სხეულებისა და გეოქიმიური ანომალიების ურთიერთდამოკიდებულების ჩვენებით. ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით (Kekelia et al., 2004), რომლებიც ეხება ბოლნისის რაიონის ზედა ვულკანური კომპლექსის მაღანმატარებელ ქანებში რუბიდიუმისა და სტროციუმის კონცენტრაციებსადა იზოტოპურ შედგენილობას, ბაზალტები ( $^{87}\text{Sr}/^{86}\text{Sr}=0.704910$ ) შეიძლება მოვიაზოთ გაღარიბებული მანგიის პროდუქტად, ხოლო მაღნეულის რიოლითები ( $0.707739$ ) და მურდულის საბადოს (თურქეთი) რიოდაციტები – შესაბამისად ქერქის ზედა და ქვედა ნაწილების გამონადნობების წარმონაქმნებად. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქ

ბოლნისის მადანშემცველი ქანების იშვიათ მიწებსა და ტიტანზე ანალიზების შედარება რაპუ-რაპუს და კოპატუანის (ფილიპინები) სულფიდური საბადოების ქანების ანალოგიურ მახასიათებლებთან (Sherlok et al., 2003). აღნიშნული საბადოები სივრცობრივად ასოცირდება დაციტებთან და ტოლეიტურ ბაზალტებთან, რომლებიც ხასიათდება ტიტანის ( $TiO_2 \leq 0.9\%$ ), ცირკონიუმისა (40-50 ppm) და იშვიათი მიწა ელემენტების (იმე) დაბალი შემცველობებით, აგრეთვე, Zr/I-შეფარდების მცირე მნიშვნელობებით – 2.5-3. გეოქიმიური მახასიათებლებით ტოლეიტები უახლოვდება კუროკოს საბადოს (იაპონია) ანდეზიბაზალტებს და ფიჯის კუნძულთა რეალის ოლიგოცენურ ბაზალტებს. შერლოკის აზრით, აღნიშნული მახასიათებლები შეიძლება იყოს ჩამოუყალიბებელი რეალის პირობებში მადანმატარებელი ქანების ფორმირების მაჩვნენებელი. შესაბამისად, ჩვენი გეოქიმიური მონაცემები უნდა მიუთითებდეს კუნძულთა უფრო “მოწიფულ” პალეორკალზე, რომლის ფრაგმენტები გაშიშვლებულია მცირე კავკასიის სისტემაში. (აქ Zr/I -შეფარდების მნიშვნელობები გაცილებით მადალია: დაციტებში – 9.5-11.2, რიოლითებში – 2.7, ბაზალტებში კი – 3.7-4.1). ამრიგად, იკვეთება გეოქიმიურ მაჩვნენებლთა გამოყენების შესაძლებლობა ქანების ფორმირების გეოდინამიკური პირობების დასადგენად. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება საჭიროებს დამატებით არგუმენტაციას.


სომხეთის სპილენძის და ბარიტ-პოლილითონური საბადოები (ალავერდი, შამლუგი, ახტალა, კაფანი) განთავსებულია შუაიურულ ვულკანოგენურ კომპლექსში, რომლის ჭრილი ალავერდის რაიონში (სურ. 4 – ჩვენს მიერ შედგენილი ალავერდის ვულკანოგენური რუკა) შედგება (ზემოდან ქვემოთ) შემდეგი წარმონაქმნებისაგან: მცირე სიმძლავრის ქმობენურ-დანალექი ქანები; ჰიალკლასტიტები; წყალქვეშა კოლუმნის დანაგროვები; ტქფროიდული ტურბიდიტები; დაციტებისა და ანდეზიტების ლავები. მადანშემცველი წყება გადაფარულია გვიანიურული ვულკანოგენური კომპლექსით. სპილენძის ძარღვაკულ-ჩანაწინებით მინერალიზაცია დამახასიათებელია ბოლნისის, ალავერდისა და კაფანის რაიონის საბადოებისათვის. მადანულზე ცნობილია ოქროს მინერალიზაცია მეორად კვარციტებში, აგრეთვე ბარიტ-სულფიდური გამადნება ძარღვებისა და დამრეცი ბუდობების სახით. ალავერდის ძარღვულ-ჩანაწინებით და ძარღვული მადნიანი სხეულები განლაგებულია კვარცერიციტ-ქლორიტიდიანი მეტასომატიტების ვიწრო ზონების საფარში ფართობრივი პროპილიტების ფონზე.

პალეოკუნძულთა რეალის ცალკეული სეგმენტის გამადნების ხასიათის განსხვავებანი პირდაპირ კავშირშია ვულკანების ფუნქციონირების გეოდინამიკურ რეჟიმთან. უნდა აღნიშნოთ აგრეთვე, რომ მცირე კავკასიის რეგიონში ვერადი ლითონების ჰიდროთერმალურ-დანალექი მადნიანი ბუდობების (ჩაელის ტიპი) ძებნა უპერსპექტივოა, ვინაიდან მათი დაგროვებისთვის აქ არ არსებობს გეოდინამიკური საფუძვლები.

მოკლედ განვიხილოთ მოდელიც ეხება ფერადი ლითონების ვულკანოგენური საბადოების მადანწარმომშობი სისტემების განვითარებას. წარმოდგენილი გენეტური მოდელი უნდა განვიხილოთ როგორც, ასე ვთქათ, აბსტრაქცია, რომელშიც მხედველობაშია მიღებული სისტემაში მიმდინარე პროცესების სტანდარტულობა, და არა ინდივიდუალების (საბადოების, მადნიანი სხეულების) მსგავსება. ვულკანური თაღების ქვეშ (მადანულის და ჩაელის მაგალითი) აღინიშნება ქანების და მადნების ინტენსიური ჰიდროთერმალური შეცვლები. აღრე ფლუიდების წყაროდ მიიჩნევდნენ მაგმურ კერებს; თუმცა ეს წარმოდგენები შეიცვალა იმის გამო, რომ ძნელად ასენადია დიდი რაოდენობის წყლის მასების გამოყოფა და მისი მონაწილეობა ჰიდროთერმალურ პროცესში. თვით მექანიზმი ფლუიდების გამოყოფისა მაგმური კერებიდან შედარებით ხანმოკლე მოვლენაა. ეს აისახება ინტრუზიულ სხეულებში ავტომეტასომატური შეცვლებით და ქანგულებისა და სულფიდების სუბმიკროსკოპული გამონაყოფების თანაბარი განაწილებით ქანმაშნი სილიკატების კრისტალებსა და მარცვალთა შორის სივრცეში. იზოტოპურ-გეოქიმიური კვლევების მონაცემები მიუთითებენ მეტარეზული წყლების დიდი რაოდენობით მონაწილეობაზე ვულკანოგენური საბადოების ჰიდროსისტემებში (Франклін ი დრ., 1984; Синяков, 1986). ექსპრო მენტები, (Hodgson, Lydon, 1977; Гричук ი დრ., 1984) ჩატარებული ელემენტების ექსტრაქციაზე ქანებიდან მიუთითებენ იმაზე, რომ მაგმური და დანალექი წარმონაქმნები შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც ლითონების წყარო ვულკანოგენური საბადოებისათვის. მსოფლიო ოკეანეში შეგროვილი მასალის საფუძველზე (Рона, 1986; Гринберг ი დრ., 1990; Ельяновა, Мирлин, 1990; Ельянова, 1990) შეიძლება დავასკვნათ, რომ მასშტაბური მადანწარმომშობა ხორციელდებოდა შემდეგი თანმიმდევრული პროცესების შემთხვევაში. 1) მაგმების რისტა-

ლიზაციისას; 2) გახურებული ზედაპირული წყლების და მაგმატიტების ურთიერთქმედებისას (სიობური ენერგიის წყარო არის ვულკანოგენურ დანალექ წყბაში შემოჭრილი ინტრუზივია); 3) ფიზიკურ-ქიმიური ბარიერის სტაბილური ფუნქციონირება ჰიდროტერმების განტვირთვის არებში (ზღვის ფსკერი ან მიწის ქერქის ზედაპირული ზონების დახურული სტრუქტურები). ლიტერატურული და ჩვენი მონაცემებით ვულკანოგენურ საბადოებს განასხვავებს შემდეგი თავისებურებან:

1. მაღნების კომპონენტური შედგენილობა ამჟადებულებას ქანების პეტროქიმიურ თავისებურებებისაგან. მაგალითად, ანდეზიტ-ბაზალტებთან და ნატრიუმიან რიოლიტებთან ასოცირებს სპილენ-თუთიის მინერალიზაცია (Кривцов и др., 1987). აღნიშნავენ,



სურ. 4. ალავერდის საბადოს პორიზონტალური ჭრილი

1 – ტუფური ქვიშაქვები (ბათური); 2 – ანდეზიტებისა და ანდეზიტ-ბაზალტების ტუფები (ბათური); 3 – კარბონატული ტუფ-ქვიშაქვები (ბათოსური); 4 – კარბონატული ტუფ-ქვიშაქვების, ტუფების და ანდეზიტ-დაციტებისა და დაციტების უსემრითმული შრეებრიობა (ბათოსური); 5 – დაციტური შტოკები; 6 – ანდეზიტები; 7 – პლაგიორანიტორფიტები; 8 – რდვევები; 9 – მადნის ძარღვები (კვარც-პირიტ-ქალკოპირიტი); 10 – მადნის შტოკები (პირიტ-ქალკოპირიტული შედგენილობის მასიური და შტოკერებული მადნები).

რომ შუალედური ქედის მადანმატარებელი ქანები (ბაზალტები) შეიცავს ლითონების ჯანგულების სფერულ აგრეგატებს (Прокопцев, Прокопцев, 1990). შუალედური ქედის რიფ-ტული ველის სუბტუტე ფფუზივები, მინერალები, კერძოდ, კლინოპიროქსენები და მინ-დვრის შაატები “წვეთების” სახით შეიცავს სულფიდებს (Акимцев, Шарапов, 1993). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგიერთი მაგმური ქანი იყო მადანპროდუქტიული.

2. მადნიანი კვანძების ფარგლებში ჰიდროთერმურების მიგრაციის გზებზე აღინიშნება ქანების მინერალური შედგენილობის შეცვლები. კერძოდ, მადნის დაგროვების ზონების ქვედა ნაწილებში, გამოვლენილია არგილიზიტები, ხოლო ინტრუზივების ზედა და ფლანგურ ზონებში მასშტაბური პროპილიტიზაცია.

3. ბარიტ-სულფიდური მადნები მეორად კვარციტებში (მადნეულის საბადო) ამედავნებენ არამკეთრად გამოხატულ ზონალობას. სპილენისა და სპილენ-თუთიის მადნების შტო-კერატები ხშირ შემთხვევებში გადაფარულია თაბაშირ-ანკიდრიტული ლინზებით, ხოლო მათი სახურავის ქანებში აღინიშნება ჰემატიტიზაციის პროცესი. ასეთი სურათი დამახასიათებელია კუროპის ტიპის ჰიდროთერმალური დანალექი მადნებისათვის (Машукама, 1973).

4. ჰიდროთერმალური ხსნარების მარილიანობა ახლოსაა ზღვის წყლის მარილიანობასთან, მაგრამ შედარებით გამდიდრებულია Fe, Ag, Pb, Cu და Zn (Mottl et al., 1979), დაბალი მარილიანობა დამახასიათებელია თანამედროვე მადანწარმომქმნელი ფლუიდებისათვის (Бортников и др., 2004; Бортников, Викентьев, 2005). ამავე დროს მკვლევარები სულფიდების წარმოშობისას მიუთითებენ აგრეთვე წათხების არსებობაზე (Бортников, Викентьев, 2005). ეს მონაცემები მიღებულია მცირე კავკასიის საბადოების შესწავლისას (Кекелиა и др., 1991; Кекелия и др., 1993). მცირე კავკასიის საბადოებზე მინერალწარმოშობის ტემპერატურები მიღებული ჰომოგენიზაციის მეთოდით უდრის სპილენის საბადოებისათვის 410-390°C, ბარიტ-პოლიმეტალური საბადოებისათვის “280°C (Ярошевич, 1985); წნევა მერყეობს 150-დან 250 ბარამდე (გამოყენებულია შეპარდის დიაგრამები – Shepherd et al., 1985). ვ. იაროშევიჩის მონაცემებით მადნეულზე სპილენისა და ტყვია-თუთიის მადნების წარმომქმნელი ხსნარების მარილიანობა არ აღმატებოდა “40 გრ. NaCl ეკვ. ერთ ლიტრ ხსნარზე.

5. ყველაზე ხელსაყრელი ჰიდროთერმალურ-დანალექი ბუდობების მადნების სტაბილური დაგროვებისათვის იქმნებოდა ზღვის აუზების ფსკერზე, 2-3გმ სიღრმეზე (Stackelberg, 1985; Габлина и др., 2000).

6. მონაცემები წყალბადისა და უანგბადის იზოტოპური შედგენილობის შესახებ ვულკანოგენური ბარიტ-პოლიმეტალური საბადოების კვარცში, ბარიტსა და კალციტში მიუთითებს მეტეორული წყლის მაღალი დოზით მონაწილეობაზე მადანწარმოშობის პროცესში. ამავე დროს მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სპილენის ზოგი საბადოს წარმოშობისას არანაკლებ როლს ასრულებდა მაგმატოგენური წყალი (Франклин и др., 1984), მონაცემები სულფიდებისა და სულფატების გროვიდის იზოტოპური შედგენილობის შესახებ არაერთგვაროვანი და, სამწუხაროდ, არ იძლევა გროვიდის წყაროს დადგენის საშუალებას.

ჰიდროსისტებების განვითარება და ფუნქციონირება ვულკანურ კომპლექსებში შესაძლოა წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: დასაწყისში რკალსუკანა და ინტრარკალურ აუზებში – ლოკალურ დეპრესიებში გროვდებოდა ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნები (როგორც წესი, ვულკანური ქანები შედგენილობით პასუხობს კირტუტე სერიას); ვულკანიზმის შენელების შემდეგ (ვულკანური სტრუქტურების ინვერსიის პერიოდში) ხდებოდა ინტრუზიების შემოჭრა და კრისტალიზაცია მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 2 კმ, ხოლო ზღვის ფსკერიდან 1 კმ სიღრმეზე ჰიდროთერმალურ-დანალექი ბუდობები მინერალური შედგენილობითა და სტრუქტურით მსგავსია თანამედროვე ჩამქრალი ე.წ. “შავი მწვევლებისა”. მინერალური ზონალობა მათში აისხება მადანწარმომშობი კომპონენტების გადანაწილებით “მადნიანი ბორცვების” დაშლის შედეგად და შემდგომი დიფერენციაციის შედეგად ზედა დონეებზე (Hannington et al., 1986; Ельянова, 1989).

კარმადელის კუნძულთა რეალის ვულკანიტებში ცნობილია კუროკოს ტიპის ჰიდროთერმალურ-დანალექი ბუდობები (de Ronde et al., 2003). თერმოგეოქიმიური კვლევების მონაცემთა მიხედვით ჰიდროთერმალური ხსნარის მარილიანობა მერყეობდა 2.2 დან 3.9 NaCl-ეკვ. წონითი %, ხოლო ჰიდროგენიზაციის ტემპერატურამ შეადგინა 175-322°C. მოყვანილი მონაცემები მიუთითებენ ფერადლითონიანი მადნების ფორმირების ფიზიკურ-ქიმიური ჰირობების სტანდარტულობაზე, მიუხედავად იმისა, თუ ეპიგენეტური თუ ჰიდროთერმალურ-დანალექი გზით ხორციელდება მადანდაგროვების პროცესი.

ზღვის ფსკერის პირობებში ფლუიდის დესტაბილიზაცია მის ჟანგვასა და ტემპერატურის დაცემასთან არის დაკავშირებული. აქ “შავი მწვევლებიდან” ამონთხეული სუსპენზიების შედეგნილობის (პირიტი, პიროტინი, სფალერიტი) გათვალისწინებით შეიძლება დაგუშვათ, რომ ლითონების ტრანსპორტირება ხდებოდა პიდროსულფიდური კომპლექსების ფორმით. ეპიგენეტური საბადოების მინერალურმოქმნის დონეები ზოგადად შეიძლება შევადაროთ “შავი მწვევლების” მილაკების ზონებს, რომელთა ზღვრულმა ანომალურმა ფიზიკურ-ქიმიურმა პარამეტრებმა განაპირობეს ანალიტიკისა და რკინის სულფიდების ერთდროული გაკრისტალება. ამ პირობებს პასუხობს  $\text{PO}_2$  მინიმალური აქტივობების მქონე პიდროსისტემების ზონები, რომლებიც  $\text{H}_2\text{S}-\text{SO}_4^{2-}$  თანაბარი აქტივობების გარემოში ემთხვევა ბარიტის მდგრადობის ქვედა საზღვრს (Франклін и др., 1984; Твалчრელidze, 1987; Kekelia et al., 2004). ზონალობა ვულკანოგენურ ბარიტ-სულფიდურ ბუდობებში აისხება შემდეგი ფაქტორებით: 1) სფალერიტსა და გალენიტთან შედარებით სპილენის მინერალების ხსნა-დობის უფრო დიდი დამოკიდებულებით ტემპერატურისაგან ანუ ნაერთების სხვადასხვა მდგრადობით (Франклін и др., 1984; Овчинников, 1988); 2)  $\text{S}^{2-}$  კონცენტრაციისაგან ლითონის დალექვის დამოკიდებულებით. ასე მაგალითად, ხსნარში ლითონთა კონცენტრაციების თანატოლობის შემთხვევაში სპილენისა და თუთიის დალექვას ტყვიასთან შედარებით ესაჭიროება  $\text{H}_2\text{S}$  უფრო მაღალი კონცენტრაციები (Ганеев, 1989). გასათვალისწინებელია აგრეთვე გოგირდენებადიანი ბარიტის გავლენა, რომლის ეფექტიანობა განისაზღვრება  $\text{S}^{2-}$  მცირე კონცენტრაციებით (Крайнов и др., 1988). იდროთერმალურ-დანალექი მადან-დაგროვების პირობებში (როდესაც მადნიანი “ბორცვების” მინერალური ზონალობა წარმოადგენს მადნიანი მასის გადაკრისტალების, გახსნისა და გადალექვის შედეგს) სულფიდ-წარმოქმნის ჩახშობა იწყება იქ, სადაც ორმები აღწევენ ზონებს, რომლებსაც ახასიათებთ ჯანგბადის მადალი პარციალური წნევა, - დეპრესიების ფარგლებს მიღმა ან ბუდობების თავზე. ამ შემთხვევაში გამოილექბა რკინისა და მანგანუმის ჟანგეულები, ხოლო მადან-ზედა წევბებში წარმოიქმნები იასპები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზღვის ფსკერზე მადან-დაგროვების მექანიზმი (მადნიანი ნივთიერების ხშირი განმეორებადი ამოხეთქვები) იურ განმსაზღვრელი მასიური კოლჩედანური დანაგროვების ფორმირების დროსაც. რაც შევსება ოქროსმატარებელ კვარციან ძარღვაკებს მაღნეულზე, მათი წარმოქმნა, ჩვენი წარმოდგენით, ექსპლოზიური ბრექჩიების ფორმირებასთან არის თანადროული (პიდროთერმალური კოლაფსის დაწყებითი პერიოდი). ოქროს, კვარცისა და მცირე რაოდენობით სულფიდების გამოლექვა მეორად კვარციებში ხდებოდა მაგმატოგენური ფლუიდის დესტაბილიზაციის დროს. ჩ. ჰეინრიჩი (Heinrich, 2005), რომელიც სწავლობდა ოქრო-სპილენბარფირულ საბადოებს, აღნიშნავს, რომ მაღალი ტემპერატურების პირობებში დაბალი წნევებისას ხდება მაგმატოგენური ფლუიდების გათხვადება პეტეროგენული ფაზური გადასვლის გარეშე. გარემოცვაზე მათი ზეგავლენა აისახება კალიუმინ და პროპილიტურ ცვლილებებში. ოქროსშემცველი მცირესულფიდური ეპითერმული საბადოების ხანგრძლივად ფუნქციონირებად პიდროსისტემებში მადალია მეტეორული წყლების წილი. ამის მიუხედავად, მკვლევართა ვარაუდით, ოქრო პიდროსისტემებში შეიძლება შემოეტანათ მაგმური ბუნების ორთქლისებრ-კონდენსირებულ ხსნარებს. დასკვნის სახით კიდევ ერთხელ კუსვამო ხაზს იმას, რომ მადნიანი მინერალების თერმობაროგეოქიმიური კვლევების მრავალრიცხოვან მონაცემთა მიხედვით, პალეოგენურულთარკალურ ნაგებობათა ფერადი ლითონების საბადოები, მიუხედავად იმისა თუ რა გზით ხდებოდა მათში მადანდაგროვება, ჩამოყალიბდა მსგავს PTX პირობებში და ამიტომ, გენეტურად მიეკუთვნება ერთიან ვულკანოგენურ კლასს.

## References

- Altun Y. (1977). Geology of the Çayeli-Madenköy copper-zinc deposit and the problems related to mineralization. Ankara, Mineral Res. Expl. Bull., 89, p.10-24.
- Biju-Duval B., Dercourt J., Le Richon X. (1977). From the Tethys ocean to Mediterranean seas; a plate tectonic model of the evolution of the western Alpine system. Histoire Structural de Bassins Méditerranéens, p.143-164.
- Çakir Ü. (1995). Geological characteristics of the Aşiköy-Toykodu (Küre-Kastamonu) massive sulfide deposits. Mineral. Res. Expl. Bull., 117, p.29-40.

- De Ronde C.E.J., Faure K., Bray C.J., Chappell D.A., Ian C. Wright I.C. (2003). Hydrothermal fluids associated with seafloor mineralization at two southern Kermadec arc volcanoes, offshore New Zealand. *Mineralium Deposita*, 38, p.217-233.
- Güner M. (1980). Sulphide ores and geology of the Küre area Pontides in N Turkey. *Mineral Research and Exploration Bulletin*, p.65-109.
- Hannington M.D., Peter J.M., Scott S.D. (1986). Gold in sea-floor polymetallic sulfide deposits. *Econ. Geol.*, vol. 81, p.1867-1883.
The fact that in authigenic matrix of the rock albite, ripidolithic chlorite, epidote and actinolite are fixed, could point to temperature conditions of both anchimetamorphism and real metamorphism. Though the actinolite is more characteristic of biotite subfacies of greenschist facies metamorphism, it can appear in conditions of  $T=220^{\circ}C$  (Frey et al., 1991; Himmelberg et al., 1995; Schmidt, Robinson, 1997). Actinolites of the Khrami massif metasandstones with slightly raised content of  $Al_2O_3$  and  $Na_2O$  (see Table 2) are represented by small-size prismatic crystals and are associated with the albite domains. Its characteristic reflexes, defined due to X-ray diffraction analysis indicate that there took place a complete deanorthitization of plagioclase. Moreover, the absence of any relic of initial clastic hornblende in the metasandstones means that the occurrence of actinolite in the rock is not caused by the replacement of hornblende. To our mind, tiny prisms of the actinolite are neo-formations in the matrix of the authigenic metasandstones. As to the presence of prehnite in the metasandstones, their occurrence in pseudomorphoses of clastic plagioclase is indicator of prehnite-actinolitic subfacies for the Ca-rich volcanoclastic rocks, but pursuant to the generally

admitted facies gradation, the above-mentioned subfacies is equivalent to the epizone of anchimetamorphism (Liou et al., 1987).

The study of transformation of high temperature clastogene biotite proves that mineral equilibria in the Khrami crystalline massif metasandstones correspond to the conditions of epizone of anchimetamorphism ( $T=270\text{-}300^{\circ}\text{C}$ ), but not to that of chlorite-sericite subfacies of greenschist facies of real metamorphism.

## შესავალი

მეტამორფული პეტროლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დიოთოგენეზისა და ნამდვილი<sup>2</sup> მეტამორფიზმის პროცესების ზუსტი გამიჯვნა. ცნობილია, რომ დანალექი-დან მეტამორფულ ქანებში ნახტომისებურად გადასვლა არ ხდება. 30-იან წლებში პ. ესკოლა აღნიშნავდა, რომ "ჩვეულებრივი დიაგენეზისის გარდა, დასაშვებია გვიანი ან სიღრმული დიაგენეზისი, რომელსაც ადგილი აქვს მასალის დალექვის შემდგომ ბევრად უფრო გვიან. თუ პროცესები მიმდინარეობს დიდ სიღრმეზე, შედარებით მაღალი ტემპერატურისა და წნევის დონეებზე, მაშინ დიაგენეზისი თანდათან გადადის მეტამორფიზმში... გვიანი დიაგენეზისის რეაქციებსა და პროდუქტებს ბევრი საერთო აქვს დაბალი საფეხურის მეტამორფიზმის დროს მიმდინარე რეაქციებსა და წარმოქმნილ პროდუქტებთან...". მოგვიანებით, 60-იან წლებში გ. ზარიძე და ბ. თათრიშვილი აღნიშნავენ, რომ "მოვლენა, რომელიც მოიხსენიება ტერმინით "გვიანი" ან "სიღრმული" დიაგენეზისი, უნდა მიეკუთვნოს საწყის, არა-წონასწორულ მეტამორფულ ფაციესს, რომელიც წარმოადგენს "უფრო დაბალტემპერატურულ საფეხურს, კიდრე ცეოლითური და ალბიტური ფაციესები" (Заридзе, Татришвили, 1964). უფრო მოგვიანებით, 90-იან წლებში საბოლოოდ დადგინდა შუალედური სტადია, სადაც მიმდინარეობს არა დიაგენეზისის ან მეტამორფიზმის, არამედ ანქიმეტამორფიზმის პროცესები.

ზოგადად მიღებულია, რომ ანქიმეტამორფიზმის ზონა მოიცავს ტემპერატურულ ინტერვალს  $T=150\text{-}300^{\circ}\text{C}$ . აღნიშნულ ზონაში გამოყოფილია ეტაპები, რომლებიც სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვაგარადაა წარმოდგენილი. ჩვენ ვემხრობით ანქიმეტამორფიზმის დაყოფის ს. პ. კორიკოვსკისა და მ. პუტიშის მიერ შემოთავაზებულ სქემას, სადაც გამოყოფილია ანქიზონა და ეპიზონა (Кориковский и Путиш, 1999). ამ ავტორთა მიერ შემოთავაზებულია ქანის დაბალტემპერატურული გარდაქმნის შემდეგი სქემა: დიაგენეზისი –  $<150^{\circ}\text{C}$ , ანქიზონა –  $150\text{-}250^{\circ}\text{C}$ , ეპიზონა –  $250\text{-}300^{\circ}\text{C}$ , ნამდვილი მეტამორფიზმი –  $>300^{\circ}\text{C}$ .

დღეისთვის, ლითოგენეზიდან მეტამორფიზმი გადასვლის დაბაზიქსირებელი მინერალური ინდიკატორების მთელი რიგია დადგენილი, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა გრძელდება და ჯერ კიდევ მიეკუთვნება მეტამორფული პეტროლოგიის როგორ საკითხთა რიცხვს. ლითოგენეზისა და მეტამორფიზმს შორის ზუსტი საზღვრის დადგენის სირთულეთა დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია მეტამორფული ქანების საწყის შედგენილობასთან, რადგან რეაქციები მეტაპელიტებში, მეტაბაზიტებსა და კარბონატულ ქანებში არაერთგაროვნადაა დამოკიდებული ტემპერატურაზე, წნევასა და ფლუიდურ რეჟიმზე.

როგორც ცნობილია, მეტამორფიზმის დაბალტემპერატურული საზღვარი გაივლება ქანში ეპიგენეტური გარდაქმნების დამთავრებისას: ეს არის სრული ფიზიკურ-ქიმიური წონასწორობის დამყარების მომენტი, რაც გამოიხატება ყველა ფაზას შორის ფარდობის დაბალანსებაში. იმისთვის, რომ დაბალტემპერატურულ მეტამორფულ ქანში შეფასდეს წონასწორობის ხარისხი, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები: ნატეხოვანი და თიხოვანი მასალის გადაკრისტალების ხარისხი, ცალკეულ ელემენტთა მობილურობა, მეტასტაბილური რეაქციების გაქრობა, რელიქტური მარცვლების გარშემო არმიების წარმოქმნა, ახლადწარმოქმნილ ფაზებს შორის კომპონენტების წონასწორული განაწილება და ქანების სტრუქტურების მოწესრიგება.

ქვემოთ განხილულია ერთ-ერთი ინდიკატორი, რომელიც ქანის გარკვეული ქიმიური შედგენილობის პირობებში, საშუალებას იძლევა დადგინდეს საზღვარი მეტამორფიზმის

<sup>2</sup> მეტამორფიზმის დონე, როცა ქანში დამყარებულია სრული ფიზიკურ-ქიმიური წონასწორობა ( $T>300^{\circ}\text{C}$ ).


უველაზე უფრო დაბალტემპერატურულ - მწვანე ფიქლების ფაციესსა და ანქიმეტამორფიზმს შორის. ეს ინდიკატორი გულისხმობს მაღალტემპერატურული კლასტოგენური ბიოტის ტრანსფორმაციის ხასიათის განსაზღვრას ანქიმეტამორფიზმის პროცესში.

ცნობილია, რომ ბიოტიტი დიდი ინფორმაციის მატარებელი და, ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო მინერალია. ამავე დროს, იგი ბუნებაში საკმაოდ ფართო გავრცელებით სარგებლობს, რაც ხელსაყრელს ხდის მის ინდიკატორად გამოყენებას.

## დისკუსია

დიაგენეზისის სტადიის შემდგომ, ტემპერატურის მატებასთან ერთად, ქანში არსებული მაღალტემპერატურული კლასტოგენური ბიოტიტი განიცდის ტრანსფორმაციას: ანქიმეტამორფიზმის პროცესში იგი გარდაიქმნება მეტასტაბილურ  $Ti$ -ქლორიტიდ და  $Ti$ -ფენიტიდ, ხოლო პროცესის დამთავრებისათვის მთლიანად იშლება და პრაქტიკულად არ ტოვებს რელიქტებს (Korikovsky et al., 1992; Кориковский и Путиш, 1999, Япакурт, Парфенова, 2000). უკვე ნამდვილი მეტამორფიზმის საწყის სტადიაში, აღნიშნული მეტასტაბილური მინერალები გარდაიქმნება მაღალკრისტალურ ქლორიტად და მუსკოვიტად (ფენგიტად).

კლასტოგენური ბიოტიტის ტრანსფორმაცია მიმდინარეობს შემდეგნაირად: ანქიზონაში ჯერ კიდევ გვხვდება მაღალტემპერატურული ბიოტიტი და, ამავე დროს, უკვე ჩნდება  $Ti$ -ქლორიტი და  $Ti$ -ფენიტი, რომლებიც ფსევდომორფულად ანაკვლებს მას; ეპიზონაში აღინიშნება მხოლოდ მაღალტიტანიანი ქარსები, მაგრამ უკვე ჩნდება დაბალტიტანიანი (დაბალტემპერატურული) ქლორიტიც; ნამდვილი მეტამორფიზმის საწყის – ქლორიტ-სერიტულ სუბფაციესში მაღალტიტანიანი ქარსები მთლიანად ქრება და მათ ნაცვლად ჩნდება ასოციაცია ფენგიტი – ქლორიტი – ლეიკოქლენი (სურ. 1). ეს ანომალური მაღალტიტანიანი ქარსები წარმოადგენს გარდამავალ მეტასტაბილურ ფაზას, რომელიც წარმოიქმნება მხოლოდ ანქიმეტამორფიზმის პირობებში. ბიოტიტის ჩანაცვლება  $Ti$ -ქლორიტით თითქოს უცნაური მოვლენაა. მაგრამ აღნიშნული პროცესი 80-იანი წლებიდან უკვე დაფიქსირდა პეტროლოგიურ ლიტერატურაში, როცა პირველად იქნა აღწერილი ასეთი  $Ti$ -ქლორიტი (McDowell, Elders, 1983). ს. კორიკოვსკი და მისი თანაავტორები თვლიან, რომ კლასტოგენური ბიოტიტის ჩანაცვლებით შესაძლოა  $Ti$ -ფენიტის წარმოქმნაც (Korikovsky et al., 1992). მეტამორფიზმის დონის მატებასთან ერთად,  $Ti$ -ფენიტი გარდაიქმნება წვრილებულოვან უფერულ სერიკიტად, სადაც  $TiO_2$  შემცველობა უკვე არ აღემატება 0.77 მას.%. ამ ფაზების მეტასტაბილური ხასიათი და თვით რეაქციაც განისაზღვრება სტრუქტურული მოწესრიგებულობის დაბალი ხარისხით.




სურ. 1. ტიტანიანი ქარსის დეზინტეგრირებული ქერცლი (ფსევდომორფოზა კლასტოგენური ბიოტიტის მიმართ). X 140.

ამგვარად, ეპიზონასა და ნამდვილ მეტამორფიზმს შორის სახლვრის გავლება მაღალ-ტიტანიანი ქარსების გაქრობისთანავე, ჟეიძლება ჩაითვალოს სავსებით მართლზომიერად, რადგან მხოლოდ ნამდვილი მეტამორფიზმის დროს სრულიად ქრება მეტასტაბილური ფაზები და ასოციაციები ხდება წონასწორული.

კლასტოგენური ბიოტიტის ტრანსფორმაცია ქვემოთ განხილულია ხრამის კრისტალური მასივის ე.წ. მეტაქვიშაქვების მაგალითზე.

ხრამის კრისტალური მასივი აგებულია კამბრიულისწინა(?) გნეისურ-მიგმატიტური კომპლექსით, რომელიც წარმოდგენილია ბიოტიტიან-კორდიტიანი პლაგიოგნეისებით, ბიოტიტიან-რქატყუარიანი დიორიტული გნეისებით და მიგმატიტებით (პლაგიოგრანიტული და გრანიტული ლეიკოსომით). აღნიშნული ფორმაცია მეტამორფიზმულია, სავარაუდოდ, ზედაპროტეროზოულ დროში (ბაიკალური ოროფაზის ციკლი) და განაცდილი აქვს პროგრადული მაღალტემპერატურული მეტამორფიზმი. პოსტბაიკალურ ეტაპზე გნეისები და მიგმატიტები გაიკვეთა გაბროიდების ძარღვებით და შტოკებით. ადრე - შუა კარბონულში, ოროგენეზის სუდეტურ ფაზაში გნეისურ-მიგმატიტური კომპლექსის ქანებმა განიცადა გვიანვარისკული მეტამორფიზმი, ინტენსიური გრანიტიზაცია და მასთან დაკავშირებული რეტროგრადული გარდაქმნები (გამკრელიძე, შენგელია, 2005). ძლიერმეტამორფიზმულ კომპლექსში დაფიქსირებულია სუსტადგარდაქმნილი მეტაქვიშაქვებისა და სერპენტინიტების ტექტონიკური ქერცლები (ხუციშვილი, 1977) (სურ. 2).

მეტაქვიშაქვების ტექტონიკური ქერცლი წარმოდგენილია ≈50 მ სიმძლავრის გამოსავლით მდ. ჭოჭიანის ხეობაში (მდ. ხრამის მარჯვენა შენაკადი). ეს ქანები სხვადასხვა დროს შესწავლილი აქვთ ო. ხუციშვილს, მ. კეკელიას (Хуцишвили, 1977, Кекелия, Хуцишвили, 1980), დ. შენგელიას და სხვ. (Шенгелиа и др., 1992), ო. წუწუნავას და სხვ. (Цуцунава, Икошвили, 1998; Цуцунава, Кориковский, 2005). ო. ხუციშვილისა და მ. კეკელიას აზრით, სუსტად-მეტამორფიზებული ქანები წარმოდგენილია მეტაქვიშაქვებით და ამფიბოლიტებით და, გნეისურ-მიგმატიტურ კომპლექსთან ერთად, შედის ხრამის მასივის კრისტალური ფუნდამენტის უძველესი ფორმაციის შემადგენლობაში. ისინი შესაძლებლად თვლიან გენეტიკურ კავშირს აღნიშნულ ქანებსა და კვარციან-დიორიტულ გნეისებს შორის. აღნიშნავენ რა მეტაქვიშაქვებში მკაფიოდ გამოხატულ ფიქლებრიობას, ავტორები არ გამორიცხავენ მათ ტექტონიკურ პოზიციას გნეისურ-მიგმატიტური წარმონაქმნების მიმართ. აღსანიშნავია, რომ შემდგომი კვლევის შედეგად ამფიბოლიტების არსებობა არ დადასტურდა (Шенгелиა და სხვ., 1992; ცუცუნავა, Кориковский, 2005; Гамкрелидзе, Шенгелиა, 2005). როგორც ჩანს, მეტაქვიშაქვების ტექტონიკური ქერცლი წარმოდგენილია ≈50 მ სიმძლავრის გამოსავლით მდ. ჭოჭიანის ხეობაში (მდ. ხრამის მარჯვენა შენაკადი). ეს ქანები სხვადასხვა დროს შესწავლილი აქვთ ო. ხუციშვილს, მ. კეკელიას (Хуцишвили, 1977, Кекелия, Хуцишвили, 1980), დ. შენგელიას და სხვ. (Шенгелиа и др., 1992), ო. წუწუნავას და სხვ. (Цуцунава, Икошвили, 1998; ცუცუნავა, Кориковский, 2005). ო. ხუციშვილისა და მ. კეკელიას აზრით, სუსტადმეტამორფიზებული ქანები წარმოდგენილია მეტაქვიშაქვებით და ამფიბოლიტებით და, გნეისურ-მიგმატიტურ კომპლექსთან ერთად, შედის ხრამის მასივის კრისტალური ფუნდამენტის უძველესი ფორმაციის შემადგენლობაში. ისინი შესაძლებლად თვლიან გენეტიკურ კავშირს აღნიშნულ ქანებსა და კვარციან-დიორიტულ გნეისებს შორის. აღნიშნავენ რა მეტაქვიშაქვებში მკაფიოდ გამოხატულ ფიქლებრიობას, ავტორები არ გამორიცხავენ მათ ტექტონიკურ პოზიციას გნეისურ-მიგმატიტური წარმონაქმნების მიმართ. აღსანიშნავია, რომ შემდგომი კვლევის შედეგად ამფიბოლიტების არსებობა არ დადასტურდა (Шенгелиა და სხვ., 1992; ცუცუნავა, Кориковский, 2005; Гамкрелидзе, Шенгелиა, 2005). როგორც ჩანს, ამფიბოლიტებად მიჩნეულ იქნა აქტინოლიტიანი მეტაქვიშაქვები. მოგვიანებით, მეტაქვიშაქვების დეტალური გეოლოგიურ-მინერალოგიური კვლევის საფუძველზე, დ. შენგელიამ და მისმა თანაავტორებმა დაადგინეს ამ ქანების უფრო ახალგაზრდა ასაკი და მათი აღოქთონური ბუნება (Шенгелиა და სხვ., 1992). ყველა ზემოთაღნიშნული მკვლევარის აზრით, მეტაქვიშაქვების მეტამორფიზმის დონე შეესაბამება მწვანე ფიქლების ფაციესის ქლორიტ-სერიციტულ სუბფაციესს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა კი საფუძველს გვძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ქანებს განცდილი აქვს ანქიმეტამორფიზმი და გადაკრისტალებულია, სავარაუდო, ეპიგენეზისის გვიანი სტადიის პირობებში (Цуцუნავა, Кориковский, 2005).



სურ. 2. ხრამის ქრისტალური მასივის გეოლოგიური აგებულება  
(ო. ხუციშვილის მიხედვით, 1977).

1—სერპენტინიტი; 2—მეტაქვიშაქვა  $Pz_1-Pz_2$ ; 3—გნეისურ-მიგმატიტური კომპლექსი; 4—გაბროიდები; 5—მიკროკლინიანი გრანიტი; 6—კვარციან-პორფირული — გრანიტიან-პორფირული კომპლექსი; 7—რღვევები; 8—ტრანსგრაესიული განლაგება; 9—მეზოზოურ-კაინოზოური დანალექი საფარი.

ხრამის მასივის მეტაქვიშაქვები ხასიათდება მატრიქსის ფიქლებრივი საშუალომარცვლოგანი სტრუქტურით, რომელსაც აქვს, ძირითადად, კვარც-პლაგიოკლაზური შედგენილობა (მეტაფსამიტები), ხოლო ცემენტი წარმოდგენილია აუტიგენური ქლორიტით. ქანის ქიმიური შედგენილობა<sup>3</sup> მოტანილია ცხრილში 1. მეტაქვიშაქვებში გავრცელებული მინერალური ასოციაციებია:  $Qtz+Ab+Chl\pm Bt\pm Pl$ ,  $Qtz+Ab+Chl+Cal$ ,  $Qtz+Ab+Chl\pm Ad\pm Bt$ ,  $Qtz+Pl+Ch$ ,  $Qtz+Ab+Pl+Chl$ ,  $Qtz+Ab+Chl+Act\pm Cal\pm Ep\pm Prh$ <sup>4</sup>. ქანში აღინიშნება ალოტიგენური (კლასტოგენური), აუტიგენური და შემოტანილი მინერალები. აუტიგენური მინერალები წარმოდგენილია ქლორიტით, კვარცით, ალბიტით, ადულარით, კალციით, აქტინოლიტით, ეპიდოტით და პრენიტით. კლასტოგენურ მინერალებს შორის დგინდება მხოლოდ პლაგიოკლაზი, კვარცი და ბიოტიტი. ქვემოთ მოტანილია მინერალების ქიმიური შედგენილობა (ცხრ. 2). აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა ეს მინერალი განვითარებულია გვიანი ეპიგენეზისთვის დამახასიათებელი ფორმებით. ქანი გაჯერებულია დიდი რაოდენობის დაბალტემპერატურული კვარცის შრეებრივი და გამკვეთი ძარღვებით და ადულარის, ალბიტისა და კალციის ძარღვაკებით. მეტაქვიშაქვების პიველადი ბუნების რეკონსტრუქცია მიუთითებს, რომ აღნიშნული მეტაფსამიტების საწყისი ქანები არ წარმოადგენდა წმინდად ტერიგენულ წარმონაქმნებს და იხრებოდა გრაუვაკების ან ფსამიტური ნაკლებთიხიანი ტუფიტების კლასისაკენ; აღინიშნება, აგრეთვე, ანდეზიტ-ბაზალტური ფულკანური მასალის მინარევი, რომელსაც განცდილი აქვს დანალექი დიფერენციაცია და გამოფიტვის პროცესები (Шენგელია დр., 1992; ცუცუნავა, იკოშვილი, 1998).

ხრამის მასივის მეტაქვიშაქვების ალოტიგენურ მინერალებს შორის ყველაზე უფრო ინფორმატიული ფაზაა კლასტოგენური ბიოტიტი ( $Bt_{34-35}$ ) და მისი აუტიგენური გადაკრისტალების პროდუქტები. იგი მცირე რაოდენობითაა ( $\approx 10\%$ ) ქანში და წარმოდგენილია 1-2მმ

<sup>3</sup> ანალიტიკური კვლევები ჩატარებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ლაბორატორიებში.

<sup>4</sup> მინერალთა მიღებული სიმბოლოები:  $Ab$ -ალბიტი,  $Ad$ -ადულარი,  $Act$ -აქტინოლიტი,  $Bt$ -ბიოტიტი,  $Chl$ -ქლორიტი,  $Ep$ -ეპიდოტი,  $Cal$ -კალციიტი,  $Kfs$ -კალიუმის მინდვრის შაბატი,  $Qtz$ -კვარცი,  $Pl$ -პლაგიოკლაზი,  $Phn$ -ფენიტი,  $Prh$ -პრენიტი.

ზომის ქერცლებით, აქვს მურა ფერი და კარგად შენარჩუნებული პლეოქროიზმი, ხშირად გაქლორიტებულია. ზოგჯერ შეიმჩნევა  $K_2O$  დეფიციტი (ნიმ. №409, იხ. ცხრ. 2), რაც მიუთითებს მის ძლიერ ვერმიკულიტიზაციაზე სედიმენტოგრაფზების ან ეპიგენეზების დროს. ბიოტიტის არარეგენირირებული ნატეხოვანი ქერცლები  $TiO_2$ -ის შემცველობით ახლოსაა გრანიტული შედგნილობის ჩვეულებრივი მაღალტემპერატურული ბიოტიტების შედგენილობასთან, მაგრამ მკვეთრად განსხვავდება იმ მცირეტიტანიანი ქარსებისაგან, რომლებიც ჩნდება ნამდვილი მეტამორფიზმის ბიოტიტური სუბფაციების სტადიაზე (იხ. ცხრ. 2).

გარდა კლასტოგენური მაღალტემპერატურული ბიოტიტისა, ქანში გვხვდება მისი აუტიგენური გადაკრისტალების შუალედური პროდუქტი – მეტასტაბილური  $Ti$ -ქლორიტი. იგი წარმოდგენილია მურა ფერის ქერცლებით, ახასიათებს სუსტი პლეოქროიზმი (ან საერთოდ არ ახასიათებს), რომელიც იცვლება უფეროდან მურა-მწვანემდე. ბიოტიტთან შედარებით, მას გარდატეხის დაბალი მაჩვენებელი აქვს და, თუმცა მთლიანობაში აქვს ქლორიტის ქიმიური შედგენილობა, შეიცავს  $TiO_2$  ანომალურ რაოდენობას (იხ. ცხრ. 2). აუტიგენური ქლორიტისგან განსხვავდებით,  $Ti$ -ქლორიტი, როგორც უპვე აღვნიშნეთ, ხასიათდება  $TiO_2$ -ის (0.82 – 2.34) და, აგრეთვე,  $K_2O$ -ის (0.35 – 3.78 %) მაღალი შემცველობებით და შედარებით მაღალი გარდატეხის მაჩვენებლებით –  $Ng-Np = 0.016 – 0.028$ . ამგვარი ოპტიკური მახასიათებლები და ქიმიური შედგენილობა აბსოლუტურად არატიპიურია მატრიქსში გაჩენილი აუტიგენური ღია-მწვანე ქლორიტისთვის. ამ უკანასკნელში  $K_2O$  იცვლება 0.03–0.41 მას.% ინტერგალში, ხოლო  $TiO_2$  – 0–0.25 მას.% ფარგლებში (იხ. ცხრ. 2). ქანში მეტასტაბილური  $Ti$ -ქლორიტი წარმოდგენილია ფსევდომორფოზის სახით და  $TiO_2$ -ის ასეთი მაღალი შემცველობა მას მეტყვიდრეობით აქვს შემორჩენილი ჩანაცვლებული კლასტოგენური ბიოტიტისგან (McDowell, Elders, 1983). რაც შეეხება  $Ti$ -ქლორიტში  $K_2O$  მინარევის არსებობას (იხ. ცხრ. 2), იგი ჩვეულებრივ აისხნება ახლადწარმოქმნილი ილიტის სუბმიკროსკოპული შრეებრივი ჩანაზრდების შექანიკური მონაწილეობით ან, მოცემულ შემთხვევაში, რელიქტური ბიოტიტის დასტების არსებობით.  $K_2O$  ამგვარი მექანიკური მინარევის გამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ძალიან ზუსტი ელექტრონული მიკროსკოპული კვლევისას. საერთოდ კი, შერეულშრეებრივი მეტასტაბილური მინერალის მიკროზონდური ახლიზის დროს მინარევების არსებობის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია.

ამგვარად, ხრამის მასივის მეტაქვიშაქვების მურა  $Ti$ -ქლორიტი გვხვდება მხოლოდ კლასტოგენური ბიოტიტის მიმართ ფსევდომორფოზის ფორმით და ოპტიკური თვისებებით და, რაც მთავარია, ქიმიური შედგენილობით კარდინალურად განსხვავდება იმავე შლიფებში არსებული ახლადწარმოქმნილი წვრილქერცლოვანი ქლორიტისგან (სურ. 3).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კლასტოგენური ბიოტიტის ანქიმეტამორფული რეგენერაცია გამოიხატება ორგავად: ერთი ნაწილის ჩანაცვლება ხდება ფენგიტის და ქლორიტის წვრილქერცლოვანი აგრეგატით და ჩნდება ლეიკოქლენი (როგორც ზოგადად არის ცნობილი), ხოლო მეორე ნაწილი – გარდაიქმნება ოპტიკურად ანომალურ ქარსად, რომლის ქიმიური ანალიზი შეესაბამება ტიტანით მდიდარ  $Ti$ -ქლორიტს ან  $Ti$ -ფენგიტს (Кориковский и Путиш, 1999). მეორე სახის ტრანზორმაცია განიხილება, როგორც ბიოტიტის დაშლის შეალებული პროდუქტი, როცა გვიანი ეპიგენეზის პირობებში, მანამდე, ვიდრე განხდება ლეიკოქლენი, წარმოქმნება ასეთი არაორდინარული შედგენილობის მეტასტაბილური ფაზები. მოცემულ შემთხვევაში, მიმდინარეობს ჩანაცვლების მეორე ვარიანტი, მაგრამ ქანის ქიმიური შედგენილობიდან გამომდინარე (მეტაფასამიტები), მხოლოდ  $Ti$ -ქლორიტის წარმოქმნით. რაც შეეხება ბიოტიტის დაშლის მეორე პროდუქტს –  $Ti$ -ფენგიტს, მისი არარსებობა მოცემულ მეტაქვიშაქვებში აისხნება ქანის ქიმიური შედგენილობით, რომლისთვისაც დამახასიათებელია  $K_2O$  და  $SiO_2$  დაბალი შემცველობები.

ქვემოთ მოკლედ დავახასიათებთ ხრამის მასივის მეტაქვიშაქვების აუტიგენურ ქლორიტს, რადგან მისი ქიმიური შედგენილობა გარკვეულ ინფორმაციას იძლევა ქანის შეცვლის ხარისხს აუტიგენური ქლორიტი არის ქანის ქარსიან-მინდვრისშპატიანი მატრიქსის დომინანტი ფაზა, რომელსაც ახასიათებს დია მწვანე ან მომწვანო-მოყვითალო ფერი და ქლორიტისთვის დამახასიათებელი ოპტიკური კონსტანტები, შედარებით მაგნეზიურია, რეანიანობა ტოლია 23-45% და თითქმის არ შეიცავს  $TiO_2$  და  $K_2O$ . ქლორიტების რენტგენოსტრუქტურული ანალიზით მიღებული მახასიათებელი რეფლექსები –  $dA^0$  14.14 – I B და 7.07 – I B (Шенგелиა и др., 1992) შეესაბამება ქლორიტის ეპიგენეტურ სახესხვაობებს – სეპტექლორიტებს ( $dA^0$  – IB,  $\beta=90^\circ$ ) და ლეპტოქლორიტებს ( $14$   $dA^0$  – I B,  $\beta=90^\circ$ ). ცნობილია, რომ

ქლორიტის ეს სახესხვაობები ტიპიურია გარდაქმნის მხოლოდ დიაგენეტური დონისთვის, ხოლო ეპიზონის ზედა ნაწილისა და ნამდვილი მეტამორფიზმის ქლორიტებისთვის კი დამასასიათებელია რეზლექსები – 14 Å II B,  $\beta=97^\circ$  (Логвиненко, 1974). ქიმიური შედგენილობის მიხედვით, ხრამის მასივის მეტაქვაშაქვების აუტიგენური ქლორიტი შეესაბამება რკინიან-მაგნეზიალურ სახესხვაობას – რიპიდოლიტს, თუმცა მასში აღინიშნება  $MgO$  ოდნავ ამაღლებული შემცველობა – საშუალოდ, 21.70 მას.% (ჩვეულებრივ რიპიდოლიტში  $MgO$  შემცველობა ტოლია – 13.00–20.00 მას.%). ამ ელემენტის ოდნავ მომატებული შემცველობა ქლორიტში აისნება მოცემულ მეტაქვაშაქვებში  $MgO$  შემცველობის აწევლი მაჩვენებლით (იხ. ცხრ. 1). მ. ფრეის მიხედვით (Frey, 1978), რიპიდოლიტის, რომლის სტრუქტურული ფორმულაა –  $(Mg_{2.4-2.9}Fe^{2+}_{2.3-1.7}Al_{1.3})_6(Si_{2.7}Al_{1.3})_4O_{10}(OH)_8$ , გაჩნის ტემპერატურული ინტერვალი შეესაბამება 200–250°C. შედარებისას აღმოჩნდა, რომ განსახილველი აუტიგენური ქლორიტების ჩვენს მიერ გადათვლილი კრისტალოგრაფიული ფორმულები (ცხრ. 3) შეესაბამება რიპიდოლიტის ზედა ტემპერატურულ ზღვარს, ანუ თავსდება ანქიმეტამორფიზმის ტემპერატურულ ინტერვალში (150–300°C).

ხრამის მასივის მეტაქვაშაქვების გარდაქმნის ფაციალური პირობების დასადგენად, ზემოთჩამოთვლილი მკვლევარები ეყრდნობოდნენ ქანის მინერალურ შედგენილობას და აუტიგენური და კლასტოგენური მინერალების ქიმიურ შედგენილობას. მეტაქვაშაქვებში დაბალტემპერატურული მეტამორფიზმისთვის დამასასიათებელი მინერალების არსებობის გამო, ქანის შეცვლის ხარისხი მათ მიაკუთვნეს მწვანე ფიქლების ფაციესის ქლორიტ-სერიციტულ სუბფაციეს. მაგრამ, თანამედროვე შეხედულებებით, ის ვაქტი, რომ ქანის აუტიგენურ მატრიქსში გვხვდება ალბიტი, რიპიდოლიტური ქლორიტი, ეპიდოტი და აქტინოლიტი, შეიძლება მიუთითებდეს როგორც ანქიმეტამორფიზმის, ასევე ნამდვილი მეტამორფიზმის ტემპერატურულ პირობებზე. ცნობილია, რომ აქტინოლიტი უფრო დამასასია-

### ცხრილი 1

ხრამის კრისტალური მასივის მეტაქვაშაქვების ქიმიური შედგენილობა (მას.%)

ნომ.№	$SiO_2$	$TiO_2$	$Al_2O_3$	$Fe_2O_3$	FeO	MnO	$MgO$	$CaO$	$Na_2O$	$K_2O$	$H_2O^-$	$H_2O^+$	$\Sigma$
403	58.77	1.08	16.88	2.31	3.80	0.17	6.04	3.50	2.83	2.03	0.12	2.53	99.86
404	69.33	0.47	13.93	1.16	2.17	0.10	3.53	1.73	2.54	2.81	0.06	2.00	99.87
405	58.91	0.71	15.11	2.29	3.07	0.15	5.34	4.81	2.56	2.33	0.04	4.54	99.86
406	59.78	0.87	16.63	2.90	2.53	0.11	5.73	1.67	2.42	2.67	0.72	3.85	99.89
407	54.59	0.84	15.03	2.95	4.34	0.14	7.45	4.61	2.64	1.97	0.16	5.14	99.86
408	62.16	0.60	14.07	2.21	2.71	0.14	4.52	4.63	3.22	2.00	0.03	3.53	99.87
409	61.97	0.61	13.53	1.76	3.98	0.21	4.88	5.97	2.48	1.83	0.20	2.09	99.83
410	58.95	0.73	14.40	3.01	3.21	0.14	6.23	4.59	2.34	1.88	0.16	4.21	99.82
411	60.24	1.00	15.41	2.10	3.43	0.13	5.74	4.18	3.00	1.59	0.16	2.77	99.83
412	61.30	0.76	13.68	2.70	3.25	0.17	5.53	5.08	2.49	1.92	0.08	2.89	99.85
414	60.99	0.84	14.18	3.31	3.25	0.18	7.21	3.75	2.46	1.45	0.16	2.05	95.86
415	60.50	0.77	14.16	3.23	3.07	0.22	6.45	5.28	2.15	1.33	0.32	2.37	99.86
416	65.32	0.55	13.63	2.48	2.35	0.11	3.73	3.19	2.60	2.71	0.08	3.13	99.88
417	56.85	1.11	15.51	3.66	3.07	0.19	3.71	3.74	2.37	1.36	0.04	3.21	99.86
418	61.83	0.97	14.92	2.75	2.71	0.13	4.50	3.15	2.52	3.24	0.28	3.21	99.80
419	62.71	0.68	14.43	4.03	1.28	0.15	4.99	4.29	2.85	2.07	0.04	2.36	99.85
420	60.99	0.84	14.31	2.71	3.25	0.18	6.45	3.70	2.33	1.86	0.08	3.13	99.83
421	59.70	0.78	14.47	3.07	3.31	0.17	7.02	3.62	2.26	1.37	0.04	3.73	99.83
422	58.93	0.98	14.32	4.15	2.71	0.18	7.38	4.02	2.26	1.29	0.24	3.09	99.84
423	76.44	0.27	9.73	1.11	1.44	0.08	1.87	2.14	2.74	2.53	0.04	1.63	99.92
424	61.39	0.94	15.23	3.17	3.07	0.15	5.13	4.30	2.55	1.80	0.04	2.05	99.85
425	63.53	0.71	14.55	2.10	3.43	0.12	5.96	2.87	2.83	1.17	0.04	2.53	99.86
426	69.32	0.48	14.95	1.10	1.23	0.07	1.46	1.28	2.94	6.02	0.04	0.96	99.89

ცხრილი 2

ხრამის კრისტალური მასივის მეტაქვაზაქვების მინერალების ქიმიური  
შედგენილობა (მას.%)

№	მინერ.	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO	MnO	MgO	CaO	Na <sub>2</sub> O	K <sub>2</sub> O	Σ
403	Chl	28,12 29,59	0,04 0,07	16,35 17,17	22,93 21,20	0,48 0,25	23,72 21,23	0,06 0,30	- 0,19	- 0,08	92,30 90,41
	Ti-Chl	32,33	0,97	17,59	20,37	0,35	20,58	0,39	0,04	1,49	92,74
	Bt*	37,90	2,37	13,40	17,61	0,33	18,33	0,44	-	6,83	97,74
405	Chl	28,15 27,70	0,14 0,10	19,17 20,58	20,23 20,72	0,35 0,33	21,37 22,39	0,07 0,04	0,17 0,15	0,03 0,03	90,04 92,03
	Ab	66,53 66,35	- -	19,07 19,92	1,32 0,27	0,32 0,05	1,47 0,19	0,22 0,19	11,74 10,56	0,08 1,58	100,07 99,55
	Ad	64,83	0,01	19,37	0,16	-	-	0,15	0,13	14,79	100,24
	Kfs*	35,59	-	19,37	1,74	0,04	0,47	0,47	3,13	9,41	100,27
	Pl*	61,23 59,84	0,01 0,02	23,98 24,14	0,07 0,15	0,01 -	-	6,67 7,47	7,63 8,55	0,36 0,30	99,99 100,47
408	Act	52,43	0,21	3,24	13,08	0,41	17,29	11,82	0,52	0,20	99,21
		52,44	0,26	3,31	13,29	0,70	17,20	11,39	0,65	0,26	99,80
		52,79	0,23	3,58	12,78	0,59	16,71	12,01	0,35	0,26	99,35
441	Act	52,55	0,57	5,08	13,05	0,51	15,62	11,63	1,04	0,35	100,41
		52,46	0,66	5,09	13,06	0,62	15,42	11,92	0,59	0,78	100,32
	Ti-Chl	33,26	1,92	15,81	17,75	0,26	17,14	0,68	-	0,99	92,81
		36,72	2,34	15,52	18,17	0,26	18,02	1,64	-	0,71	95,36
		30,38	1,36	16,82	18,32	0,35	19,02	0,17	-	3,78	93,80
		34,28	1,93	17,33	18,41	0,32	18,29	0,63	-	1,39	92,63
415	Ti-Chl	30,41	1,24	16,41	19,67	0,50	22,26	0,38	-	0,41	91,25
		30,10	2,18	16,35	19,55	0,49	20,02	1,67	0,06	0,35	90,74
		30,45	0,82	17,71	21,29	0,39	21,37	0,30	-	0,47	92,80
	Chl	29,44	0,41	17,70	25,36	0,27	19,35	0,17	0,02	0,25	93,00
416	Chl	23,38	0,17	17,37	25,43	0,48	20,42	0,05	-	0,25	90,58
		26,44	0,28	17,29	25,32	0,41	20,24	0,14	-	0,05	90,16
		26,39	0,07	17,55	25,52	0,57	21,00	0,02	0,26	0,02	91,40
		23,30	0,12	17,95	25,58	0,43	19,00	0,08	0,16	0,12	90,29
	Ti-Chl	26,33	1,01	17,34	21,81	0,55	20,13	0,72	-	0,19	91,46
	Pl*	59,41	-	24,04	-	-	-	7,27	8,94	0,43	100,09
417	Act	50,94	0,19	3,74	15,01	0,71	16,21	11,75	0,43	0,25	99,23
		52,99	0,19	3,65	14,05	0,03	16,50	10,99	0,45	0,26	99,71
	Chl	27,94	0,06	18,65	22,57	0,43	21,90	0,11	0,18	0,01	91,85
		27,68	0,03	19,11	22,87	0,47	22,45	0,06	-	0,01	92,68
	Ti-Chl	32,36	1,18	17,61	20,34	0,31	23,41	0,13	-	1,36	97,17
		33,59	1,68	16,53	17,27	0,34	22,14	0,41	0,15	2,97	95,08
	Bt*	36,15	2,26	13,97	16,95	0,30	18,44	0,07	0,19	10,18	98,87
	Adu	66,14	-	17,87	-	-	0,01	0,01	0,17	15,45	99,65
420	Chl	30,92	-	14,42	14,68	0,31	27,19	1,20	0,46	0,07	89,25
		27,88	0,37	16,14	21,24	0,36	24,52	0,34	0,11	0,11	90,87
	Act	52,99	0,19	3,14	13,08	0,70	18,05	11,09	0,34	0,23	99,78
		52,95	0,24	3,85	12,17	0,72	17,85	11,07	0,63	0,23	99,71

\* კლასტოდენური მინერალები

მეტაქვაზაქვების მინერალური პარაგენეზის შედეგები:

№403 – Chl<sub>36</sub>+Qtz+Ab+[Bt<sub>35</sub>, Pl];

№405 – Chl<sub>34</sub>+Ab(Pl<sup>1</sup>)+Ad<sup>11</sup>+[Qtz, Pl<sup>33</sup>, Kfs<sup>34</sup>];

№408 – Act<sub>30</sub>+Chl+Ab+Qtz±Ka+[Qtz, Pl, Bt];


№416 – Chl<sub>40-43</sub>+Act+Qtz+Ab±Cal+[Pl<sup>31</sup>];

№415 – Chl<sub>32-42</sub>+Act+Ab+[Pl, Qtz];

№418 – Act+Chl<sub>37</sub>+Qtz+[Pl, Bt];

№417 – Act<sub>32-34</sub>+Chl<sub>30-37</sub>+Ad<sup>0</sup>+Qtz+Ab+[Pl, Bt, Kfs];

№420 – Chl<sub>23-33</sub>+Act+Chl+Qtz+Ab+[Pl].



სურ. 3. ხრამის კრისტალური მასივის მეტაქვიშაქვების ქარსებში Ti და K თანაფარდობა (იხ. ცხრ. 2)  
1—აუტიგენური ქლორიტი მატრიქსიდან, 2—აუტიგენური Ti-ქლორიტი (ფსევდომორფოზები კლასტო-  
გენური ბიოტიტის მიმართ), 3—კლასტოგენური ბიოტიტი.

ცხრილი 3

ხრამის კრისტალური მასივის მეტაქვიშაქვების აუტიგენური ქლორიტების (იხ. ცხრ. 2)  
კრისტალოქიმიური ფორმულები (გადათვლილია უანგბადის 14 ატომზე)

№	Si	Ti	Al <sup>IV</sup>	Al <sup>VI</sup>	Fe	Mn	Mg	Ca	Na	K	X <sub>Fe</sub> %	ΣOK
403	2.79	0.01	1.21	0.77	1.90	0.04	3.28	0.01	-	-	36	6.00
	2.96	0.01	1.04	0.98	1.78	0.02	3.16	0.07	0.02	-	36	5.95
405	2.65	0.01	1.35	1.33	1.60	0.03	3.03	0.01	0.03	-	35	6.00
	2.54	0.01	1.46	1.35	1.60	0.02	3.05	0.01	-	-	34	6.00
415	2.71	0.03	1.29	1.15	2.15	0.02	2.66	0.02	0.01	0.02	45	6.00
	2.56	0.01	1.44	1.07	2.07	0.02	2.85	-	-	0.02	42	6.00
	2.57	0.02	1.43	1.07	2.07	0.03	2.83	0.01	-	-	42	6.00
	2.54	0.01	1.46	1.06	2.06	0.04	2.86	-	0.03	-	42	6.19
416	2.60	0.01	1.40	1.19	2.09	0.04	2.70	0.01	0.01	-	43	6.00
	2.61	-	1.39	1.21	1.77	0.01	3.05	-	-	-	37	6.00
	2.57	-	1.43	1.21	1.78	0.02	3.00	-	-	-	37	6.00
	2.91	-	1.09	0.93	1.15	0.02	3.82	0.12	0.08	0.01	23	5.92
420	2.63	0.03	1.37	0.91	1.70	0.03	3.33	0.03	0.02	0.01	34	6.00

თებელია მწვანე ფიქლების ფაციესის ბიოტიტური სუბფაციესისთვის, მაგრამ ბოლო წლებში მიჩნეულია, რომ მისი გაჩენა შესაძლებელია 220 °C ტემპერატურაზეც (Frey et al., 1991; Himmelberg et al., 1995; Schmidt, Robinson, 1997). ხრამის მასივის მეტაქვიშაქვების აქტინოლიტი, რომელშიც  $\text{Al}_2\text{O}_3$  და  $\text{Na}_2\text{O}$  რამდენადმე ამაღლებული შემცველობა (5%-მდე) აღინიშნება (იხ. ცხრ. 2), წარმოდგენილია მომცრო ზომის პრიზმული კრისტალების სახით და უკავშირდება ალბიტის დომენებს. ამაზე მეტყველებს აგრეთვე, რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგად მიღებული მისი მახასიათებელი რეფლექსები. ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ მოხდა პლაგიოკლაზის სრული დეანორთიტიზაცია, რადგან აქტინოლიტის რეფლექსები ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა ქანში აღარ არის პლაგიოკლაზი. გარდა ამისა, პირველადი კლასტოური რქატყუარის არცერთი რელიქტი მეტაქვიშაქვებში არ ფიქსირდება, რაც მიანიშნებს, რომ აქტინოლიტის გაჩენა არ არის გამოწვეული რქატყუარის ჩანაცვლებით. ყოველივე ზემოთადნიშნულიდან გამომდინარე ვოვლით, რომ აქტინოლიტის პარაჭინა პრიზმები აშკარად ახლადწარმონაქმნებია მეტაქვიშაქვების აუტიგენურ მატრიქსში. რაც შეეხება მეტაქვიშაქვებში პრენიტისა და ეპიდოტის ჯგუფის მინერალების არსებობას, ისინი აღმოჩენილია პლაგიოკლაზის ინტენსიურად გასოსეურიტებულ უბნებზე. პრენიტის გაჩენა კლასტოური პლაგიოკლაზის მიმართ ფსევდომორფოზებში წარმოადგენს პრენიტ-აქტინოლიტური სუბფაციესის ინდიკატორს  $\text{Ca}$ -ით მდიდარი ვულკანიკლასტური ქანებისთვის.

საყოველთაოდ მიღებული ფაციალური გრადაციის მიხედვით კი, აღნიშნული სუბფაციესი ანქიმეტამორფიზმის ეპიზონის ექვივალენტურია (Liou et. al., 1987). აქტინოლიტის, რომელიც შეიცავს 5.04 მას.%-მდე  $\text{Al}_2\text{O}_3$  და 1.04 მას.%-მდე  $\text{Na}_2\text{O}$ , არსებობა შესწავლილ ქანებში არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ მიღებულ დასკვნას, რადგან პრენიტ-აქტინოლიტურ სუბფაციესში ეს სიდიდეები აღწევენ 7.6 და 2.2 მას.-%-ს, შესაბამისად (Bevins, Merriman, 1988).

ამრიგად, ბიოტიტის დაშლის მეტასტაბილური პროდუქტის – Ti-ქლორიტის თანა-არსებობა ქანის მატრიქსის ისეთ ახლადწარმოქმნილ წონასწორულ ფაზებთან, როგორიცაა ქლორიტი, აქტინოლიტი, ეპიდოტის ჯგუფის მინერალები და პრენიტი, მაჩვენებელია სწორედ ანქიმეტამორფიზმის არაწონასწორული პროცესისა (Кориковский и Путиш, 1999). უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქანში კლასტოგენური ბიოტიტის შენარჩუნება, მიუთითებს ქანის გარდაქმნაზე ანქიმეტამორფიზმის პირობებში, რომლის ტემპერატურა არ აღემატება  $250^{\circ}\text{C}$  (Япаскурт, Парфенова, 2000).

## დასკვნა

სტატიაში განხილულია მაღალტემპერატურული ბიოტიტის ტრანსფორმაციის ხასიათი ნამდვილი მეტამორფიზმისა და ანქიმეტამორფიზმის სახდვარზე. აღნიშნული მინერალური გარდაქმნა ჩვენს მიერ გამოყენებულია ხრამის კრისტალური მასივის ე. წ. მეტაქვიშაქვების შეცვლის ფაციალური პირობების დასადგენად. ქანის ქიმიური შედგენილობიდან გამომდინარე, სწორედ ამ მინერალის გარდაქმნის თავისებურებების დაგენა აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მოცემული მეტაქვიშაქვების მეტამორფიზმის დონის განსასაზღვრად.

მეტაქვიშაქვების აუტიგენურ მატრიქსში რიგი „მეტამორფული“ მინერალის არსებობა შეიძლება მიუთითებდეს როგორც ნამდვილი მეტამორფიზმის, ასევე ანქიმეტამორფიზმის ტემპერატურულ პირობებზე. ამიტომ, გადამტკვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტორს: ქანის ნატეხოვან ფაზაში მაღალტემპერატურული ბიოტიტის ქრიცლების ნაწილობრივ შენარჩუნებას და, ამავე დროს, მისი ნაწილის გარდაქმნას სპეციფიურ მურა ფერის მეტასტაბილურ  $\text{Ti}-\text{ქლორიტ}$ ; ერთიც და მეორეც შესაძლებელია მხოლოდ ანქიმეტამორფიზმის ეპიზონაში (Korikovsky et.al., 1992; Кориковский, Путиш, 1999). ტემპერატურის მატებასთან ერთად, მაღალტემპერატურული რელიქტური ბიოტიტი მთლიანად იშლება, ხოლო მეტასტაბილური ფაზები ადარ ფიქსირდება, რაღაც ქლორიტ-სერიციტული სუბფაციესისთვის კრიტიკულ პარაგენეზისში  $\text{Ti}-\text{ქლორიტ}$  ანაცვლებს წვრილქერცლოვანი ფენგიტი და დაბალტემპერატურული ქლორიტი,  $\text{Ti}$ -ის ოქსიდების მინარევის წარმოქმნით.

მაღალტემპერატურული კლასტოგენური ბიოტიტის ტრანსფორმაციის კვლევის შედეგად დგინდება, რომ ხრამის კრისტალური მასივის მეტაქვიშაქვებში მინერალური წონასწორობები შეესაბამება ანქიმეტამორფიზმის ეპიზონის პირობებს ( $T=270-300^{\circ}\text{C}$ ) და არა ნამდვილი მეტამორფიზმის მწვანე ფიქლების ფაციესის ქლორიტ-სერიციტული სუბფაციესის დონეს.

## ლიტერატურა

შენგელია დ., ხუციშვილი ო. და სხვ. (1992). ახალი მონაცემები ამიერკავკასიის შეა მასივის ხრამის შეცემის მდ. ჭოჭიანის მეტამორფიტების გამოსავლის შესახებ // სტუს სამეცნიერო შრომათა კრებული. №7 (390). გვ. 9-25.

წუწუნავა ო., იქოშვილი ნ. (1998). ხრამის კრისტალური მასივის მეტამორფიტების შესახებ // სტუს სამეცნიერო შრომათა კრებული. №4 (420). გვ. 78-85.

Bevins R.E., Merriman R.J. (1988). // Journal of Metamorphic Geology. V.6. P. 17-39.

Frey M. (1978). Progressive Low-Grade Metamorphism of a Black Shale Formation, Central Swiss Alps, with Special Reference to Pyrophyllite and Margarite Bearing Assemblages // Journal of Petrology. V.19. №1. P. 95-135.

Frey M., Capitani C., Liou J.G. (1991) // Journal of Metamorphic Geology. V.9. P. 497-509.

Himmelberg G.R., Brew D.A., Ford A.B. (1995) // GSA, Special Paper 296. P. 51-66.

Korikovsky S. P., Putiš M., Boronikhin V. A. (1992). Ankhimetamorphism of Permian sandstones of the Strujhenik Group in the Nizke Tatry Mts. // Geologica Carpathica. V.43. N 2. P. 97-104.

- Liou J.G., Maruyama S., Cho M. (1987). Very low-grade metamorphism of volcanic and volcanogenic rocks – mineral assemblages and mineral facies. In: Low Temperature Metamorphism (Ed. by M. Frey). Blackie and Son LTD. Glasgow. P. 59-113.
- McDowell S.D., Elders W.A. (1983). Allogenic layer silicate minerals in the borehole Elmore 1, Salton Sea geothermal field, 7 California // Amer. Mineral. V. 68. P. 1146-1159.
- Schmidt S.Th., Robinson D. (1997.) // GSA Bulletin. V. 109. N6. P. 683-697.
- Tsutsunava T., Korikovsky S.P. (2005). Ankhimetamorphic Metasandstones of the Khrami Crystalline Massif, Georgia: Mineral Assemblages, Formation Conditions and Geological Setting // Doklady Earth Sciences (Acad. Scie. of Russia). V. 405 A. N9. P. 1399-1403.
- Гамкрелидзе И.П., Шенгелиа Д.М. (2005). Докембрийско-палеозойский региональный метаморфизм, гранитоидный магматизм и геодинамика Кавказа. М.: «Нучный мир». 458 с.
- Заридзе Г.М., Татришвили Т.Ф. (1964). Соображения о метаморфических фациях. Вопросы геологии Грузии. К XXII сессии МГК. Тбилиси. Изд-во «Мецниереба». С. 43-54.
- Кекелия М. А., Хуцишвили О.Д. (1980). Петрологические особенности пород гнейсово-мigmatитового комплекса Храмского массива // Известия геологического общ.-ства Грузии. №9. С. 109-111.
- Кориковский С.П., Путиш М. (1999). Эволюция аутигенных и кластогенных К-слюд на границе анхиметаморфизм – низкотемпературный метаморфизм в меловом тектонометаморфическом цикле Западных Карпат // Петрология. Том 7. № 4. С. 382-401.
- Логвиненко Н.В. (1974). Петрография осадочных пород. М.: Высшая школа. 400с.
- Хуцишвили О.Д. (1993). Состав, строение и формирование Внутрикавказского массива // Докт. диссертация. Тбилиси. Фонды ГИН Грузии. 414 с.
- Япакурт О.В., Парфенова О.В. (2000). Индикаторные признаки слюд и хлоритов терригенных пород в зонах позднего катагенеза – метаморфизма // Петрология. Том 8. №5. С. 506-518.

UDC 553.3.072

**საკენის გადნიანი ველი (გაგასიონი, სვანეთი):  
ფორმირების ძირითადი ფაზები და პრიორული დანართები**

**ა. ოქროსცვარიძე<sup>1</sup>, დ. ბლაშვილი<sup>2</sup>**

<sup>1</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხივ აღექსანდრე ჯანელიძის  
გეოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი 0171, მ. აღექსიძის 1/9. E-mail: golddew@gmail.com  
<sup>2</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 0175, მ.კოსტავას ქ. 77.

კავკასიონის კრისტალურ ფუნდამენტში, საგნის ვარისკანული გრანიტორიზული ინტენსივობისა და გრანიტ-მიგმატიზური კომპლექსის კონტაქტის ზონაში ხანგრძლივი კვლევის შედეგად ავტორების მიერ გამოყოფილი იქნა საკენის მადნიანი ველი. გამადნება მიეკუთვნება კვარც-ოქრო-მცირე სულფიდურ გენერაციურ ტიპს, რომელიც მთლიანად კონტროლდება ალიგეტის რეგიონული შეცოცებით და მისი გამკვეთი ახალგაზრდა რდვევათა სისტემით. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ თანამედროვე ერთზია აშშველებს მადნიანი სისტემის ძირითადად ფრონტალურ, კვარც-ოქრო-ანთო-მონიტურ ასოციაციებს, რის გამოც აგტორები უშებენ, რომ ქვედა ფენებში მოსალოდნელია შტო-კვერკული კვრც-ოქროიანი მდლავრი გამადნება.

**Sakeni Ore Field (the Greater Caucasus, Svaneti): Main Factors of Formation and Prospects.**  
**Okróstvaridze A.<sup>1</sup>, Bluashvili D.<sup>2</sup>.** Ministry of Education and Science of Georgia, LEPL Alexandre Janelidze Institute of Geology, 1/9 M. Alexidze st., 0171 Tbilisi, Georgia. E-mail: [a.golddew@gmail.com](mailto:a.golddew@gmail.com)<sup>2</sup>. Georgian Technical University, 77 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia.

As a result of long-term researches in the Svaneti region, by the authors a new gold manifestation was discovered along the Alibek thrust zone, which they named as the Sakeni ore field (SOF). SOF is localized along the North contact of Sakeni granodioritic intrusive and controlled by Alibek thrust and a system of young submeridional cross faults. The ore bodies are formed in the tectonized and greisenized rocks of granite-migmatitic complex and by veins, lens and nests are represented. Three ore associations are distinguished there: quartz-scheelite, quartz-pyrite-

arsenopiritic and quartz-antimonitic. Gold is observed in all of them, but the highest concentration is remarked in quartz-pyrite-arsenopyritic associations. Authors assume that SOF represents a postmagmatic gold-quartz-low sulfide hydrothermal formation, which is characteristic of orogenic systems.

**Сакенское рудное поле (Большой Кавказ, Сванетия): основные факторы образования и перспективы А.В. Окросцваридзе<sup>1</sup>, Д.И Блуашвили<sup>2</sup>.** Министерство просвещения и науки Грузии. ЮЛОП Институт геологии им. А.Джанелидзе, Тбилиси 0171, ул. М.Алексидзе 1/9. E-mail: [a.golddew@gmail.com](mailto:a.golddew@gmail.com).<sup>2</sup> Грузинский технический университет, Тбилиси, ул. М.Костава 77, 0175, Грузия.

В кристаллическом фундаменте Большого Кавказа, в зоне контакта Сакенского гранодиоритового интрузива варисцской генерации и домезозойского гранит-мигматитового комплекса, в результате длительных исследований авторами было выделено Сакенское рудное поле. Оно относится к кварц-золото-низкосульфидному генетическому типу и целиком контролируется Алибекским региональным надвигом и системой секущих молодых разломов. В результате проведенных работ современная эрозия, в основном, обнажает низкотемпературную фронтальную кварц-золото-антимонитовую часть рудной системы.

### Abridged English Version

The Greater Caucasus represents a collision orogen extending over 1200 km between the Black and Caspian Seas in the NW-SE direction. In its make-up, two major structural stages are distinguished: the Pre-Alpine crystalline basement and Alpine volcanic-sedimentary cover. Basement complex (200 km x 40 km) is mainly built up of the Pre-Cambrian and Paleozoic amphibolites, crystalline schists, gneisses, migmatites and granitoids. Several terranes are identified, separated by regional tectonic unconformities or Jurassic depressions, along which they come closer or touch each other. The Main Range zone (terrane) is the best exposed part which is constructed of two subterranea: the Elbrus and Pass subterranea (Gamkrelidze and Shengelia, 2005). The first is an upper crust anatetic formation, in which S-type granitoid magmatism is intensively manifested. The second one is the result of mantle–crust interaction and here I-type granitoid magmatism is displayed. (Okrostsvardze, 2007). On the northern slope of the Greater Caucasus they are separated by Arkhis-Klich Jurassic depression whereas on the southern slope (the area of our investigation) by Alibek regional thrust, which represents the Eastern continuation of the mentioned depression.

The Alibek regional thrust (SW-NW, <50-60°) is a main tectonic unit of the region, along which granite-migmatite complex of the Elbrus subterrane overthrusts the Sakeni granodioritic intrusive of the Pass subterrane. Within the zone the thickness of which reaches 400-600m the rocks are subjected to brecciation, milonitization and greisenization. The Alibek thrust is intersected by comparatively short submeridional faults, supposedly of Alpine generation. Granite-migmatite complex is a collision anatetic formation, which was formed in the Paleozoic under the conditions of HT-LP type metamorphism. Sakeni intrusive is of diorite-quartzdiorite-adamellite composition (outcrop 77km<sup>2</sup>) and as lens like body extends in the Greater Caucasian (SE-NW) direction. It is a metaluminous mantle-crust I type formation, which formed during the Upper Carboniferous (315±5 Ma; Rb-Sr age).

As a result of our long (1990-2007) research work in Svaneti region, new gold manifestation was discovered along the Alibeg thrust zone, which we named as Sakeni ore field (SOF). During of field works more than 1000 samples were gathered. They underwent through petro-geochemical investigation. Gold and other ore-elements concentrations were determined in different laboratories; during the last three years in ALS Chemex (Vancouver, Canada) laboratory, using ICP method.

At the present stage of study in the SOF the following ore manifestations are revealed: 1- Kakrinachkuri, 2- Hokrila, 3 – Memuli, 4 – Achapara. They are localized along the North contact of the Sakeni granodioritic intrusive and controlled by Alibek thrust and a system of young submeridional cross faults. The ore bodies are formed in the tectonized and greisenized rocks of granite-migmatites complex and by veins, lens and nests are represented. Three ore associations are distinguished there: quartz-scheelite, quartz-pyrite-arsenopiritic and quartz-antimonitic. Gold is observed in all of them, but the highest concentration is remarked in quartz-pyrite-arsenopyritic associations. The Hokrila ore manifestation zone is the best studied area of the SOF. It is exposed on the left slope of the river Hokrila, is traced along 2.3 km and it amounts maximum thickness (~500m) in the central part. Au content in quartz-pyrite-arsenopyritic association reaches 30 g/t at some areas, but average concentration is in the range of 6.11 g/t. Au content in quartz-antimonite associations is not high (from 1.23 g/t to 2.33 g/t), but Sb concentration reaches to 5-6%. Quartz-scheelite associations are met only in the western, the most arisen block of the Hokrila area, where W concentration reaches 2.21%. The Achapara ore manifestation zone follows the Achapara river right slope on approximately 2 km with ~400 m thickness. Like the Hokrila manifestation, the highest gold content in

Achapara is revealed in quartz-pyrite-arsenopyrite association, where its highest concentration amounts to 17.03 g/t, and average content is 4.17 g/t. In quartz-antimonite association gold content is not high (from 0.91 g/t to 1.74 g/t), but Sb concentration in this association is in the range of 3.54%. The Memuli ore manifestation zone crops out between the Hokrila and Achapara ore manifestations. It is traced approximately along 1.8 km and attains 600-700 m of thickness. Au concentration in quartz-pyrite-arsenopiritic association ranges from 0.62 g/t to 2.84 g/t; as average content reaches 1.26 g/t. In quartz-antimonite association Au content is in the range of 1.0 g/t and Sb reaches 1.8%. The Kakrinachkuri ore manifestation is exposed on the NE edge of the Sakeni intrusive and it follows the intrusive along 400 m with 40 m thickness. Gold composition in quartz-pyrite-arsenopyrite associations reaches 2.43 g/t and in quartz-antymonite is in the range of 1.0 g/t. In these associations Sb average concentration is 2.12%.

As a result of our investigation a simplified genetic model of SOF is established: sinorogenic thermal events activated fluid system which mobilize from Sakeni intrusive ore elements. It is moving along the natural route in the Alibek thrust zone, there ore-associations were set on the barriers made by the thrust itself. We assume that SOF represents post-magmatic gold-quartz-low sulfide hydrothermal formation, which is characteristic of orogen systems (Goldfarb et al., 2005).

## შესავალი

კავკასიონი წარმოადგენს ფანეროზოულ კოლიზიურ თროგენულ სისტემას, რომელიც გაიდევნება დაახლოებით 1200 კმ-ზე, ტამანის ნახევარკუნძულიდან აფშერონის ნახევარკუნძულამდე და მაქსიმალურ სიგანეს (180 კმ) აღწევს ცენტრალურ ნაწილში. თანამედროვე ტექტონიკური დარაიონების მიხედვით იგი განიხილება როგორც კავკასიონის ტერიტორია (Gamkrelidze, 1997). მის ფორმირებაში აშკარად გამოიყოფა ორი დიდი ეტაპი: მეზოზოურამდელი და მეზოზოურის შემდგომი. კავკასიონზე მეზოზოური ეტაპი იწყება ტრანსგრავით, რევინალური უთანხმოებით და ქანების ფორმაციული ცვლილებებით, ხოლო კავკასიონის მეზოზოურამდელი კრისტალური წარმონაქმნები გეოლოგიურ ლიტერატურაში განიხილება როგორც კრისტალური ფუნდამეტი. მისი გაშიშვლებანი ოროგენის ცენტრალულ ნაწილში გაიდევნება დაახლოებით 200 კმ-ზე, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე არ აღმატება 40 კმ-ს. კავკასიონის მეზოზოურამდელი ფუნდამენტი წარმოადგენს როგორც ჰოლიზოურ-აკრეციულ წარმონაქმნებს, რომელიც ძირითადად აგებულია პან-აფრიკული, კალედონური და ვარისციული პლაგიოგნეისებით, გრანიტოგნეისებით, კვარციანი დიორიტებით, გრანოდიორიტებით, კრისტალური ფიქლებით, ამფიბოლიტებით და ოფიოლიტების ფრაგმენტებით (Шенგелиა и др., 1991; Гамкрелидзе, Шенгелиა, 2005; Окросцვаридзе, 2007; და სხვები). მასში გამოიყოფა რამდენიმე სტრუქტურულ-ფორმაციული ერთეული, რომლებიც გამიჯნულნი არიან ერთმანეთისგან რევინალური ტექტონიკური უთანხმოებით ან სუბურული ზონების გასწვრივ განვითარებული იურული დეპრესიებით.

გასული საუკუნის ბოლო წლებამდე ითვლებოდა, რომ კავკასიონის მეზოზოურამდელი კრისტალური ფუნდამენტი საქართველოს ფარგლებში დარიბია სასარგებლო წიაღისეულით, მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩატარებულიმა სამუშაოებმა აჩვენა ამ შეხედულების უსაფუძვლობა (Окросцვаридзе 1987, 1992; Шенгелиა и др., 1997; Квициани и др., 1995, 1997; Okrostsvardze, Bluashvili, 2000; Okrostsvardze et al., 2005). მადნიანი მინერალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვარისციული გენერაციის მანტიურ-ქერქული გენეზისის საკენის გრანიტოდენდრიტული ინტრუზივის ჩრდილო კონტაქტის ზონა მეზოზოურიამდელ ანატექტურ გრანიტ-მიგმატიტურ კომპლექსთან. ზონა გაუყვება ალიბეკის რევინალურ შეცვლებაც, რომლის ფარგლებშიც აღინიშნება რამდენიმე პერსპექტიული მადანგამოვლინება, რომელთა სივრცობრივი კავშირი და საკაროუდოდ პარაგენეტურიც საკენის ინტერუზივთან აშკარაა. ამ ზონაში ჩვენს მიერ ჩატარებული მრავალწლიანი (1990-2007 წლები) სამუშაოების შედეგად, გამოიყოფილი იქნა ოქრო-კვარც-დაბალსულფიდური პიდროთერმული გენეტური ტიპის საკენის მადნიანი ველი, რომლის მოკლე აღწერას გთავაზობთ ამ სტატიაში.

## ფაქტობრივი მასალა

საველე სამუშაოების შედეგად შედგენილი იქნა საკენის მაღნიანი ველის სქემაზე გეოლოგიური რუკა; გამადწების შემცველი ქანებიდან აღებული იქნა 300-ზე მეტი სინჯი, რომელთაგანაც 100-ზე მეტ სინჯს ჩატარდა სრული სილიკატური და გეოქიმიური ანალიზები; მაღნიანი ასოციაციებიდან წერტილოვანი მეთოდით აღებული იქნა 1000-ზე მეტი სინჯი, რომელთა საშუალო წონა 5-7გგ-ს შეადგენდა, რომელთა მაღნიანი ელემენტების ანალიზები ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის, ფირმა “გამა”-ს, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის და კაზრეთის სამთო-გამამდიდრებული კომპინატის ლაბორატორიებში აღმოჩენა-ასორბციული მეთოდით; 2007 და 2008 წლებში მაღნიანი სინჯების ანალიზები შესრულდა ვანკუვერის (კანადა) ALS Chemex ლაბორატორიაში ინდუქციური პლაზმური სპექტროსკოპიის მეთოდით (ICP).

### რაიონის მოპლე გეოლოგიური დახასიათება

საკენის მაღნიანი ველი (სურ.1) ფორმირებულია კავკასიონის სამხრეთ ფერდზე ოქბერდისა და სოფიის სუბტერენულების კოლიზიის ზონაში. ამ შეხების გასწვრივ, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც ალიბეგის რეგიონალური უთანხმოება, თებერდის სუბტერენის გრანიტ-მიგმატიტური კომპლექსის ქანები შეცოცებულია სოფიის სუბტერენის საკენის დიორიტ-გრანიტორიტულ ინტრუზიზე.

ალიბეგის რეგიონალური შეცოცება (SW-NW, <60-70°) წარმოადგენს რაიონის ძირითად ტექტონიკურ ერთეულს, რომელიც რელიეფში კარგადაა გამოხატული ციცაბო ფერდობებისა და კარნიზების სახით. შეცოცების სიმძლავრე ზოგ უბანზე 500 მეტრსაც კი აჭარბებს, რომლის მოქმედების არეალში ქანები განიცდიან ინტენსურ დანაპრალიანებას, ბრექჩიორებას და გრეიზნიზაციას. იგი იკვეთება შედარებით მცირე გამწერილი სუბმერიდიანული, სავარაუდოდ ალპური გენერაციის რღვევებით, რომელთა გასწვრივაც გადაადგილებულია როგორც ტექტონიზირებული და გრეიზნიზირებული ქანები, ასევე გამადნებული უბნებიც. ადსანიშნავია, რომ ხშირად Au, Sb და As მაღალი კონცენტრაციები ამ რდვევათა სისტემის მოქმედების არეალებს უკავშირდება, უფრო კონკრეტულად, მათი შეუძლების კვანძებს ალიბეგის რეგიონალურ შეცოცებასთან.

გრანიტ-მიგმატიტური კომპლექსი წარმოადგენს ანატექტური ქარსიანი გრანიტების და მიგმატიტების გენეტურ ერთობლიობას, სადაც მიგმატიტები წარმოდგენილია სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპებით, ხოლო გრანიტოდები, როგორც თანხმობითი ისე მობილიზებული გამკვეთი სხეულებით. ამ კომპლექსის პროტილით წარმოადგენდა ძირითადად ამფიბოლიტურ ფაციესში მეტამორფიზებული ქვედა-შუაპალეოზოური მეტატერიგვნული ნალექები. მაგრამ გენერაცია მიმდინარეობდა შერჩევითი ლიფტის პირობებში დაბალი წნევის (2.2-3.7 კბ) და მაღალი ტემპერატურის (700-750°C) პირობებში. გეოლოგიური, პეტროლოგიური და გეოქიმიური მონაცემებით ეს კომპლექსი მიეკუთვნება ტიპიურ ქრექტულ (S-ტიპის) წარმონაქმნებს, რომლებიც საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ვარისციული ტექტონიკურ-მაგმური მოვლენების დროს.

როგორც ცნობილია პარამეტრიც N/C ( $N=2N_2$ ;  $C=CO_2+CH_4+3C_xH_y$ ) კონტინენტური ქრექტების ქანებისთვის ვარიაციას განიცდის 0.15-0.50 ფარგლებში, ხოლო ოკეანური ქანებისთვის ეს პარამეტრი 0.15-ზე დაბალია (Norman, Sawkins, 1987). გრანიტ-მიგმატიტურ კომპლექსის ქანებში ეს პარამეტრი 0.205-0.398 ფარგლებში მერყეობს, რაც აშკარად ცონტინენტური ქრექტების მონაცემებია (Okroszvaridze, 2007).

საკენის ინტრიზის გააჩნია ტრანსკავკასიური მიმართების (NW-SE) ლინზიებური ფორმა, რომელსაც თანამედროვე ერთხიული დონე დაახლოებით 80კმ<sup>2</sup> ფართზე აშიშვლებს. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ინტრუზივი შემოფარგლულია შესაბამისად მთავარი და ალიბეგის რეგიონალური შეცოცებით, ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით იგი ისოლება ქვედა-შუა პალეოზოურ გვანდრისა და სისინას წყებებში. ინტრუზივი ძირითადად აგებულია კვარციანი დიორიტებით და გრანიტიდიტებით; დამორჩილებულად აღინიშნება გაბროდიორიტები და ადამელიტები, რომლებიც სრულიად თანხმობით ანაცვლებენ ერთმანეთს. გეოლოგიური, პეტროქიმიური და გეოქიმიური მონაცემებით საკენის ინტრუზივი

მიეკუთვნება I ან H ტიპის მანტიურ-ქერქული გენერაციის წარმონაქმნს, რომლის იზოტოპური ასაკი, U-Pb მეთოდით განსაზღვრული,  $320 \pm 5$  მლ. წელს შეესაბამება.

შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზონაში რამოდენიმე ლანდშაფტურ – გეოქიმიური ფორმაციაა წარმოდგენილი. სამხრეთი ნაწილი წარმოადგენს აჭარა – ორიალეთის ნაოჭა სისტემის დასავლეთ დაბოლოებას, კონკრეტულად მესხეთის ქედის ზღვისპირა მხარეს, რომელიც ძირითადად აგებულია ვულკანოგენურ-დანალექი ფუძე ქანებით, ფიქლებითა და ტუფებით. სანაპიროს მახლობლად, დაბალმთიან ზონაში წარმოდგენილია პორფირიტ – ბაზალტებზე განვითარებული წითელმიწა გამოფიტვის ქერქი, რომლის საფუძველზე უნიკალური ნიადაგური ფორმაციის სახით წარმოდგენილია გურია – აჭარის წითელმიწა ნიადაგები. გეოგრაფიულად იგი ემთხვევა მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთი ფერდის საშუალო მთიან ზონას. წითელმიწა გამოფიტვის ქერქს ახასიათებს გავრცელების სპეციფიური აბსოლუტური სიმაღლე 10-20 - დან 400 მეტრამდე და მოიცავს მდინარეების: ჭოროხის, აჭარისწყლის, ბარცხანას, ყოროლისწყლის, ჩაქვისწყლის, ხოლოქის, კინტრიშის, ნატანების, სუფსას წყალგამყოფებს. ამ ფორმაციის საერთო სიგრძე მდ. ბარცხანას შესართავიდან ჩრდილოეთით 40 კმ-ია. წითელმიწა გამოფიტვის ქერქი განვითარებულია სხვადასხვა ტიპის ქანებზე: ტუფებზე, ბაზალტებზე, ანდეზიტებზე, პორფირებზე, ტუფოკონგლომერატებზე და ქვიშაქვებზე. სუფსა-ნატანების წყალგამყოფი წარმოდგენილია თიხა-ფიქლებით, მერგელებითა და ტბიურ-ალუვიური ნალექებით, კ.წ. „ზებრასებრი“, თიხებით. აქ გამოფიტვის ქერქს მაქსიმალურ სიმძლავრესთან ერთად გამოფიტვის მაქსიმალური ხარისხი ახასიათებს (საბაშვილი, 1965, ზერინ დр., 1979). რეგიონისათვის დამახასითებელი თბილი და ხოტიო ჰავის გამო დანალექი და ვულკანოგენური ქანები განიცდიან ძლიერ ქიმიურ გამოფიტვას, რის შედეგად წარმოქმნილი დიდი სიმძლავრის (20 - 30 მ) ფხვიერი ნარინჯისფერი ქერქი წითელმიწა ნიადაგების განვითარების საფუძველია. აღნიშნული ტერიტორია განეკუთვნება კოლხეთის დაბლობის მთისწინეთის ლანდშაფტურ რაიონს (საქართველოს გეოგრაფია, 2000).

აღნიშნულ ფორმაციის ჩრდილოეთიდან, სანაპიროს გაედინებით, ესაზღვრება კოლხეთის დაბლობის დეპრესიის ზონა, რომელიც თითქმის მთლიანად მდ. რიონის ალუვიონით არის ფორმირებული. სანაპირო ზონა ხასიათდება დაბალი ჰიფსომეტრიით და რელიეფის რბილი მოხაზულობით. რელიეფის დამახასიათებელი ელემენტია ზღვიური ნაპირგასწრივი უვინულები, რომლებიც აფერხებენ მდინარეების დინებას და ჭაობების ჩამოყალიბების მიზე სწარმოადგენებ, ასევე განაპირობებენ ზოგიერთი მდინარის კალაპოტის ნაპირგასწრივ მიმართულებას. (Геоморфология Грузии, 1971). კოლხეთის დაბლობიდან დინარების მიურ ტრანსპორტირებულ ტერიტორიულ მასალაში წარმოდგენილია კავკასიონის სამხრეთი ფერდისა და ძირულის მასივის ამგები ვულკანოგენური, დანალექი და მეტამორფული ქანების გამოფიტვის პროდუქტები. კოლხეთის დაბლობის სანაპირო ზონა წარმოადგენს ჭარბებიან ტერიტორიას, სადაც განვითარებულია ტორფის ნაფენები, რომელთა სიმძლავრე 6მ აღწევს. ეს არის უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტური რაიონი, გამორჩეული თავისი ფლორითა და ფაუნით. ამ ტერიტორიის ნაწილი კოლხეთის ეროვნულ პარკს უჭირავს. კოლხეთის დაბლობიდან მდ. რიონის გარდა ზღვაში შემოდის მდინარეები ხობი და ცივი და რამოდენიმე მცირე მდინარე. ტერიტორია მთლიანად განეკუთვნება კოლხეთის დაბლობის ხოტიო სუბტროპიკულ ლანდშაფტურ რაიონს მაღალი ნალექიანობით და ტეპერატურით - რეგიონის მრავალწლიანი საშუალო ტემპერატურა შეადგენს +10°C, რაც დანუდაციის მაღალ ხარისხს განაპირობებს (საქართველოს გეოგრაფია, 2000).

წყალქეშა ფერდის ფსკერული ნალექების ფორმირება მიმდინარეობს ზემოთ ჩამოთვლილი ლანდშაფტური ზონებიდან ზღვაში შემავალი მდინარეების მიერ შესართავებში გამოზიდული მყარი ნატანის საფუძველზე. მყარი ნატანის მთლიანი მოცულობის ერთი ნაწილი, აკომპანინირებს რა ნაპირის ცვეთით გამოწვეული ტერიტორიული მასალის დევი-

ციტს, ხმარდება წყალქვეშა ფერდის ფორმირებას, მეორე ნაწილი კი შთაინთქმება წყალქვეშა კანიონების მიერ. როგორც ცნობილია, საქართველოს სანაპიროების გასწვრივ წყალქვეშა კანიონთა სისტემა წარმოქმნილია უკანასკნელი გამყინვარების პერიოდში არსებული პალეომდინარეთა ხეობების ადგილას. შელფის ზონაში გამოიყოფა კარგად განვითარებული წყალქვეშა კანიონთა სისტემები (ჭოროხის, ყოროლისწყლის, აჩვას, კინტრიშის, სუფსის, და ფოთის). ისინი წარმოადგენებენ მდინარეების პალეოხეობებს ზღვის დაბალი დონის ეპოქაში-ახალევექსიური ტრანსგრესის დროს (Твалчрелиძე, 1984, Твалчрелиძე, 1998, Твалчрелиძე и др., 2002). წყალქვეშა კანიონების არსებობის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაპირგასწვრივი ფსკერული ნატანის ზღვის გარემოში ტრანსპორტირების შესწავლისას, რადგანაც ისინი წარმოადგენენ სერიოზულ მორფოლოგიურ ბარიერს სიღრმისაკენ მოძრავი ნალექებისათვის. მათ მიერ წყლიწადში ათეულ და ასეულ მილიონობით ტონა ტერიგენული პლატფარმომქმნელი მასალა შთაინთქმება, რომელიც ვეღარ დებულობს მონაწილეობას ზღვის ნაპირების ფორმირებაში (Емельянов, 1982).

წყალქვეშა ფერდზე მოქმედებს ნალექებადადგილების სპეციფიური მექანიზმი, გამოიყოფა რამდენიმე დინამიური ზონა და ქვეზონა, რომლებიც განაპირობებენ ზღვაში შეტანილი მყარი მასალის სივრცულ განაწილებას ნაპირის გასწვრივ. ორი ძირითადი ფაქტორი: მდინარეების მყარი ნატანის ქიმიური შემადგენლობა და წყალქვეშა ფერდის ლითოდინამიური თავისებურებები განაპირობებენ ფსკერულ ნალექებში ამა თუ იმ კომპონენტის განაწილებას სივრცესა და დროში.

### პლატფორმები

ზღვის აკვატორიაში საველე-საექსპედიციო სამუშაოების ჩასატარებლად ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებზე შეირჩა გემები, რომლებიც აღჭურვილი იყო ექოლოგით და კორდინატების განმსაზღვრელი მოწყობილობით GPS-ით, პქონდა საქმაოდ ფართო გებბანი, სადაც შესაძლებელი იყო ექსპედიციის 4-5 მონაწილის განთავსება და სამუშაოების ჩატარება. გემიდან მიმდინარეობდა წყლისა და ფსკერული ნალექების ნიმუშების აღება, გემბანზე ტარდებოდა წყლის ჰიდროქიმიური პარამეტრების (ტემპერატურის, pH-ის, განსხილი ჟანგბადის შემცველობისა და მარილიანობის) განსაზღვრა, აღებული ნიმუშების შეფუთვა და მარკირება.

ზღვაზე სამუშაოების ჩასატარებლად შესაფერისი მეტეოროლოგიური პირობების დაგომისთანავე ხდებოდა მარშრუტებზე გასვლა. ფსკერული ნატანის ნიმუშების ასაღებად გამოიყენებოდა ფსკერსახაპი. ამოდებული ნიმუშები თავსდებოდა ქსოვილის პარკებში ქიმიური და გრანულომეტრიული ანალიზისათვის, და პოლიეთილენის პერმეტულ ჭურჭელში - ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების (TPH) განსაზღვრისათვის. ადგილზე ხდებოდა აღებული სინჯების ეტიკეტირება და შეფუთვა. გაზომვების შედეგები, წერტილების კოორდინატები, თარიღი, საათი, სიღრმეები და ყველა საჭირო ინფორმაცია ფიქსირდებოდა საველე ჟურნალებში.

ლაბორატორიაში მიტანის შემდეგ მიმდინარეობდა მყარი სინჯების გაშრობა ოთახის ტემპერატურაზე, დროდადრო მორევის პირობებში. პარმშრალი სინჯები ინახება პოლიეთილენის პარკებში ან ერთჯერად კონტეინერებში, ეტიკეტირებისა და მარკირების დაცვით. ორგანული დამბინძურებლების ანალიზისათვის აღებული ნიმუშების გაშრობა ხდებოდა იმავე ჭურჭელში, რომლითაც ისინი იყო აღებული.

ფსკერული ნალექების ნიმუშების მომზადება ანალიზისათვის, დაშლა და მათში ლითონების (Zn, Cd, Pb, Fe, Mn, Cr, Cu) ატომურ – აბსორბციული სპექტროფოტომეტრული მეთოდით განსაზღვრა ჩატარდა მონაკოს ზღვის კვლევების ლაბორატორიის სტანდარტული მეთოდის შესაბამისად (Manual ..., 1995). აღუმინი განისაზღვრება ტიტრიმეტრული მეთოდით, სილიკატური ობიექტების ანალიზის მეთოდიების მიხედვით (Методы анализа..., 1957). დარიშხანის განსაზღვრისათვის მოწოდებული მეთოდიკების გაცნობის შემდეგ შეირჩა ნიმუშის სხნარში გადაყვანის მშრალი დანაცრების მეთოდი (Ковальский и др. 1959). რეაქცია მიმდინარეობს კიელდალის კოლბაში კონცნტრირებული აზოტმეგას და გოგირდმეგას თანაობისას. მიღებული სხნარის ალიქვოტურ ნაწილში ჯამური დარიშხანის შემცველობა განისაზღვრება გადადენით. დისტილატში As განისაზღვრება ფოტოლოგიური მეთოდით მეთოდით ამონიუმის მოლიბდატის გამოყენებით, დარიშხან-მოლიბდენოვანი

ლურჯის შეფერილობის ინტენსივობის მიხედვით (ISO 6595-82; GOST 4152-89; ГОСТ 23268-14). ფსკერული ნალექების ნიმუშების დამუშავებისა და მასში ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების (TPH) განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ დანერგილია აირ-თხევადი ქრომატოგრაფიული მეთოდი (TNRCC method 1006, 2000; US EPA Method 418.1), ასევე გამოყენებიულია ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდიკები (Gvakharia and all., 2004, გელაშვილი დр., 2004).

მეთოდის თანახმად საკვლევი ნიმუშებიდან ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების ექსტრაგირება ხდება წინასწარ გასუფთავებული ჰქენებით, შემდგომ ხდება ექსტრაქტის დამუშავება, დაკონცენტრირება და ქრომატოგრაფიული ანალიზი. ანალიზის მეთოდები არაერთგზის შემოწმებულია სტანდარტულ ნიმუშებზე.

შიდვებული შედეგების მათემატიკური სტატისტიკური დამუშავება საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამა თუ იმ ელემენტის ვარიაციის ხდვრები, საშუალო და ექსტრემალური მაჩვენებლები, ჩატარდეს სტატისტიკური ანალიზი. წყვილთა კორელაციების მეთოდი საშუალებას იძლევა დადგინდეს ელემენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. კორელაციის მნიშვნელობის შეფასება ხდება კრიტიკული ზღვრის მიხედვით, დამოკიდებულია მონაცემთა მასივის სიდიდეზე. კრიტიკულ ზღვარზე დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ელემენტებს შორის კავშირი უმნიშვნელოა (Руководство по ... 1965).

ზღვის წყლის ჰიდროქიმიური პარამეტრებისა და ფსკერულ ნალექებში ლითონების ანალიზის შედეგების მიხედვით აიგო შესწავლილ საზღვაო აკვატორიაში კომპონენტების განაწილების რუკები კომპიუტერული პროგრამის SERFER-ის გამოყენებით. აღნიშნული პროგრამა იზოხაზების აგების და ექსტრაპოლაციების გამოთვლის საშუალებას იძლევა.

## მიღებული შედეგები

ზღვაში შემავალი მდინარეების ფსკერული ნატანის ქიმიური შემაღენლობა ზღვის ფსკერული ნალექების შემაღენლობის განმსაზღვრელი ერთეული ძირითადი ფაქტორია. ჩვენს მიერ შესწავლილ რეგიონში სპეციფიური კომპონენტების არსებობით გამოირჩევა რიონი და ჭოროხი. მდ. რიონის ფსკერულ ნალექებზე ზეგავლენას ახდენს მანგანუმის მაღნის კომპონენტები, რომელთა წყაროა მდ. ყვირილას კალაპოტში არსებული მანგანუმის საბადოები და ჭიათურის მანგანუმის მაღნის გამამდიდრებელი კომბინატი. ეს ფაქტი კარგად არის ცნობილი და აღწერილი სამუცინირო ლიტერატურაში. ჩვენი კვლევების შედეგების მიხედვით მდ. რიონის ფსკერულ ნალექებს ფაქტიურად სტაბილური ქიმიური შედენილობა ახასიათებს (ცხრილი 1). მანგანუმის შემცველობა 0.2%-ს აღწევს (ცხრილი 1).

ცხრილი 1  
ლითონების შემცველობა მდ. რიონის ფსკერულ ნალექებში

თარიღი	Ni მგ/კგ	Cu მგ/კგ	Zn მგ/კგ	As მგ/კგ	Cr მგ/კგ	Fe, %	Mn, %	Al, %
1993.08	-	30	90	-	60	3.80	0.190	-
2008.09	35	30	75	10.8	108.5	3.45	0.185	2.53
2009.06	65	40	105	13.0	-	3.80	0.150	6.35

მდ. ჭოროხის ფსკერული ნატანიც ასევე სპეციფიური შედგენილობით ხასიათდება. მის წყალშემკრებ აუზში, თურქეთის ტერიტორიაზე, მდებარეობს მურღულის სპილენძ-კოლჩედანური საბადო, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს სპილენძის კონცენტრატისა და ოქროს მომპოვებელი საწარმო. როგორც ცნობილია, მას არ გააჩნია გ.წ. კუდსაცავები, და მაღნის გამდიდრების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები პირდაპირ მდ. ჭოროხში იყრება. ამის გამო მდ. ჭოროხის ფსკერულ ნალექებში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი სულფიდური მინერალები, და შესაბამისად მასთან დაკავშირებული სულფიდური ჯგუფის ელქმენტები Cu, Zn და As (ცხრილი 2).

ლითონების შემცველობა მდ. ჭოროხის ფსკერულ ნალექებში, მგ/კგ.

თარიღი	Ni მგ/კგ	Cu მგ/კგ	Zn მგ/კგ	As მგ/კგ	Fe, %	Mn, %	Al, %
1996.09	45	170	300	-	4.2	0.070	-
2006.10	40	180	290	-	4.0	0.065	-
2008.09	50	150	385	10.6	6.4	0.100	7.46
2009.06	40	155	340	11.6	4.15	0.065	4.95

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ შედგენილობის აღნიშნული სპეციფიკა კარგად აისახება ზღვის ფსკერულ ნალექებზე.

#### რეზუმე

რეზინა ლანდშაფტის ერთერთი ძირითადი ელემენტია. ზღვის ფსკერულ ნალექებში მისი შემცველობა მთლიანად განპირობებულია მდინარეების მყარი ნატანის ლითოლოგიურ-გეოქიმიური თავისებურებებით. მისი შემცველობა 3.5-დან 9.65%-ის ფარგლებში მერყეობს (ცხრილი 3). რეზინის განაწილების რუკაზე (სურ. 1) ჩანს, რომ მდ. ჭოროხის შესართავის მიმდებარე აკვატორიაში, მდ. ბარცხანის შესართავამდე, რეზინის შემცველობა 3-5%-ის ფარგლებშია. უშუალოდ მდ. ბარცხანის შესართავის წინ, ნავსადგურის აკვატორიაში, Fe შემცველობა 8%-მდე მატულობს. ნაპირიდან დაცილებისას შენარჩუნებულია მაღალი შემცველობა. მდ. ბარცხანის ფსკერულ ნატანში Fe შემცველობა 7.2%-ია, ასე, რომ წყალქეშა ფერდის ამ მონაკვეთზე რეზინის შემცველობას მდ. ბარცხანის ნატანი განაპირობებს. მდ. ბარცხანის ანთროპოგენული დატვირთვის გათვალისწინებით, აქ საქმე გვაქვს დიდი რაოდენობით მყარ ნარჩენებთან, რომელთა შორის აღინიშნება ლითონის ნარჩენები. როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვის გარემოში მათი დაუანგვის შედეგად წარმოქმნილი ნაერთები ფსკერულ ნალექებს ერგა.

რეზინის შედარებით მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება მდ. ჩაქვისწყლის შესართავიდან სამხრეთ და ჩრდილოეთ მიმართულებით, ნაპირთან ახლოს. წყალქეშა ფერდის ეს მონაკვეთი წითელმიწა გამოფიტვის ქერქის მყარი ნატანით არის ფორმირებული და მასში რეზინის 9%-მდე შემცველობა ამ ფაქტორით აიხსნება. როგორც ცნობილია, აჭარისა და გურიის წითელმიწა ნიადაგებში Fe შემცველობა 10-11%-ს აღწევს (საბაშვილი, 1965).

ლითონების საშუალო და ექსტრემალური შემცველობა ბათუმი-ნატანების აკვატორიის ზღვის ფსკერულ ნალექებში. 2008 წ.

	Ni მგ/კგ	Cu მგ/კგ	Zn მგ/კგ	Cr მგ/კგ	As მგ/კგ	Fe, %	Mn, %	Al, %
საშუალო	70.8	79.5	94.7	130.1	11.8	5.7	0.10	5.6
მინ	45	30	56	49	5.2	3.5	0.06	3.04
მაქს.	100	305	215.5	245	37.2	9.65	0.135	7.55

#### მანგანუმი

შესწავლილ აკვატორიაში ზღვის ფსკერულ ნალექებში მანგანუმის შემცველობა ვიწრო ზღვრებში იცვლება (0.06-0.135%, ცხრილი 3). მის განაწილებას წყალქეშა ფერდზე კანონზომიერი ხასიათი აქვს: სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მისი შემცველობა მცირედ მატულობს. 0.1%-ზე მეტია ჩაქვისწყლი – კინტრიშის შესართავებს შორის, მცირე სიღრმე-ებზე, და ასევე კინტრიში – ნატანების შესართავებს შორის, შედარებით დიდ სიღრმეზე (სურ. 2). Mn დაგროვება დიდ სიღრმეზე ორი ფაქტორით შეიძლება აიხსნას: ნალექების კელიტური ფრაქციების გრავიტაციული სეპარაციით და სიღრმეში ზღვის დინებების საშუალებით გაზიდვით, ან ჩრდილოეთიდან, კოლხეთის დაბლობის მიმდებარე წყალქეშა ფერდიდან დინებების მიერ მისი გადმოტანით, სადაც Mn შემცველობა მდ. რიონის ნატანის გავლენით შედარებით მომატებულია (Мачитадзе и др., 2000).

## ქრომის

ქრომის შემცველობა შესწავლით აკვატორიის ფსკერულ ნალექებში 56-დან 215 მგ/კგ-დება, საშუალოდ 94.7 მგ/კგ-ს შეადგენს (ცხრილი 3). წყალქვეშა ფერდზე მისი განაწილების ხასიათი რკინის განაწილების ანალოგიურია (სურ. 3), და შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარა-გურიის მიმდებარე ზღვის ფსკერულ ნალექებში მათ წარმოშობის ერთი წერო აქვთ, რაც დაპავშირებულია წითელმიწა გამოფიტვის ქრექთან და მისი გამოფიტვის პროდუქტებში რკინითა და რკინის ჯგუფის ელემენტებით მდიდარი მუქი მინერალების არსებობასთან.

## ნიკელი

ნიკელის განაწილების სურათიდან (სურ.4) ჩანს, რომ კინტრიშის შესართავიდან სამხრეთით აღინიშნება შედარებით დაბალი შემცველობა (80 მგ/კგ-მდე), ხოლო მისგან ჩრდილოეთით კონცენტრაცია მატულობს (100 მგ/კგ და მეტი). წყალქვეშა ფერდის ამ უბანზე კოლხეთის დაბლობის მიმდებარე წყალქვეშა ფერდიდან ხდება ფსკერული ნალექების გადმოტანა. ჩვენი მონაცემების მიხედვით, კოლხეთის დაბლობის ნიადაგურ ფორმაციებს, ასევე ტერიგენულ მასალას ახასიათებს ნიკელის შედარებით მაღალი შემცველობა, ამით აისხება ნიკელის შედარებით მომატებული შემცველობა საკვლევ აკვატორიაში (45-100, საშუალოდ 70.8 მგ/კგ, ცხრილი 3).

## ალუმინი

ალუმინის განაწილებას რთული სურათი აქვს.  $\text{Al}_2\text{O}_3$  ყველა ტიპის ქანის ძირითადი შემადგენელი ელემენტია. ალუმინისათვის დამახასიათებელია ამფოტერულობა, ნაერთობა ფორმების ცვლა. მისი შემცველობა შესწავლით აკვატორიის უკიდურეს სამხრეთ და უკიდურეს ჩრდილოეთი ნაწილებში შედარებით მეტია (სურ. 5). კოლხეთის დაბლობის მიმდებარე წყალქვეშა ფერდზე  $\text{Al}$  დაგროვება აისხება ეწერი ნიადაგების გამოფიტვის პროდუქტებით, რომელიც მდ. რიონის მიერ ტრანსპორტირდება. ეწერი ნიადაგებისათვის დამახასიათებელია  $\text{Al}_2\text{O}_3$  მომატებული შემცველობა, სხვა ტიპის ნიადაგებთან შედარებით. გარდა ამისა, ჭაობების ეკოსისტემაში წყლის შედარებით დაბალი pH განაპირობებს ალუმინის ხსნადი ნაერთების წარმოქმნას, რომლებიც ზღვაში შეტანის შემდეგ, შედარებით ტუტებ გარემოში ჰიდროლიზდება და ფსკერზე ილექტება. მაღალი დისპერსულობისა და კოლოიდების წარმოქმნისადმი მიდრეკილების გამო  $\text{Al}$  ძირითადად აკუმულირდება ზღვის დიდ ხიდრმებზე, სადაც მისი შემცველობა 7% აჭაობებს. შევის ზელფის კვლევის შედეგები (Гвахария и др., 2006) მოწმობს, რომ  $\text{Al}$  მაქსიმალური შემცველობა 7-8% აღწევს მდ. მდ. რიონისა და ხობის შესართავებს შორის აკვატორიაში დიდ სიღრმეებზე (40მ და მეტი).

## სპირუტი და თუთია

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით ჩანს, რომ მდ. ჭოროხის მიერ ზღვაში შეტანილი ტერიგენული მასალის გავლენით სულფიდური ჯგუფის ელემენტების სპილენისა და თუთიის მნიშვნელოვანი აკუმულაციური უბანი ყალბდება მდ. ჭოროხის შესართავისწინა ფსკერულ ნალექებში, დაბალ სიდროებზე, სადაც ადგილი აქვს ტერიგენული მასალის მძიმე ფრაქციების თავმოყრას. ამ უბანში სპილენის შემცველობა 300 – 400 მგ/კგ აღწევდა (Гвахария, Мачитадзе, 2002 Гвахария и др., 2006). 2008 წლის მონაცემებით ეს აკუმულაციური უბანი არ დაფიქსირდა, თუმცა კარგად გამოიკვეთა აკუმულაციის უბანი შედარებით ჩრდილოეთით, ნაპირის გაყოლებით, ბათუმის კონცხის სამხრეთ კიდეზე, სადაც  $\text{Cu}$  და  $\text{Zn}$  კონცენტრაცია 300 მგ/კგ აღწევს (სურ. 6, 7). ამ ფენომენის ასახესნელად საგარაუდოა ის ფაქტი, რომ გასულ წლებში მდ. ჭოროხის შესართავისწინა ზღვის ფსკერულ ნალექებში აკუმულირებული სპილენითა და თუთიით გამდიდრებული ტერიგენული მასალა ნაპირგასწვივი დინებების გავლენით ჩრდილოეთით, კონცხისკენ გადაადგილდა და მისი ადგილი დაიკავა მდ ჭოროხის ახალმა, სულფიდური მინერალებით შედარებით დარიბმა ტერიგენულმა მასალამ. ამავე დროს შესაძლოა, რომ უკანასკნელ პერიოდში მდ. ჭოროხის დარეგულირების გავლენით მდ. ჭოროხის კალაბოტში ტერიგენული მასალის დახარისხების ხასიათი შეიცვალა და ტერიგენული მასალაში შედარებით წვრილმარცვლოვანი ფრაქციების წილმა იმატა, ამასთანავე, როგორც ჩანს, ცვლილებებს არაგანონზომიერი ხასიათი აქვს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს 2006, 2008 და 2009 წლებში შესრულებული მდ. ჭოროხის ფსკერული ნატანის გრანულომეტრიული ანალიზის შედეგები (ცხრილი 4), საიდანაც ჩანს, რომ 2008 და 2009 წლებში 2006 წლითან შედარებით დაკლებულია 1-05 და 0.5-0.2 მმ-ს ზომების მქონე ფრაქციების შემცველობა და მომატებულია 0.1-0.05 მმ და <0.05მმ ფრაქციების შემცველობა (В.Г. Гвахария, Н.О.Мачитадзе , 2008).

მდ. ჭოროხის ფსკერული ნალექების გრანულომეტრიული ანალიზის შედეგები

მდ. ჭოროხი	2-1 მმ	1-0.5 მმ	0.5-0.2 მმ	0.2-0.1 მმ	0.1-0.05 მმ	< 0.05 მმ
2006	4.69	<u>27.59</u>	<u>67.17</u>	3.49	1.48	0.26
2008	<u>18.31</u>	<u>19.55</u>	<u>39.43</u>	9.05	12.21	1.45
2009	8.33	<u>11.90</u>	<u>65.82</u>	6.45	5.34	2.15

უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო დასკვნის გამოსატანად ჩატარებული აკლევები საქმარისი არ არის, აუცილებელია რეგულარული გამოკვლევების ჩატარება.

1993 და 2000 წლის გამოკვლევების შედეგებიდან კარგად ჩანდა Cu-Zn მეორე აკუმულაციური უბანი მდ. ბარცხანას შესართავის წინ, ბათუმის უკრის ნალექებში, მაგრამ აკუმულაციის ეს უბანი განლაგებული იყო ყურის შიგნით (Гвахария, Мачитадзе, 2002 Гвахария и др., 2006), ამჯერად კი განაწილების ახალ რუკაზე კარგად ჩანს, რომ აკუმულაცია აღინიშნება კონცხის წვერთან, სამხრეთ ფერდზე, იქ, სადაც ფაქტიურად აღგილი აქვს მყარი ნატანის შეკავებას. წყალქვეშა ფერდის ამ მონაცვეთზე მიღებული Cu-Zn განაწილების ახალი კანონზომიერება შესწავლას მოითხოვს. მომავალში სინჯების აღების უფრო დეტალური ბადე სპილენძისა და თუთიის განაწილების დაზუსტებული რუკის შედეგის საშუალებას მოგვცემს.


შესწავლილი აკვატორიის დანარჩენ ნაწილში სპილენძისა და თუთიის შემცველობა ფონურ კონცენტრაციას უტოლდება. გამონაკლისია კინტრიში – ნატანების შესართავებს შორის აკვატორიის დიდ სიღრმეებზე სპილენძის 100 – 120 და თუთიის 110 – 130 მგ/კგ-მდე მომატებული შემცველობა. რაც შეეხება დიდ სიღრმეებზე მათ გადატანას, აქ აღგილი აქვს ჰიდროქიმიურ პროცესებს: სულფიდები ზღვის გარემოში ადვილად იქანება, გათავისუფლებული ელემენტების კოლოიდური ნაერთები პელიტური ფრაქციების მიერ შთაინთქმება და მათთან ერთად მიგრირებს ზღვის სიღრმისაკენ, სადაც აღგილი აქვს ნაწილაკების გამსხვილებას და მათ ფსკერზე დაწდომას. ამასთან ერთად დაუანგვამდე სულფიდური მინერალების წვრილმარცვლოვანი ფრაქციები ასევე გრავიტაციული სეპარაციის მექანიზმის გავლენით სიღრმისაკენ ინაცვლებენ. აღწერილი მექანიზმების გავლენით ლითონთა ერთ ჯგუფს, როგორიცაა Cu, Zn, Cd, Pb, ახასიათებს სიღრმისეული მაქსიმუმები, ანუ ზღვებისა და ოკეანეების დიდი სიღრმისაკენ მიგრაციის უნარი.

#### დარიშხანი


შესწავლილი აკვატორიის ფსკერულ ნალექებში დარიშხანის შემცველობის დიაპაზონი საქმარებულობა – 5.2-დან 37.2 მგ/კგ-მდე (ცხრილი 3). მაქსიმალური შემცველობა, სპილენძისა და თუთიის მსგავსად, აღინიშნა ბათუმის კონცხთან – 29-34 მგ/კგ (სურ. 8) და სულფიდურ მინერალებს უკავშირდება. დარიშხანი, თუთიასა და სპილენძთან ერთად, სულფიდური მადრენების მინერალოგიურ კომპლექსებში ქალკოპირიტის, სფალერიტის, გალენიტის, არსენოპირიტის ფორმით, ნალექების მძიმე ფრაქციებშია თავმოყრილი და მცირე სიღრმეებზეა აკუმულირებული. ამიტომ სულფიდური მინერალების გავრცელების არეალში სამივე ელემენტის განაწილება ზუსტად ანალოგიურია. ქიმიურ თვისებებში დიდი სხვაობის მიუხედავად, დარიშხანი ამ პირობებში სპილენძისა და თუთიის ანალოგიურ გეოქიმიურ და მიგრაციულ თვისებებს ამჟღავნებს, ანუ ქალკოფილურ ელემენტების გვევლინება.

ბათუმის კონცხიდან ორივე მიმართულებით დარიშხანის შემცველობა კლებულობს. ფონურ შემცველობად შეიძლება ჩაითვალოს 4-9 მგ/კგ, რომელიც აღინიშნება ჩაქვისწაფლი – კინტრიშის შესართავებს შორის აკვატორიაში, სადაც სამხრეთიდან გადმოტანილი ფსკერული ნალექების გავლენა არ აღინიშნება.


შესწავლილ ლითონებს შორის ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებების გამოსავლენად ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი. ლითონების შემცველობის მონაცემების საფუძველზე ავაგეთ კორელაციური მატრიცა (ცხრილი 5). კორელაციის კრიტიკული ზღვარი ამ შემთხვევაში შეადგენს 0.35-ს, მასზე დაბალი მაჩვენებელი უმნიშვნელო კორელაციას ნიშნავს და მასზე დაბალი კორელაციის კოეფიციენტები ცხრილში არ არის შეანილი.




სურ. 1. რკინის შემცველობა ზღვის ფსკერზე ნალექებში




სურ.2. მანგანუმის შემცველობა ზღვის ფსკერზე ნალექებში





სურ.3. ქრომის შემცველობა ზღვის ფსკერულ ნალექებში







სურ.5. თუმთიის შემცველობა ზღვის ფსკერულ ნალექებში









სურ.9. ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა ზღვის ფსკერულ ნალექებში

კორელაციური მატრიცა ( $n=31$ ,  $K_k=0.35$ )

	Cu	Zn	Cr	As	Fe	Mn	Al
Ni	-	0.40	-	-	0.51	-	-
Cu	1	0.81	-	0.89	-	0.51	-
Zn		1	-	0.80	0.66	-	-0.38
Cr			1	-	0.86	0.76	-0.43
As				1	-	-	-
Fe					1	0.63	-0.51
Mn						1	-0.39

$K_k$  - კორელაციის კრიტიკული ზღვარი

მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, სამ ელემენტს Cu-Zn-As ახასიათებს კორელაციის მაღალი ხარისხი. ეს ელემენტები, როგორც აღვნიშნეთ, ფაქტიურად ერთი გეოქიმიური კომპლექსის ელემენტებია, რომელთა წყარო, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გეოთერმული საბადოებიდან მდ. ჭოროხში მოხვედრილი მყარი მასალაა.

კორელაციის ასევე მაღალი ხარისხი ახასიათებს ელემენტების მეორე ჯგუფს Mn-Ni-Fe-Cr, რომლებიც სიდეროფილურ ელემენტებს, ანუ რკინის ჯგუფს განეცუთვნებიან და აჭარა-თრაილეთის გულკანოგენურ ფუძე ქანებთან, წითელმიწა გამოფიტვის ქერქთან და ნიადაგებთან არიან დაკავშირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ კორელაციის ასევე მაღალ ხარისხს ავლენენ Fe-Zn, მაშინ როდესაც Fe-Cu კორელაცია უმნიშვნელოა, ხოლო Cu-Zn კორელაცია ძალიან მაღალი. ეს ფაქტი ჩვენი ადრინდელი გამოკვლევებითაც დასტურდება და მიუთითებს იმაზე, რომ აკვატორიის შესწავლილი მონაკვეთის ფსკერულ ნალექებში, და აქედან გამომდინარე, საკლევი რეგიონის ამგებ გეოლოგიურ ფორმაციებში, თუთია ავლენს როგორც ქალკოფილურ, ასევე სიდეროფილურ თვისებებს.

### ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები

შესწავლილი აქვატორიის ფსკერულ ნალექებში ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების შემცველობა ძირითადად მეთოდის განსაზღვრის ზღვარზე 1.5 მგ/კგ-ზე ნაკლებია. მცირე შემცველობა (2.5 მგ/კგ) აღინიშნა მხოლოდ სამ წერტილში, 25-35 მ სიღრმის ზონაში. მიღებული მონაცემების საფუძველზე გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით შედგენილია ფსკერულ ნალექებში ნავთობის ნახშირწყალბადების განაწილების ინტერპოლაციური რუკა, რაც საშუალებას იძლევა შავი ზღვის ნავთობით დაბინძურების შემთხვევაში დადგინდეს მათი გავრცელების მიმართულება, განაწილება და აკუმულაცია (სურ. 9).

### ლიტერატურა

3. საბაშვილი. საქართველოს სსრ ნიადაგები. ობ. მეცნიერება, 1965. 552 გვ. საქართველოს გეოგრაფია. ნაწ. I. ფიზიკური გეოგრაფია. ობ., მეცნიერება, 2000. 313 გვ.
- Gvakharia V.G., Gelashvili N.E., Gvakharia T.A., Adamia T.M., Janashvili N.D., Maisuradze G.V. (2004). The method for determination of petroleum hydrocarbons and the study of the pollution level in bottom sediments within the Georgian sector of the black sea water area // Georgian Engineering News, 2004, №2, p.108-110.
- N. Machitadze, V. Gvakharia, A. Tvalchrelidze (2001). Vanadium and chromium content in present sediments of georgian sector of the Black sea. Bull. of Georg. acad.of Sci., 164, No 3, pp. 501-503.
- N. Machitadze, M. Tvalchrelidze, V. Gvakharia (2001). Particularities of geochemical zones formation in the sediments of south-eastern sector of the Black sea Georgia. Bull. of Georg. acad.of Sci., 163, No 2, pp. 297-300.

- Manual for the Geochemical analyses of Marine Sediments and Suspended Particulate Matter. (1995). Reference methods for Marine Pollution Studies. No 63. UNEP. TNRCC method 1006 . Total Petroleum Hydrocarbons, 10/10/2000.
- US EPA Method 418.1.1978. Petroleum Hydrocarbons. Total Recoverable. Spectrophotometric Infrared.
- M. Tvalchrelidze, N. Machitadze (1997). Peculiarities in the Distribution of Chemical Elements in the Georgian Sector of the Black Sea. IOC/BSRC Workshop on the Black Sea Fluxes. Istanbul, Turkey. Proceedings. pp. 73-85.
- US EPA Method 418. 1997. Determination of Total Petroleum Hydrocarbons.
- В. Гвахария, Н. Мачитадзе, А. Твалчрелидзе (2002). Распределение Cu, Zn, Mo и Fe в современных донных отложениях грузинского сектора Черного моря. Труды ГИН АН Грузии им. Ал. Джанелидзе, новая серия, вып. 117, с. 424-429.
- В. Гвахария, Н. Мачитадзе, Н. Гелашвили, Д. Гиргвалиани (2006). Химическая экология донных отложений грузинского сектора черного моря. Известия НАН Азербайджана. Науки о земле. № 4, С. 44-49.
- В.Г. Гвахария, Н.О.Мачитадзе (2008). Характер распределения металлов в донных осадках рек Чорохи и Аджарисцкали (Грузия). Труды Инст.-та Геологии. Нов. сер. Вып.124. 2008. с. 264-267).
- Н.Е. Гелашвили, В.Г. Гвахария, Т.А. Гвахария, Т.М. Адамия, Х.В. Лория, Г.В. Майсурадзе (2004). Методы анализа нефтяных углеводородов в водах, почвах и донных осадках // Труды ГИН АН Грузии Нов. сер. Вып 119 с. 856-859.
- ГОСТ 23268-14-78. Методы определения ионов мышьяка.
- ГОСТ 4152-89. Метод определения массовой концентрации мышьяка.
- Геоморфология Грузии (1971). Под ред. Маруашвили. Тбилиси, Мецниереба. 609с.
- Е.М. Емельянов (1982). Седиментогенез в бассейне Атлантического океана. М., Наука, 188 с.
- Н.Г.Зырин, Г.В. Мотузова. В.Д. Симинов (1979). Микроэлементы (бор, марганец, медь, цинк) в почвах Западной Грузии. В кн. Содержание и формы соединений микроэлементов в почвах. М., изд. МГУ, с. 3-159.
- В.В. Ковалский, А.Д. Гололобов. (1959). Методы определения микроэлементов в почвах, растительных и живых организмах. М. Редакционно-издательский отлел ВИЖ-а.
- Н.Мачитадзе, В.Гвахария, А. Твалчрелидзе (2000). О распределении марганца в осадках грузинского сектора Черного моря. Georgian Engineering News, No 4, с. 138-144.
- Методы анализа минерального сырья (1957). М., Гос. н-т изд. лит-ры по геологии и охране недр.
- Руководство по предварительной математической обработке геохимической информации при поисковых работах (1965). М., Изд. Недра.
- М.Г. Твалчрелидзе (1984). Роль некоторых пород в пляжеобразующих процессах берговой зоны Аджарской АССН. Тбилиси. Мецниереба. С. 199-200.
- М.Г. Твалчрелидзе (1998). Закономерности распределения твердого стока рек юго-восточного побережья Черного моря. Тр. Геологического ин-та АН Грузии.. С. 246-251.
- М.Г. Твалчрелидзе, З.М. Лебанидзе, Г.Ш. Джаошили (2002). Условия формирования современных осадков центральной и юго-восточной части грузинского сектора Черного моря. Геологический институт АН Грузии им. Ал. Джанелидзе. Труды. Новая серия. Вып. 117. г. С. 238-244.

**კავახეთის ზეგნის თანამედროვე აღლიაფის უორმილების  
პირითაცი მთავრები**

ბ. თუთეარიძე, გ. ახალგაციშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უნივერსიტეტის ქ.13, 0186, საქართველო, ელ.ფოსტა: [bejan.tutberidze@tsu.ge](mailto:bejan.tutberidze@tsu.ge)

განხილულია ველკანური რელიეფის ფორმირების დროში ერთმანეთთან თანმიმდევრულად მონაცემები რელიეფზე არმომზმობი ეტაპები. ენდოგენური ფაქტორებიდან განმსაზღვრელ რელიეფზე არ-მომზმობ ფაქტორებად ითვლება ველკანიზმი (ძირითადად) და ტექტონიკა, ხოლო ეპზოგენური ფაქტორებიდან – წყლის ეროზია და დენუდაციური პროცესები.

**Main stages of forming of the contemporary relief of Javakheti highland. B.Tutberidze, M.Akhalkatsishvili,**  
Tbilisi state University, Universiteti st. 13, 0186, Georgia, E-mail: [bejan.tutberidze@tsu.ge](mailto:bejan.tutberidze@tsu.ge)

There are considered three successively interchanging in time stages of the relief-formation. The main relief-forming endogenic factors are volcanism (mainly) and tectonics. As to the exogenic ones, they are erosion, weathering and denudation processes.

**Основные этапы формирования современного рельефа Джавахетского Нагорья. Б.Тутберидзе, М.Ахалкацишвили.** Тбилисский государственный университет им.И.Джавахишвили, ул. Университетская 13, Тбилиси, Грузия, 0186, E-mail: [bejan.tuteridze@tsu.ge](mailto:bejan.tuteridze@tsu.ge)

Рассматриваются три последовательно сменяющих друг друга во времени этапы формирования рельефа. Определяющими рельефобразующими эндогенными факторами являются вулканизм (в основном) и тектоника, а экзогенными факторами - водная эрозия, выветривание и денудационные процессы.

## Abridged English Version

The history of the formation of volcanic relief of Javakheti highland involves three successively interchanging in time stages of the relief-formation: Late Miocene-Early Pliocene, Late Pliocene-Early Pleistocene and Late Pleistocene. Each of them is characterized by the individuality of tectonic movements, development of volcanism and exogenetic relief-forming processes. The territory of Javakheti highland is characterized by the comparatively dissected relief which is broken by deep rocky canyons in the lava-streams and volcanic buildings. For the relief of Javakheti highland graded structure is characterized: upper-volcanic cones and lower-accumulative flattened surfaces. The relief of Javakheti highland is the unification (unity) of volcanic ranges (Javakheti, Samsari, Muravani, Nialaskuri), volcano-tectonic depressions (Paravani, Tabatskuri, Khanchali, Madatapi and so on) and plateau-basalts (Akhakalkalaki, Tsalka, Gomareti, Dmanisi).

The formation of the relief of Javakheti highland is the result of two counteracting forces: endogenic (destructive) ones. Constructive relief creative factors are: volcanism (mainly) and tectonic, from the destructive factors – erosional-denudative and gravitational processes, seismotectonical showers and least of all- glaciers must be mentioned.

From the types of relief accumulative volcanic forms (structures) lava streams, sheets and volcanic cones prevail. By the type of eruption and chemical composition of the eruptive products among the volcanic forms (structures) of Javakheti highland two main genetic groups can be singled out: 1. forms of the relief created by the eruptions of the central type and 2. forms created by the eruptions of fracture- areal type. The volcanic actions of Javakheti highland goes on by the forming of effusives, explosives and extrusives (arcks). The main relief-creative role belongs to the effusives and explosives.

On Javakheti highland Samsari range is a remarkable example of volcanic relief of late Miocene-early Pliocene age. The typical forms of the microrelief of the range are extrusive cones of lava, slag, lava-slag and thick lava streams, which flow toward different directions from the apical part of the range. Within the limits of the range almost entirely eruption centres of central type are represented. They are served by stratovolcanos, monogenic (lava, lava-pyroclastic and pyroclastic) and extrusive centres.

The role of Late Pliocene-Early Pleistocene volcanism in the relief-formation of Javakheti and Nialaskuri ranges and Akhalkalaki, Tsalka, Gomareti and Dmanisi plateaus is very great. Javakheti range is characterized by comparatively dissected-weakly dispersed relief. The western slope of the range along the whole its spreading goes all over into plateau-like flattened relief.

To the East is comparatively steep and broken up by a dense net of deep river gorges. The main mass of the volcanic eruption centres is arranged on the watershed part of the range and on its west slope linearly or disorderly along the line of the deep fault. The relief of the apical part of the range is built up by stratovolcanoes, extrusive arcs, cones of lava, slag and lava-slag and by disposed between them wide, flattened, plateau-like depressed areas.

Late Pleistocene volcanic stage did not play essential role in the formation of the relief of Javakheti highland. That time late Miocene stratovolcanoes began to restore. With them strong and long lava streams of hyaloandesites are connected, which dont show the signs of erosional weathering or glacial exaration.

ჯავახეთის ზეგნის რელიეფის თანამედროვე სახით ფორმირება გვიანკაინოზოურში მოხდა – დროის საქმაოდ დიდ ინტერვალში – გვიანმიოცენიდან დაწყებული გვიანპლეიისტოცენის ჩავლით. ჯავახეთის ზეგნის ტერიტორია შედარებით მშვიდი რელიეფით ხასიათდება, რომელიც ლავურ ნაკადებში ღრმად ჩაჭრილი ვერტიკალური კლდოვან-ქარაფოვანი კანიონისგური ხეობებითა და მასზე აღმართული ვულკანური ნაგებობებით ირდვევა. ჯავახეთის ზეგნის რელიეფისათვის დამახასიათებელია სართულისებრი აგებულება: ზედა-ვულკანური კონუსები, ქედა-აუმულაციური მოსწორებული ზედაპირები. ჯავახეთის ზეგნის რელიეფი ეს არის ვულკანური ქედების (ჯავახეთის, სამსარის, მურავანის, ნიალასყურის), ვულკანო-ტექტონიკური დეპრესიებისა (ფარავნის, ტაბაწყურის, ხანჩალის, მადატაპის და სხვ.) და პლატო-ბაზალტების (ახალქალაქის, წალკის, გომარეთისა, დმანისის) მორფოსტრუქტურების სისტემათა ერთიანობა.

ჯავახეთის ზეგნის რელიეფის ფორმირება არის ორი საწინააღმდეგო ქმედების რელიეფწარმომშობი – ენდოგენური (კონსრტუქციული) და ეპიგენური (დესტრუქციული) ძალების ურთიერთმოქმედების შედეგი. კონსტრუქციული რელიეფწარმომშობი ფაქტორებია: ვულკანიზმი (ძირითადად) და ტექტონიკა. ხოლო დესტრუქციული: ეროზიულ-დენუდაციური პროცესები, გრავიტაციული მოვლენები, სეისმოტექტონიკური ჩამონაზვავები და ნაკლებად მყინვარები.

საკვლევი რეგიონის რელიეფის ტიპებიდან გაბატონებული მდგრმარეობა აკუმულაციურ ვულკანურ ფორმებს – ლავურ ნაკადებს, განვენებს და კონუსებს ეკუთვნით. ამოფრქევის ტიპისა და ამოფრქევული მასალის ქიმიური შედეგენილობის ფაქტორების გათვალისწინებით ჯავახეთის ზეგნის რელიეფის ვულკანურ ფორმებს შორის შეიძლება გამოიყოს ორი მთავარი გენეტური ჯგუფი. ცენტრალური ტიპის ამოფრქევებით შექმნილი რელიეფის ფორმები და ნაპრალურ – არეალური ტიპის ამოფრქევებით შექმნილი რელიეფის ფორმები. ჯავახეთის ზეგანზე ვულკანური მოქმედებები მიმდინარეობს ეფუზივების, ექსპლოზივების (გაზურ-აფეთქებითი) ტიპის ამოფრქევებით და ექსტრუზივების (თაღები) ფორმირებით. მათგან მთავარი რელიეფწარმომშობი როლი ეფუზივებს და ექსპლოზივებს ეფუთვნით.

ჯავახეთის ზეგნის ვულკანური რელიეფის ფორმირების ისტორიას ერთმანეთთან დროში თანმიმდევრულად მონაცელე რელიეფწარმომშობი ეტაპები ქმნიან: გვიანმიოცენურ-ადრეპლიოცენური, გვიანპლიოცენურ-ადრეპლეისტოცენური და გვიანპლეისტოცენური. თვითორეული მათგანი – ტექტონიკურ მოძრაობების, ვულკანიზმის განვითარების და ეპიგენური რელიეფწარმომშობი პროცესების ინდივიდუალობით ხასიათდება.

გვიანმიოცენურ-ადრეპლიოცენური უტაპი ჯავახეთის ზეგნის თანამედროვე რელიეფის ფორმირება გვიანმიოცენურ-ადრეპლიოცენურში იწყება. გვიანმიოცენისა და პლიოცენის საზღვარზე გამოვლინებულმა ატიკურმა თროფაზისმა, რომელსაც უკავშირდება მძლავრი მთათაწარმომშობი მოძრაობები და ძლიერი ვულკანიზმი, პრაქტიკულად განაპირობა არა მხოლოდ საკვლევი რეგიონის, არამედ მთელი კავკასიის რელიეფის თანამედროვე იერსახით ჩამოყალიბება. ჯავახეთის ზეგანზე ამ დროის ვულკანური რელიეფის შესანიშნავი ნიმუშია ზეგნის მორფოსტრუქტურის ცენტრალურ ნაწილში სუბმერიდონალური მიმართულებით გაჭიმული სამსარის ქედი (სიგრძე 40 კმ. სიგანე 28 კმ., მაქსიმალური სიმაღლე 3305მ). ქედის წარმოშობილია ხაზობრივად განლაგებული ვულკანური ცენტრების შეერთებით, რომელთა უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია მის თხემურ ნაწილში გამავალ სუბმერიდონალური მიმართულების რდვევის ხაზის გასწვრივ; ვულკანური აპარატების დიდი უმრავლესობა სუბმერიდონალური და სუბგანედური მიმართულების რდვევების გადაკვეთის კვანძებშია განვითარებული. ისინი შეერთებით თხემებს, ხშირად

კი ტალღებრივ და ბელტური მიკროელიეფის ფორმებს ქმნიან. განსაკუთრებით რთულია სამსარის ქედის წყალგამყოფი ნაწილის რელიეფი. ის გამოიჩინა კონუსური ფორმის ჰულკანური ცენტრების მრავალრიცხვნებით, ციცაბო კლდოვანი ფერდობებით და გამოფიტული მასალის სიუხვით. ქედის მიკროელიეფის დამახასიათებელი ფორმებია: ლავური, წილის, ლავურ-წილის, ექსტრუზიული კონუსები და თხემური ნაწილიდან სხვადასხვა მიმართულებით გამდინარე მძლავრი ლავური ნაკადები. ქედის ფარგლებში თითქმის მთლიანად ადგილი აქვს ცენტრალური ტიპის ამოფრქვევებს, რომლებსაც ემსახურებიან სტრატოვულკანები, მონოგენური (ლავური, ლავურ-პიროკლასტური და პიროკლასტური) და ექსტრუზიული ცენტრები.

სტრატოვულკანები (პოლიგენური) კონუსის ფორმის ნაგებობებია, რომლებიც აგებული არიან ანდეზიტური და დაციტური შედგენილობის ლავებისა და პიროკლასტების მრავალჯერადი ამოფრქვევების პროდუქტების მორიგეობით. სამსარის ქედზე სტრატოვულკანებია: დიდი აბული (3300.5), პატარა აბული (2799), სამსარი (3287.7), გოდორები (3188.3), თავკვეთილი (2585.8), დიდი შავიაბადა (2929.0), გრიგორი (2767.4 მ). ხშირად ვულკანური ნაგებობის წესიერი კონუსური ფორმა დარღვეულია მათ კალთებზე მწვერვალიდან კონუსის ფუძემდე თითქმის სწორხაზობრივად განვითარებული ბარანკოსებით (დიდი აბული, დოდი შავიაბადა, გრიგორი, თავკვეთილი და სხვ).

სამსარი ქედის რელიეფის თავისებურ ფორმებს ქმნიან ექსტრუზიული მასივები. მათი გუმბათური ფორმის რელიეფი ბლანტი, აქროლადი კომპონენტებით გადარიბებული მაგმების ამორფევის პროდუქტებით იქმნებიან. ექსტრუზიულ მასივების დიდი უმრავლესობისათვის ლავური ნაკადები დამახასიათებელი არ არის, თუმცა ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებულია ძალიან მოკლე, მაგრამ მძლავრი ნაკადები. მონოგენური მოქმედების ექსტრუზიული ტიპის ლავურ ვულკანებს მიეკუთვნებიან: დასავლეთი ეგოისარი (2410.0), აღმოსავლეთი ეგოისარი (2513.5) აბიხის ვულკანი (ივანტაპა, 2933.4), ემტია(2274.7), აღმოსავლეთი ქეროდლი (2757.1) დასავლეთი ქეროდლი (2921.0), დიდი და პატარა სამთოს ჯგუფის ვულკანები (2857.4), საგლიასკო (2878.7), კარაპუზეა (3194.3), ყარადაღი (3046.9) და სხვ.

სამსარის ქედზე ვულკანული ძლიერ დანგრეული რკალისებური ფორმის რელიეფით გამოიჩევა სამსარის ვულკანური მასივი, რომლის კლდოვანი ფერდობები დანაწევრებულია რიგი მყინვარული ხეობებით. ვულკანის აღმოსავლეთით კალთა თანხათანობით გადადის კალდერულ დეპრესიაში. ლ.მარუაშვილის მიხედვით სამსარის მასივი და კარაპუზეა ერთიანი აკუმულაციური ვულკანური რელიეფის დესტრუქციულ ნაწილებად განიხილებიან (მარუაშვილი, 1971)

ქედია გვანმიოცენურ-ადრეპლიოცენური ვულკანიზმის როლის შეფასება ჯავახეთის ქედის რელიეფის ფორმირებაში. საქმე ისაა, რომ ქედის ტერიტორიის დიდ ნაწილი გვიან-პლიოცენური ვულკანური წარმონაქმნების დიდი სიმძლავრის პროდუქტებით არის დაფარული, რაც ძალიან ართულებს გვიანმიოცენური სუბსტრატის კვლევას და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის გეომორფოლოგიური მეთოდებით მათ რეკონსტრუქციას. ჯავახეთის ქედის ტერიტორიაზე გვიანმიოცენური ვულკანიზმის პროდუქტებით აგებული რელიეფის ფორმები განვითარებულია ქედის სხვადასხა ნაწილში—ექსტრუზიული თაღებისა და ტექტონიკური ბლოკების სახით. აგებულია საშუალო და მეზო შედგენილობის ვულკანიზმით: თაღური ფორმის მონოგენური ლავური ვულკანებს მიეკუთვნებიან: ჩრდილო დალილადი (2661.2), ჭიქანი (კოიუნდაღი, 2417.0), კირდაღი (2431.6), მადატაპა (2713.8). ძლიერ დანაწევრებულ რელიეფს ქმნის — თანამედროვე მყინვარული ფორმებით ქედის წყალდამოფნაში, მდინარე სარფდერეს სათავეებში გვიანმიოცენური დაციტებითა და რიოლითებით აგებული ჩათახის მასივის ტექტონიკური ბლოკი. ძალიან მოკრძალებულია გვიან-მიოცენური ვულკანიზმის როლი ახალქალაქის პლატოს თანამედროვე რელიეფის ფორმირებაში. პლატოს მოსწორებული რელიეფის ფონზე კარგად გამოიყოფა მის სხვადასხვა ნაწილში აღმართული იდეალური კონუსის ფორმის, ანდეზიტებითა და დაციტებით აგებული ამირანისგორისა (1883.3) და ედდაღის (2495.5) ექსტრუზიული მასივები.

შუაპლიოცენში ჯავახეთის ზეგანის გვიანმიოცენური რელიეფი აქტიური დენუდაციისა და ვულკანურ-ტერიგენული ნალექების დაგროვების არედ იქცა.

**გიანპლიოცენურ-ადრეპლიოცენური რელიეფებისტრომებული უტაპი.** გაცილებით დიდია გვიანპლიოცენურ-ადრეპლიოცენური ეტაპის ვულკანიზმის როლი ჯავახეთის ზეგნის თანამედროვე რელიეფის იერსახის ჩამოყალიბებაში. ამ პერიოდში უკვე არსებობდა მაღალმთიანი სისტემები დანაწევრებული რელიეფით. ზედა პლიოცენში ტექტონიკური

მოძრაობის გააქტიურების ფონზე კიდევ უფრო იზრდება რელიეფის კონტრასტულობის ხარისხი. რელიეფის ფორმირების გვიანპლიოცენური ეტაპი, წინამორბედისაგან განსხვავდით, გამოირჩევა ვულკანური მოქმედებათა გამოვლინების განსხვავებული ტიპით. კერძოდ, გვიანპლიოცენში ვულკანიზმის განვითარების საწყისი სტადია ნაპრალურ-არეალური ტიპის მდლავრი არეალური ამოფრქვევებით იწყება, რომელიც მიმდინარეობს დოლერიტ-ბაზალტური შედგენილობის ლავების კოლოსალური რაოდენობით ამოფრქვევით. ვულკანური კონუსები, როგორც ასეთი ნაპრალური ტიპის ცენტრებიდან თხევადი მაგმის ამოიფრქვის შემთხვევაში ჩვეულებრივ არ ჩნდება; ამ დროს ფორმირდებიან: ახალქალაქის, წალკის, გომარეთისა და დმანისის პლატო-ბაზალტები, რომლებიც შედგებიან ერთმანეთზე სუბპორიზონტურად განლაგებული რამდენიმე ლავური ნაკადისგან. ნაკადებს შორის ხშირად სახელმძღვანელო ნამარხების შემცველი ტბიური ნადევქებია განვითარებული, რაც ამოფრქვევებს შორის შესვენების პერიოდში მშვიდი, სტაბილური ტექტონიკური რეჟიმის არსებობაზე მიუთითებს.

ვულკანიზმის განვითარების მომდევნო ეტაპი ცენტრალური ტიპის ამოფრქვევებით მიმდინარეობს, რაც გამოიხატება ეფუზიურ და ექსპლოზიურ პროცესებში, რომლებიც ქმნიან ლავურ ველებსა და მდლავრ პიროკლასტურ განვენებს. ცენტრალური ტიპის ამოფრქვევების პროდუქტები წინა ეტაპისაგან განსხვავებით ხასიათდებიან კაუმიშის მომატებული შემცველობით და წარმოდგენილია ანდეზიბაზალტური (ძირითადად) და ანდეზიტური შედგენილობის ლავებით და მათივე პიროკლასტოლიტებით. მუვე ვულკანიტები თითქმის არ მონაწილეობენ.

დიდია გვიანპლიოცენური ვულკანური ეტაპის როლი ჯავახეთის ქედის თანამედროვე რელიეფის ფორმირებაში. ჯავახეთის ქედი (სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე-45 კმ, სიგანე 5 კმ და-25 კმ-დე) ხასიათდება მკვერთად გამოხატული ასიმეტრული აღნაგობით. ჯავახეთის ქედის რელიეფი, სამსარის ქედისაგან განსხვავებით შედარებით შშვიდი-სუსტი დანაწევრებით ხასიათდება. ქედის დასავლეთი კალთა მთელი თავისი გავრცელების მანძილზე თანდათან გადადის პლატოსებრ მოსწორებულ რელიეფში, ხოლო აღმოსავლეთი-შედარებით ციცაბოა და დანაწევრებულია მდინარეთა ღრმა ხეობების ხშირი ქსელით.

ვულკანური ამოფრქვევის ცენტრების ძირითადი მასა განლაგებულია ქედის წელგამყოფ ნაწილში და მის დასავლეთ კალთაზე გამავალ სუბმერიდიონალური მიმართულების სიღრმეული რდგევის ხაზის გასწვრივ უწესრიგოდ ან რიგებად. ქედის თხემური ნაწილის რელიეფს ქმნიან აქ განვითარებული სრტატოვულკანები, ექსტრუზიული თაღები, ლავური და წილის კონუსები და მათ შორის პლატოსებურად მოსწორებული ფართო დეპრესიული უბნები.

**სტრატოვულკანები.** ამ ტიპის ვულკანურ ნაგებობებს მიეკუთვნებიან ემლიკლი (3056.8), ლეგლი (3156.9) და სამხრეთი დალიდადი (2914). ისინი ძირითადად ბაზალტური და ანდეზიტიბაზალტური (იშვიათად ანდეზიტური) შედგენილობის ლავებისა და მათივე პიროკლასტოლიტების მორიგეობით არიან აგებული. მათთან დაკავშირებული ლავური ნაკადები ამოფრქვევის ადგილიდან სხვადასხვა მიმართულებით რამდენიმე ათეულ კმ-ზე ვრცელდებიან. განსხვავებულია ლავური ნაკადების ზედაპირის მიკრორელიეფი და ზომებიც. რელიეფის ძირითად ფორმებს შორის გავრცელებულია მონოგენური ლავური ვულკანები და წილის კონუსები.

მონოგენური მოქმედების ლავურ ვულკანებს მიეკუთვნებიან: ინიაკდადი (1943.8), კარატეპე (2350), ბიკეტი (2277,4) კულიაბიაკა (2820,4) (ჯავახეთის ქედი); სურპ-ოგანეზი (2327.5) სამსარის ქედი); ლავურ - წილოვან ვულკანებიდან: გრეშინნაია (2515.2), ქემერლი (2538.8), სეიტბაპა (2147.9), გუნიაკალა (1976), დავაკარანი (2807.8), გულაბაია (2806.2), შიშტეპე (2787.1), გილხიდადი (27677), კარახაში (2689) და სხვ. (ჯავახეთის ქედი), სუპსარი (2327) ჩალატუდორი (2353.2), უსახელო მწვერვალები (2562.5, 2665), ორტულუ (2445.6), ოქიუზდადი (2441) უსახელო მწვერვალები (2928.0, 3390.1, 2605.5). (ნიალასურის ქედი): პატარა გიუნეი (2033.2), დიდი გიუნეი (2060.1), თაშკალა (1983.2), სუპსარი (2000), ზაკვი (1990.2), მურჩუმტეპე (1830.1), უსახელო (1896.6) და სხვ. (ახალქალაქის პლატო), ქეროდლი (2215.5), უსახელო მწვერვალები (1951.7, 1930, 1962) (მურაკვანის ქედი). წილის ვულკანები. ამ ეტაპზე ადგილი აქვს კოლოსალური მოცულების პიროკლასტური მასალის ამოფრქვევას, რომელსაც ემსახურებიან: იუმრიტაპე (2247.8), ტავშანგაპა (2179.9), საღამო (2330.0), კრუგლიაია (2108), გული (2380), ხარიტონოვაბალკა (2234.3), ქაჩალტეპე (2812.0) და სხვ. (ჯავახეთის ქედი); კარაულტეპე

(2146), ოვახი (2995.0), დილიფა (1979), ინიაკი (2138.0) (ნიალასყურის ქედი), არჩეული (2167.5), სულდა (1967.2) (ახალქალაქის პლატო), პატარა კიზიდაღადი (2620.0) (სამსარის ქედი).

რელიეფურმომენტის გეოანთოგოსტოცენური კუთხი. გვიანანლეისტოცენურ ეტაპს არსებითი როლი ზეგნის რელიეფის იერსახის შექმნაში არ შეუტანია. ამ პერიოდში სამსარის ქედზე განახლებას იწყებენ გვიანმიოცენური დროის სტრატოვულკანები: პატარა შავნაბადა, ბექერიკლდე, თავკეთილი. მათთან არის დაკავშირებული შავი, ფისისებური ჰიალოანდეზიტების მძლავრი და გრძელი ლავური ნაკადები, რომლებიც ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კალთებზეა განვითარებული. ნაკადებს შერჩენილი აქვთ ქაოტური, უსწორმასწორო, გორაკ-ბორცვიანი ზედაპირები. კარგად დაიკვირვება ნაკადების სავეჯურისებური განლაგება. ნაკადებს არ ემჩნევა არც მყინვარული ეგზარაცია და არც ეროზიული მოქმედების ნიშნები.

ამ დროის განახლებულ სტრატოვულკანებს მიეკუთვნებიან დიდი კიზიდაღადი (3098.1), რომელიც განვითარებულია სამსარის კალდერის აღმოსავლეთ ბორტში. მოსწორებული რელიეფის ფონზე შესანიშნავად ჩანს მისი იდელური კონტური ფორმა, რომლის ციცაბოდ დაქანებულ კალთებზე და ძირში უხვად გვხვდება გამოფიტული ქანების დიდი სიმძლავრის ლოდნარი.

#### კულანური რელიეფის გარდაქმნის კუთხოცენური პროცესები

ჯავახეთის ზეგნის პირველადი ვულკანური აკუმულაციით შექმნილი რელიეფი, ვულკანური აქტიობის შეწყვეტის შემდეგ, განიცდის ეპზოგენური პროცესების ინტენსიური ზემოქმედებას. აქვთ უნდა ადინიშნოს, რომ რელიეფის გარდამქმნელი ეპზოგენური პროცესი მათ შემქმნელ ეფექტურ ენდოგენურ პროცესებთან შედარებით გაცილებით ნელა მიმდინარეობს.

პირველადი ვულკანური რელიეფის ფორმების გარდამქმნაში წამყვანი როლო ეროზიასა და გამოფიტვის პროცესებს ეფუთვნით, რომლებიც მოქმედებენ, არა მხოლოდ ვულკანური რელეფის ჩამოყალიბების შემდეგ არამედ მისი ფორმირების პროცესშიც. ბევრ ვულკანურ ნაგებობაზე დაკავირვებით (სამსარი, სამხრეთი დალიდაღი და მრავალი სხვა), ჩანს, რომ რელიეფის გარდამქმნაში უდიდესი როლი აქვთ ვულკანურ ავეთქმებებს. იმის მიუხედავათ, რომ აფეთქებები არის დროში წრაფი-ხანმოკლე პროცესი, რელიეფის გარდაქმნის ხარისხი ამ დროს იმდენად მაღალია, რაც შეუძლებელი იქნებოდა ეროზიულ პროცესებს რამდენიმე ათასეული წლის განმავლობაში მოქმედებით გამოიწვიათ.

ნივალურ-მყინვარული რელიეფი. წამყვანი როლი ჯავახეთის ზეგნის რელიეფის გარდაქმნაში მყინვარებს არ აქვთ. საკვლევი რეგიონის ტერიტორიაზე განვითარებულია იზოლირებული მცირე მასშტაბის მყინვარული კერები – ხეობის, კარული და კარულ-ხეობის მყინვარული ფორმების სახით. გამყინვარების ნიშნები კარგად ჩანს ცირკების, ტროგების, მორენების, ქვიანი მყინვარების და სხვა ნივალურ-გლაციალური მორფოსკულატურული ფორმების სახით (Маруашвили Л.1951, ახალკაციშვილი, 2006).

რელიეფის ძველმყინვარული ფორმები დამახასიათებელია, მხოლოდ იმ მწვერვალებისა და მასივებისათვის, რომელთა აბსოლუტური სიმაღლე 3000 მეტრს აღემატება. კარული ფორმების ანალიზიდან გამომდინარე ფირნის ხაზი 2700–2800 მეტრ სიმაღლეზე მდგებარეობს. ხოლო ფირნის ხაზის სხვაობა 150–200 მეტრია. არის ისეთი მწვერვალები, რომელებიც დიდი აბსოლუტური სიმაღლის მიუხედავად (2900–3100 მ), გამყინვარების ნიშნებს არ აგრძელებს. მიზეზად შეიძლება მასივებისა და მწვერვალების ფერდობების დიდი ციცაბო – ქარაფვანი დაქანება და ახალგაზრდა ასაკი ვივარაუდოთ.

ძველი გამყინვარების ზემოქმედების ნიშნები შემორჩენილია დიდი აბულისა და სამსარის ვულკანურ მასივებზე. დიდი აბულისა მასივზე ძველი გამყინვარების არსებობის დამადასტურებელი ნიშნები ეროზიულ-აკუმულაციური ფორმების სახით შემორჩენილია მის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე-ცირკების, ტროგებისა და მორენების სახით. შედარებით მცირე ზომის კარული ფორმები შემონახულია სამხრეთ და დასავლურ ფერდობებზე, რაზეც მიუთითებს მყინვარული ნალექების მორფოლოგია-ბორცვიანი რელიეფი, მყინვარული წარმოშობის მცირე ზომის ტბებისა და სუსტად გამოხატული საფეხურების არსებობა.

დიდი აბულის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მყინვარული ფორმები განლაგებულია 2850–2900 მ. აბსოლუტურ სიმაღლეზე ლოდნარი, რომლის მყინვარული გენეზისი ეჭვს არ იწვევს გვიანმიოცენურ-აღრეპლიოცენური ვულკანური ციკლის მუვა უფეხივების ნატეხებით არის აგებული. მორენულ მასალაში მონაწილეობენ დაუხარისხებელი, დაუთხელი და

შრეობრიობას მოკლებული ქვა-დორდიანი დანაგროვები. მისთვის დამახასიათებელია ძლიერ დანაწევრებული დენუდაციურ-ტექტონიკური რელიეფი. მყინვარული ზემოქმედების ნიშნები - ცირკების, კარების ტროგებისა და მორებების სახით შემორჩენილია სამსარის ვულკანურ მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე. კალდერის შემომფარგვლელ ფერდობზე ეროზიულ-დენუდაციურ პროცესებს გადარჩენილი რამდენიმე კარული ფორმაა შემორჩენილი, რომლებიც 2900–3000 აბსოლუტურ მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ (ახალკაციშვილი, 2006).

მყინვარული ცირკები, რომლებიც დღესაც მუდმივი თოვლით არის ამოვსებული, დაფიქსირებულია ჯავახეთის ქადის წყალდამყოფ ნაწილში მდ.სარფდერეს სათავეებში (ჩათახის მასივი) 2600 მეტრ აბსოლუტურ სიმაღლეზე.

ნიალასყურის ქადის ტერიტორიაზე გამყინვარების ნიშნების არსებობაზე მიუთითებს ჯ.წერეთელი (Церетели Дж., 1969). ის მდ. ზაგრანიჩნაიას ხეობის სათავეებში 2900–2950 აბსოლუტურ მეტრ სიმაღლეზე განვითარებულ დეპრესიულ უბანს მყინვარულ ცირკად განიხილავს, რაც ჩვენი მონაცემებით მნელად მისაღებია, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ძველი გამყინვარების კვალი შეიძლება წაშლილიყო აյ განვითარებული ღრმა ეროზიული ხეობით (ახალკაციშვილი, 2006). გვიანპლიოცენურ-ადრეპლეისტროცენური ვულკანური ნაგებობები მყინვარული ზემოქმედების ნიშნებს არ ატარებენ და კარგად აქვთ შემორჩენილი პირველადი ვულკანური ფორმები.

**ფერდობის პროცესები.** ჯავახეთის ზეგნის პირვანდელი აკუმულაციური რელიეფის გარდაქმაში მნიშვნელოვან როდს ასრულებს ფერდობის პროცესები. პროსესები გამოფიტვით იწყება დენუდაციით მიმდინარეობს და აკუმულაციით მთავრდება.

In the Upper Cretaceous time, the products of erosion of the Bajocian porphyritic suite were delivered mainly from the south and southwest. In southern and southeast directions is visible the source of pyroclastic material of the Upper Cretaceous synchronous volcanism as well.

ლითოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დანალექი ქანების მინერალოგიური შედგენილობის, ფორმირებისა და შეცვლის თავისებურებების შესწავლა მათი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე – დაწყებული ნალექდაგროვებიდან (სედიმენტგენეზისიდან) – დამთავრებული სიღრმული კარაგენეზისით სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის პირობებში.

ტერიგენული მინერალოგიის შესწავლა საშუალებას იძლევა დადგინდეს საკვლევი ობიექტის ამგები ქანების ქანდაშენი მინერალები, მათი გამოფიტვის ხარისხი, განისაზღვროს ნალექდაგროვების გარემოს პედროდინამიკური პირობები და მათი გავლენა ტრანსპორტირებულ მასალაზე (დამრგვალება, გარდაქმნა და ა.შ.), აგრეთვე, დაჯგუფდეს მინერალები განსაზღვრულ პარაგენეტულ ასოციაციებში დედაქანების ტიპების დასადგუნდ (Flores, 1967). მის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ტერიგენულ-მინერალოგიური პროცენციების გამოყოფა, რომელთა კონფიგურაცია დამოკიდებულია დედაქანების გავრცელების ფართობზე და კლასტური მინერალების გაფანტვის არეალზე.

ტერიგენული მინერალოგიის შესწავლის მასალების ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, გაზის და ნავთობის კოლექტორების გამოსოლვის ზონების პროგნოზირებისათვის და პრაქტიკული შედეგების მისაღწევად უფრო დეტალური ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩასატარებელი პერსპექტიული რაიონების დადგენისათვის.

ზემოთ ანიშნული კვლევები საშუალებას იძლევა დადგინდეს შესწავლილი ნალექების მკვებავი წყაროს (ან წყაროების) ადგილმდებარეობა და რაგვარობა (შემადგენლობა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კავკასიონის კიდურა ზღვის “აღმოსავლეთი აუზის” (საქართველოს ფარგლებში) ზედაიურული და ცარცული ფლიშური ნალექების ქანდაშენი და აქცესორული მინერალების რაოდენობრივი შედგენილობის და რაგვარობის შესწავლა ამ ნალექების უფრო დეტალური კვლევების ჩატარების საშუალებას იძლევა.

აღნიშნული ნალექების მინერალოგიური ანალიზის შედეგებით დადგინდა, რომ აღნიშნული ფორმაციის შემადგენელ ქანებში მძიმე ფრაქციები (ხვ. წ.  $>2.83$  – 3) მცირე

რაოდენობითაა წარმოდგენილი (ჩვეულებრივ პროცენტის მეათედი ნაწილით, იშვიათად აღწევს მთელ პროცენტს); კერძოდ, ზედაიურულ კარბონატულ ფლიშში – კარბონატულ წყებაში მიმდე ფრაქციები უმნიშვნელო რაოდენობითაა (<0.1%) წარმოდგენილი; აღმაგად ჭრილში მათი რაოდენობა იზრდება და მაქსიმუმს (3%) აღწევს ტერიგენულ ფლიშში – ფასანაურის წყებაში. ზედა პორიზონტებში (აპტში და ალბში) კვლავ მიმდე ფრაქციების კლება აღინიშნება; ზედაცარცულ ნალექებში კი მათი რაოდენობა იშვიათად სცილდება 0.2 – 0.3% ფარგლებს.

მიმდე ფრაქციები ძირითადად წარმოდგენილია მაღნეულ და მდგრად მინერალთა ასოციაციით. მაღნეულში გაირჩევა: პირიტი, მარკაზიტი, ლიმონიტი, მაგნეტიტი. მდგრად მინერალთა ასოციაცია წარმოდგენილია ცირკონით, ტურმალინით და ტიტანის ჟემველი მინერალებით (რუტილი, ანატაზი, ბრუკიტი). შედარებით იშვიათად გვხვდება კორუნდი, აპატიტი, დერნიტი, სილიმანიტი, ბარიტები, ფლუორიტი, შპინელი, ქარსები, ქლორიტი და კარბონატი.

საკვლევი ნელექების მსუბუქი ფრაქციები(ხვ. ც-2.83) შედგება კვარცის, მინდვრის შპატების, მუსკოვიტის, სერიციტული აგრეგატების, თიხური მინერალების, კალციტისა და ნახშირის ნაწილაკებისაგან.

მაღნეული მინერალების რაოდენობა მიმდე ფრაქციაში საშუალოდ 47-76%-ია, ზოგჯერ 90-98%-საც აღწევს. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია პირიტი (პირიტ-მარკაზიტი). ნაკლებად გვხვდება ლიმონიტი, იშვიათად მაგნეტიტი.

პირიტი ძირითადად მეორადი წარმოშობისაა, წარმოდგენილია როგორც კრისტალური ისე კონკრეციების სახით. კრისტალური პირიტი კარგად განვითარებული ჰქექსაედრული, ოქტაედრული და პენტაგონდოდეკაედრული კრისტალების სახის გვხვდება. ჰქექსაედრულ წახნაგებზე უმეტესად შეიმჩნევა დაშტრიხვა. წარმოდგენილია კონკრეციული პირიტი ცალკეული მსხვილი და მცირე კონკრეციებისა და მათი დრუზების სახით. ზოგჯერ პირიტთან ერთად წარმოდგენილია ქარსი და კალციტი, რომელთა გამოჩენა ჩვეულებრივ დაკავშირებულია კონკრეციულ პირიტთან. ასეთ შემთხვევაში პირიტის მარცვალს ორი მხრიდან აღნიშნება დაია ფერის ქარსის ან კალციტის კონკრეციების კონკრეციებარი “წანაზარდები”.

მაგნეტიტი შედარებით იშვიათად გვხვდება; წარმოდგენილია უმეტესად ოქტაედრული კრისტალების სახით, იშვიათად უსწორო ფორმის ნატეხებით, უფრო იშვიათად – მიწისებრი აგრეგატებით; ძირითადად ან ნაწილობრივ გალიმონიტებულია. ლიმონიტი უმეტესად წარმოშობილია პირიტისა და მაგნეტიტის ხარჯზე. მაღნეული მინერალების მარცვლის ზომა მერყეობს 0.05-0.2 მმ-ის ფარგლებში.

ტერიგენული ქანების აქცესორული მინერალები ღართოდ გამოიყენებოდა მკვებავი წყაროს შემადგენელი ქანების ინდიკატორებად. ამ მინერალებით ადგენენ სედიმენტაციის პირობებს. კერძოდ, ერთზოული პროცესების თავისებურებებს, მასალის ტრანსპორტირებისა და დალექვის პირობებს.

აქცესორული მინერალების შესწავლა მიმართულია მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების გამოსავლენად, რომლებიც გეოლოგიური პროცესების ინდიკატორებად შეიძლება იქნას გამოყენებული. ასეთებს მიეკუთვნება უპირველესად აქცესორული კრისტალომორფოლოგიური თავისებურებანი. ტიპომორფულ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს კრისტალთა პაბიტუსი, ფორმა და მათი კომბინაცია, წახნაგის ზედაპირები, კრისტალთა სიდიდე, სხვადასხვა წანაზარდები, ზოგიერთი დევები კრისტალთა წახნაგებზე და სხვ. ქცესორი მინერალების კრისტალომორფოლოგიური თავისებურებანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემცველი ქანების პეტროგენეზისის შესწავლისას, მაგმური, მეტამორფული და დანალექი ქანების კორელაციის დროს, მინერალწარმოშობის გარემოს გამოკვლევისას, მინერალების გამოყოფის დროის დასადგენად და სხვ.

ბოლო ხანებში, გეოლოგიის პრობლემების გადაწყვეტისას სულ უფრო ხშირად ჩნდება შრომები მინერალოგიური შესწავლის “ცირკონის” მეთოდის დიდი შესაძლებლობების შესახებ. ეს მეთოდი აღნიშნული ნალექების კვლევაში გამოყენებული თითქმის არ ყოფილა (გარდა ამავე კომპლექსში შემავალი ტერიგენული ფლიშის კვლევებისა) (Варсимиашვილი ე. 2005). ამიტომ ზემოთ აღნიშნული ფლიშური კომპლექსის მინერალური შედენლობის შესწავლისას განსაკუთრებული უურადღება უქცევოდა ცირკონებს. ეს უკანასკნელი შესწავლით ნალექებში მდგრადი მინერალებიდან ყველაზე დიდი გავრცელებით სარგებლობს. მიმდე ფრაქციაში მისი რაოდენობა 5-12%-ია; ზოგჯერ 30-49%-ს აღწევს. არბონატულ ფლიშში 3-5%-ია, ტერიგენულში – 15-12%-ია, ზედაცარცულში 4-8%. გეხვდება ამ

მინერალის შემდგები მორფოლოგიური ტიპები: ნატეხები, დამრგვალებული მარცვლები, როკლებშიც გაირჩევა მთლიანად დამრეგვალებული – კვერცხის, ან იშვიათად ბურთის-მაგვარი (სურ. 1–18) და ნაწილობრივ დამგვალებული ფორმები რომელზეც წახნაგები ჯერ კიდევ კარგად არის გამოხატული ხოლო წიბოები და წვერი არამკვეთრია, განსაკუთრებით ბიპირამიდის წვეროებია მომრგვალებული (სურ. 1-16,17).

ცირკონის კრისტალები ორგვარია – პრიზმული და იზომეტრული; პრიზმულში გაირჩევა – მოკლებრიზმული  $c/b = 1 - 2$  (სურ. 1-1, 2, 3), გრძელპრიზმული  $c/b = 2 - 3$  (სურ. 1-7, 8, 9) და ნემსისებური  $c/b = 4$  (სურ. 1-13) ფორმები. შესწავლილ ნალექებში გაბატონებულია მოკლე და გრძელპრიზმული კრისტალები, ნემსისებური კი ნაკლებად გვხვდება. ცირკონის პრიზმული კრისტალები ხასიათდება მარტივი კრისტალოგრაფიული ფორმებით, რომელთა შორის გვხვდება /110/ და ბიპირამიდა /111/. ზოგიერთი რისტალისთვის დამახასიათებელია ბაზალური პინაკოიდი /001/, რომელიც ბიპირამიდის წვეროებს კვეთს (სურ. 1-5, 8, 6, 22).

ცირკონის იზომეტრული კრისტალები წარმოდგენილია უმეტესად მოკლე პრიზმების სახით; როგორც ჩანს ასეთი სახის კრისტალების დამუშავების შედეგია ცირკონის ზემოთ აღნიშნული კვერცხისა და ბურთისმაგვარი ფორმების არსებობა. აღსანიშნავია, რომ, ერთიდაიგივე ნიმუში გვხვდება ცირკონის როგორც კარგად განვითარებული პრიზმული კრისტალები, ისე დამრგვალებული – კვერცხისა და ბურთისმაგვარი მარცვლები, ცირკონის ზოგიერთ მარცვალს ახასიათებს ზონალობა (სურ. 1- 21, 22, 23) და შეიცავს ტურმალინის, რუტილის, გაზის (ან სითხის) და ცირკონისავე ჩანართებს (სურ. 1-1, 5, 8, 9, 10, 14, 15, 21, 23). იშვიათად გვხვდება ცირკონის მრჩებლები, რომლებიც პრიზმის პარალელურად, მართობულად ან ბიპირამიდის წახნაგებით არიან შეზრდილი (სურ. 1-19, 20).


ზემოთ აღნიშნული ყველა სახის ცირკონი ძირითადად უფერო ან ოღნავ მოყვითალოა; იშვიათად გვხვდება მოყავისფროდა მურა ფერის; საკვლევ ფლიშურ ნალექებში ცირკონის შესწავლილიტიპების განაწილების განხილვისას უურადღებას იპყრობს ის გარემობა, რომ ვერტიკალურ ჭრილში (განსაკუთრებით ტერიგენულ ფლიშში) ცირკონი რაოდენობრივად მარცვლის სიდიდის, წაგრძელებისა და შეფერვის მიხედვეთ თითქმის ერთგვაროვანია. თუ განვიხილავთ ცირკონის კრისტალური ფორმების და დამრგვალებული მარცვლების ვერტიკალურ ჭრილში გავრცელებას, შემდეგ კანონზომიერება შეინიშნება – ქვედა ჰორიზონტებში მეტი რაოდენობით გვხვდება ცირკონის დამრგვალებული მარცვლები, უფრო ზევით – ფასანაურის წყების შუა ნაწილში, თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი დამრგვალებულიცა და კრისტალური ფორმებიც; ზედა ჰორიზონტებში კი გაბატონებულია ცირკონის დაკუთხული მარცვლები.

შესწავლილ ნალექებში ცირკონის სხვადასხვა ტიპების არსებობა იმაზე უნდა მიუთოობდეს, რომ მათი მომცემი დედაქანები სხვადასხვაგვარი იყო. ვვარაუდობთ, რომ საშუალოპრიზმული და წაგრძელებული კრისტალების მომცემი წყარო გრანიტოდები იყო, მოკლეპრიზმული ჰაბიტუსის – დიოიტები და დიორიტები – პორფირიტები; ცირკონის დამრგვალებული მარცვლის ფორმა კი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მასალის გადალექვის დროს დამუშავების შედეგია და მათ მომცემ წყაროს დანალექი ფორმაცია უნდა წარმოადგენდეს. არ გამოვრიცხავთ მაგმურ დედაქანში დამრგვალებული სახის ცირკონის არსებობასაც.

შესწავლილი ფლიშური კომპლექსი ცირკონების ტიპომორფული სახესხვაობების კვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ნალექების მკვებავი წყაროს შედგენილობის განსაზღვრისას. ცირკონები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მიკროკორელატივებად კავკასიონის კიდურა ზღვის „აღმოსავლეთ აუზის“ ზედაიურულ-ცარცული ფლიშური ნალექების (საქართველოს ფარგლებში) დანაწილების და კორელეციისას.

შესწავლილი ნალექების ასევე თითქმის მუდმივი შემადგენელი კომპონენტია ტურმალინი, რომელიც მძიმე ფრაქციაში საშუალოდ 2-7%-მდე გვხვდება, ზოგ შემთხვევაში 18%-საც აღწევს. ეს მინერალი ძირითადად დაკავშირებულია ქვაშაქვებთან და ალევროლიტებთან, იშვიათად გვხვდება პელიტოლიტებშიც. ტურმალინი წარმოდგენილია როგორც კარგად განვითარებული პრიზმული კრისტალების (სურ. 2-1, 2, 3, 4), ისე ბოლომოტებილი ან მოცვეობილი პრიზმული (სურ. 2-5, 6) და მეტნაკლებად იზომეტრული კვერცხისმაგვარ ფორმამდე დამრგვალებული მარცვლების სახით (სურ. 2-7, 8, 9). ტურმალინის პრიზმულ კრისტალებზე უმეტესად განვითარებულია (0110)და (1120) სიბრტყეები, რომლებითაც კომბინაციაში ხშირად გვხვდება პრიზმები უფრო რთული ინდექსით. გვხვდება აგრეთვე კრისტალები ტრიგონალური პირამიდების წახნაგებით – (1011), (0221). ტურმალინის მარც-


გალთა სიდიდე 0.06-0.5 მმ ფარგელებში მერყეობს. მათი უმრავლესობა შეიცავს ჩანართებს. ჩანართები ძირითადად მუქი ფერისაა, გაუმჯვირვალე, ჩვეულებრივ უსწორო ფორმის ლაქების სახით, იშვიათად ცირკონისა და რუტილის წერილი ნემსისებური კრისტალების სახითაა წარმოდგენილი. ისინი უმეტესად კრისტალის ცენტრშია მოთავსებული, უფრო იშვიათად კი მთელ მარცვალშია გაძნეული. ფერის მიხედვით გაირჩევა ტურმალინის შემდეგი სახესხვაობები: მოყავისფრო-ყვითელი, მომწვანო-მურა და ლურჯი ტურმალინები. (ეს უკანასკნელი იშვიათად გვხვდება).



სურ. 1. ცირკონების მორფოლოგიური ტიპები

მოყავისფრო-ყვითელი ტურმალინის კრისტალთა პაბიტუსი უმეტესად მოკლე პრიზმულია ( $c/b = 1 - 2$ ), რომელიც ზოგჯერ კარგად განვითარებულ ტრიგონალური ბიპირამიდით არის დაბოლოებული (სურ. 2-1, 11), ზოგჯერ კი ერთი ბოლო პირამიდით არის შემოფარგლული, მეორე – მონოედრით (სურ. 2-3). გვხვდება ორივე მხარეს მონოედრით დაბოლოებული პრიზმული კრისტალებიც (სურ. 2-2, 4). მომწვანო-მურა ფერის ტურმალინები მეტწილად გრძელპრიზმული მარცვლების სახითაა წარმოდგენილი. კრისტალთა ფორმები მოყავისფრო-ყვითელი ტურმალინების მსგავსია და შედარებით იშიათად გვხვდება. ლურჯი ტურმალინების მარცვლის ფორმა უმეტესად უსწოროა და ძირითადად პრიზმული კრისტა-

ლების ნატეხებია. აღწერილ ტურმალინებს ჩაქრობა სწორი აქვთ, წაგრძელება უარყოფითი.




ნახ. 2. ტურმალინის მორფოლოგიური ტიპები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესწავლიდ ნალექებში ტურმალინი წარმოდგენილია როგორც დამუშავებული, ისე სუსტად დამუშავებული და თითქმის დაუმუშავებელი კრისტალების სახით. მის საფუძვლზე ამ მინერალის მომცემი ორი წყარი შეიძლება დაუშვათ: შედარებით დაუმუშავებელი ტურმალინები გრანიტული ქანების, დამუშავებული კი – დანალექი კომპლექსის გადარცხვის შედეგად უნდა იყო მიღებული.

შესწავლიდ ნალექებში გვხვდება აუტიგენური წარმოშობის ტურმალინი. მინერალი უკითელი ფერისაა: ახასიათებს სუსტი პლეოქროიზმი და შედარებით დაბალი ინტერფერენციის ფერები ( $No = 1.655+0.001$ ;  $Ne=1.633+0.001$ ;  $No - Ne = 0.022$ ). გარდატეხის მაჩვნებლის მიხედვით მინერალ დრავიტს მიეკუთვნება. წარმოდგენილია თითქმის სრულკრისტალური ფორმებით – კრისტალებს გრძელპრიზმული ჰაბიტუსი აქს და ბოლოვდება უმეტესად ბიპირამიდით; ხშირად ერთი განვითარებული ბოლოთი დაზრდილია კვარცის მარცვალზე ან ორგანულ მასაზე (სურ. 2–10, 11, 12, 13). გვხვდება აგრეთვე ტურმალინის ტერიგენულ მარცვალზე აუტიგენურის შემოზრდაც (სურ. 2–14). ასეთივე დაბალი ტემპერატურისა და წნევის პირობებში წარმოშობილი ტურმალინები საქართველოში აღწერილი აქს დ. შენგალიას (1963) დარიალის ხერის ლიასურ ქვიშიან თიხა-ფიქლებში და გ. ბერიძეს (1965) მთის რაჭის იურული ასაკის ასპიდური სერიის მონაწილე კველა ტიპის ქანებში.

საკვლევი ფლიშური კომპლექსის ნალექებში ტიტანის მინერალებიან წარმოდგენილია რუტილი, ახატაზი, ბრუკიტი და ლეიკოქენი, რომელთა პროცენტული შემცველობა საშუალოდ 1–3%-ია; იშვიათად აღწევს 21%-ს. რუტილი მუქი ყვითელი, ან მოყავისფრო ყვითელი

მოკლე და გრძელპრიზმული კრისტალების და კრისტალთა ნატეხების სახით გვხვდება სურ. 3). იშვიათად წარმოდგენილია მუხლისებური ან გულისმაგვარი მრჩობლები (სურ. 3–8, 9, 10, 11) და კარგად დამუშავებული მარცვლები (სურ. 3–12). პრიზმულ კრისტალებს სშირად აღენიშნება C დერძის პარალელური, ზოგჯერ კი ირიბი დაშტრიხვა. კარგად დაცული კრისტალები უმეტესად წარმოდგენილია პრიზმისა და ტეტრაგონალური ბიპირამიდის კომბინაციით (სურ. 3–3, 5). რუტილის ზოგ მარცვალს ახასიათებს სუსტი პლეოქროიზმი. მარცვლის ზომა  $0.05 - 0.4$  მმ-ია. სშირად ქლორიტის ან ბიოტიტის ფურცლებში რუტილის ბადისებური მრჩობლური შენაზარდები – საგენიტები აღინიშნება. რუტილის უწრვილეს ნემსებს შეიცავს ტერიგენული ფლიშის პელიტოლითების უმეტესი ნაწილი.




ნახ. 3. რუტილის მორფოლოგიური ტიპები

ანატაზი გვხვდება კარგად განვითარებული პრიზმული, ან ფირფიტის მაგმარი კრისტალებისა და მათი ნატეხების სახით (სურ. 4–1, 2, 3, 4). პრიზმული კრისტალები წამოდგენილია პრიზმისა და ბაზოპინაკოიდის კომბინაციით. იშვიათად შეიმჩნევა სუსტი და განვითარებული ტეტრაგონალური ბიპირამიდა. ზოგჯერ გვხვდება უწესრიგოდ შეზრდილი მრჩობლები. ანატაზის ფერი დია ყვითლიდან მოყვითალო ყავისფრამდე ცვალებადობს. სშირად მუქი ფერის გაუმჯვირვალე ლეიკოქენის მასაზე დაზრდილია ანატაზის კარგად განვითარებული კრისტალები (სურ. 4–6). ამის გამო სავარაუდოა, რომ ამ ნალექებში ანატაზების ნაწილი აუტიგენური წარმოშობისაა.

ტიტანის მინერალებიდან შედარებით იშვიათად გვხვდება ბრუკიტი. წარმოდგენილია მოშავო ან მუქი ყავისფერი, გაუმჯვირვალე უსწორო ნატეხების სახით (სურ. 4–5). ასევე იშვიათად გვხვდება ლეიკოქენი, რომელიც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ძირითადად აღწერილი მადნეული მინერალების ხარჯზე წარმოშობილი (სურ. 4–6). შესწავლილი

ტიტანის მინერალები თითქმის ყოველთვის ერთად გვხვდება და უმეტესად ქვიშაქვებში. აქ ისინი ხშირად შრებრივობის პარალელურად ერთ ზოლზეა განლაგებული.



ნახ. 4. ანატაზი 1 – 4, ბრუკიტი – 5, ლეიკოქენი – 6

საკვლევი რეგიონის ზედაიურულ და ცარცულ ფლიშურ ნალექებში მცირე რაოდენობით წარმოდგენილია მინერალი აპატიტი (<1%). ყველაზე მეტად გავრცელებულია ქვედა ცარცის ზედა ჰორიზონტებში (აპტში და ალბში) და ზედა ცარცის ქვედა ნაწილში (სენომანში და ტურონში). როგორც ჩანს, ამ მინერალის გამოჩენა დაკაგშირებულია ალბ-სენომანური ვულკანიზმის პროცესებთან. აპატიტის შემცველობა მძიმე ფრაქციაში საშუალოდ 7%-ია, სენომანული დაწევს 28%-ს (ჭრილი მდ. ჯეჯორაზე).

აპატიტი ძირითადად წარმოდგენილია გამჭვირვალე კრისტალების სახით უმეტესად მოტეხილი დაბოლოებებით (სურ. 5-1-7). ნაკლებად გვხვდება თითქმის იზომეტრული მარცვლები, რომლებიც სუსტად დამუშავებულია; იშვიათად წარმოდგენილია საღი კრისტალებიც, რომლებზედაც კარგად გაირჩევა ჰექსაგონალური პრიზმების და ბიპრამიდის კომბინაცია. მინერალი გამჭვირვალეა, იშვიათად გვხვდება სუსტად შეღებილი პლეოქროული მარცვლებით.

აღნიშნულ ნალექებში აპატიტის ჯგუფის მინერალებიდან გვხვდება დერნიტი (ნატრიუმიანი აპატიტი) საშუალოდ 8%-მდე, ზოგჯერ აღწევს 29%. წარმოდგენილია მოყვითალო ფერის პრიზმები კრისტალებით (სურ. 5-8 - 14). ახასიათებთ ექსტროხა ბაზალური კვეთები, ხორკლანი ზედაპირი, სწორი ჩაქრობა (ან ჩაქრობის მცირე კუთხე). ამ მინერალის არსებობა შესწავლილ ნალექებში დაგენილია სკექტრალური და რენტგენოსტრუქტურული ანალიზებით. მინერალის მარცვლებს კარგად უმნიერეს მექანიკური დამუშავება.


კორუნდი გვხვდება მხოლოდ ზედაიურულ და ქვედაცარცულ ნალექებში 1%-მდე, ზედაცარცულ ქანებში თითქმის არ არის. წარმოდგენილია მახვილებული უსწორო ფორმის 01 – 04 მმ სიდიდის ნატექების სახით. ჩვეულებრივ სუსტადაა შეფერილი მომწვანო ან მოყვითალო ფერებში. ზოგჯერ უფერო, გაუმჭვირვალე. გვხვდება კარგად გამოხატული ნიუარისებული მონატების მქონე მარცვლები.

გრანატი შესწავლილ ნალექებში იშვიათად გვხვდება. შედარებით ხშირად შეიმჩნევა ზედაცარცული ნალექების აღმოსავლეთ ჭრილებში, საშუალოდ 3%-მდე. წარმოდგენილია მომწვანო ფერის უსწორო ფორმის ნატექებით, დამახასიათებელი ნიუარისმაგვარი მონატებით და ქიმიური გახსნის საფეხურისმაგვარი ფორმებით. ზომა 02 – 03 მმ-ია.

ზედაცარცულ ნალექებში, განსაკუთრებით სენომანში და ტურონში ჩნდება მინერალი ბარიტი. წარმოდგენილია უფერო, ტკებვაღობის სიბრტყის ფირფიტების სახით, დამახასიათებელი ხორკლიანი ზედაპირით და წერტილოვანი ჩანართებით.

ფლუორიტი დაფიქსირებულია მხოლოდ ზედაცარცულ ტურონულ ნალექებში (მდ. არყალას ხეობის ჭრილში). წარმოდგენილია უფერო, უსწორო, ნიჟარისებური მონატეხის მარცვლებით, იშვიათად გვხვდება სწორქუთხოვანი ან პუბისმაგვარი ფორმები. კრისტალებში ხშირად შეიმჩნევა უწვრილესი კრისტალების, გაზისა და სითხის ბუშტების ჩანართები.

უინვალ-გომბორის გეოტექტონიკურ ქეეზონაში ზედაცარცულ უველა წყებაში მეტ-ნაკლები რაოდენობით (15%-მდე) წარმოდგენილია პიროქსენ-ამფიბოლები. ამ მინერალების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაკავშირებული უნდა იყოს ალბ-სენომანური ვულკანოგენური წარმონაქმნების გადარეცხვასთან და ნაწილობრივ სინქრონული ვულკანიზმის მასალის მოტანასთან.



ნახ. 5. აპატიტი 1 – 7, დერნიტი 8 – 14

პიროქსენი წარმოდგენილია მომწვანო ფერის კრიტალთა ნატეხებით, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი ინტენსიურუციის ფერები და ჩაქრობის დიდი კუთხე. ისინი ძირითადად საღია, ზოგჯერ კი მნიშვნელოვანად გაეპიდოტებული, იშვიათად გაქლორიტებული, გაპირიტებული ან გალიმონიტებული.

რქატყუარა დაკბილული და უსწორო ფორმის მომწვანო კრისტალების ნატეხებითაა წარმოდგენილი; იშვიათად გვხვდება პრიზმული კრისტალები; უმეტესად საღია, გვხვდება გაქლორიტებული ან ოპაციტიზირებული.

ქარსები (მუსკოვიტი, ქლორიტ-მუსკოვიტი და უმნიშვნელო რაოდენობით ბიოტიტი) და ქლორიტი საკვლევ ნალექებში ძირითადად აუტიგენური წარმომობისაა, ამიტომ მათი განაწილება ჭრილში რამდენადმე თავისებურია. ზოგ შემთხვევაში მათი მაქსიმალური

რაოდენობა ჭრილის განსაზღვრულ ნაწილთან არის დაკავშირებულ, ზოგჯერ კი მცირე რაოდენობით გვხვდება მთელ ჭრილში. ისინი განსაკუთრებით ფართედაა გავრცელებული გარდამავალ და ტერიგენული ფლიშის წყებებში.

კარბონატი ხშირედ დაკავშირებულია კარბონატულ ქანებთან და წარმოდგენილია კარბონატ-ლიმონიტური მასებით. მძიმე ფრაქციაში ისინი განსაზღვრულია როგორც სიდერიტი და ანკერიტი. წარმოდგენილია წვრილი რომბოედრების სახით; მათი რაოდენობა ზოგჯერ აღწევს 60%-ს.

ამრიგად, საკვლევი ნალექების მძიმე ფრაქციის მინრალური ასოციაციების ხასიათი იმაზე მიუთითებს (ვარსიმაშვილი ე. 1973), რომ შესწავლილი ფლიშური ნალექების მირითადი მკერავი წყაროები უნდა ყოფილიყო მევე სუბსტრატი, აგებული გრანიტო-იდებითა და მეტამორფული ქანებით და ფიქლებითა და ქვიშაქვებით აგებული დანალექი კომპლექსი, რაზედაც მიუთითებს მდგრადი მინერალების გაზრდილი შემცველობა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესწავლილი ნალექების მსუბუქი ფრაქციები (ხვ. წ. <3 – 2.8) ძირითადად შედგება კვარცის, მინდვრის შპატების, მუხევივიტის, სერიციტული აგრეგატების, თიხური მინერალების, კალციტისა და ნახშირის ნაწილაკებისაგან.

კვარცი და მინდვრის შპატები, რომლებიც მთავარ ქანმაშენ მინერალებს წარმოადგენს სხვადასხვა მარცვლოვანი ქანებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დანალექი ქანების წარმოშობის პირობების ადგგენაში და გადარცხვის წყაროს დადგენაში.

შესწავლილი დანალექების შემადგენებლი კვარცის დამახასიათებელი ნიშნებია დაკუთხული და დაკუთხულ-დამუშავებული მარცვლის ფორმა (ზოგჯერ დამუშავებულია მრგვალ ფორმამდე). გვხვდება ძირითადად ლრუბლისებური ან ტალლოვანი ჩაქრობით. ნაკლებადაა წარმოდგენილი ამ მინერალის მოზაიკური სახესხვაობები და მარცვლები ნორმალური – სწორი ჩაქრობით. ჩვეულებრივ ისინი გამჭვირვალე არიან და შეიცავს უწვრილეს ჩანართებს. ადსანიშნავია, რომ შესწავლილი ნალექების ვერტიკალურ ჭრილში და გავრცელებაზე კვარცის მარცვლების განაწილების კანონზომიერება არ აღინიშნება. დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით ეს მინერალი ძირითადად გრანიტო-იდული ქანების გადარცხვის შედეგად უნდა იყოს მიღებული. შესაძლოა მათი ნაწილის მომცემი წყარო ძარღვული ან მეტამორფული წარმონაქმნებიც იყოს. გვხვდება მეორადი გადალექის მასალაც, რასაც პსამიტური ქანების შესწავლის შედეგებიც ადასტურებს.

საკვლევ ნალექებში მნიშვნელოვანი გავრცელებით სარგებლობს მინდვრის შპატები. ისინი წარმოდგენილია მევე პლაგიოკლაზებით – ალბიტ-ოლიგოკლაზით. ფასანაურის წყების ნალექებში წარმოდგენილია აგრეთვე კალიშპატი, რომელიც უმეტესად მიკროკლინია, იშვიათად ორთოკლაზი.

ცნობილია, რომ მინდვრის შპატები მაგმური, მეტამორფული და დანალექი ქანების ქანმაშენ მინერალებს მიეკუთვნება. ისინი დამახასიათებელია სხვადასხვა შედეგენლობის გრანიტო-იდებისთვის, სიენიტებისთვის და საშუალო შედეგენილობის ეფუზური ქანებისათვის. ფართო გავრცელებით სარგებლობს მეტამორფიზმის სხვადასხვა სტადიაზე განვითარებულ მეტამორფულ ქანებშიც – დაწყებული მწვანე ფიქლებით და ფილიტებით და დამთავრებული მინდვრის შპატიანი ამფიბილიტებით და გნეისებით.

შესწავლილი რეგიონის ზედაიურულ-ცარცული ფლიშური ნალექების მინერალოგური და პეტროგრაფიული კვლევების შედეგად დადგენილია შემადგენელ მარცვლოვან ქანებში ნივთიერების განაწილების განსხვავება (ჭრილში ქვემოდან ზევით) და გამოყოფილია მინერალოგიულ-პეტროგრაფიული ასოციაციები, რომლებიც დამახასიათებელია აღნიშნული კომპლექსის განსაზღვრული ჰორიზონტებისათვის (ვარსიმაშვილი ე. 1973). გამოყოფილი მინერალოგიულ-პეტროგრაფიული ასოციაციები ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავდება შედეგენილობით და ქანმაშენი კომპონენტების: კვარცის, მინდვრის შპატის და ქანის ნატეხების რაოდენობრივი თანაფარდობით. ასოციაციების გამოყოფისას ყურადღება ექცევდა, აგრეთვე ქვიშაქების, ალევრილითების და პელიტოლითების შემადგენელი მძიმე ფრაქციის აქცესორული მინერალების თავისებურებებს.

ამგვარად, შესწავლილი ზედაიურულ-ცარცული ფლიშური ნალექების მინერალოგიურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ მათი მძიმე და მსუბუქი ფრაქციები მეტნაკლებად ერთგაროვანია; მათი რაოდენობა ჭრილში იზრდება ძირითადად ქვევიდან ზევით (ალბურ დრომდე). როგორც მოსალოდნებელი იყო ქვედაცარცული ტერიგენული ფლიში (პოტრივულ-ბარე-მული) სასიათდება მდგრადი მინერალების მაქსიმალური რაოდენობით და მრავალსახეობით. შესწავლილ რეგიონში ზედაცარცულ დროში, თუ არ ჩავთვლით გულკანოგენურ-

დანალექი წარმონაქმნების სპორადულ გამოსავლებს, სედიმენტაციურ აუზში ძირითადად კარბონატული ნალექები გროვდებოდა, რომლებშიც არაკარბონატული ტერიგენული მასალა უმტბესად მინარევების სახითა წარმოდგენილი. საკელევი რევიონის ზედაიურულ-ქადაცარცული ფლიშური ნალექების ნივთიერი შედგენილობა და მინერალოგიური ასოციაციების ხასიათი იმაზე მიუთითებს, რომ მათი მომცემი წყარო ჩრდილო-დასავლეთით კავკასიონის ღემულ ნაწილში გაშიშვლებული კრისტალური სუბსტრატის მცირე კუნძულები უნდა ყოფილიყო, რომლებიც ძირითადად გრანიტოდული ქანებითა და მეტამორფული კომპლექსებით იყო აგებული და რომელთა მრავალმხრივი დეტალური პეტროლოგიური კვლევების შედეგები ქ-ნ. ნ. თათრიშვილს და ბ-ნ. გ. ზარიძეს მრავალ ფუნდამენტალურ შრომაში აქვთ გადმოცემული; ეს შრომები სამაგიდო წიგნად მოიაზრება გეოლოგების დღევანდელ თაობაშიც. ასეთივე მასალას ამ დროს როგორც ჩანს იძლეოდა სედიმენტაციური აუზის სამხრეთი არსებული რაჭა – ვანდამის (Maisadze F. 1999) კორდილიერაც. ქემოთ აღნიშნული მდგრადი მინერალების სიჭარებები კი იმაზე მიუთითებს, რომ ფლიშური კომპლექსის წარმოქმნაში დანალექი ქანების გადანარეცხი მასალაც იღებდა აქტიურ მონაწილეობას, რომელთა მომცემი წყარო როგორც ჩანს, აუზში განვითარებული შიდა გეოანტიკლინები უნდა ყოფილიყო.

ზედაცარცული ფლიშური კლასტოლიტების შესწავლით ნივთიერი შედგენილობა და მინერალოგია საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ამ ნალექების მკვებავი წყარო ძირითადად კვლავ მჟავე სუბსტრატი და დანალექი კომპლექსია. მკებავი წყაროს ადგლ-მდგბარეობის შესახებ ფაქტიური მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ მჟავე სუბსტრატი (გრანიტოდები და ეფუზივები) სედიმენტაციური აუზის სამხრეთით, ნალექდაგროვების ზონასთან ახლოს იყო განლაგებული. იქვე გაშიშვლებული უნდა ყოფილიყო ლიასური დანალექი – ქვიშაქვა – თიხაფიქლებიანი წყებით აგებული შიდა გეოანტიკლინების სტელეოც. ზედაცარცულ აუზში გრანიტოდული მასალის გარკვეული რაოდენობა შესაძლოა ზემოთ აღნიშნული უფრო შორეული, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მასალის წყაროდანაც შემოდიოდა. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში ბაიოსური პორფირიტული წყების გადარეცხვის პროდუქტები აუზში ძირითადად სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შემოდიოდა. ამავე მიმართულებით შეიძლება ვივარაუდოთ ზედაცარცული სინქრონული ვულკანიზმის პიროკლასტური მასალის წყაროს მდებარეობაც.

## ლიტერატურა

- ბერიძე მ.ა. (1970). მთის რაჭის იურული თიხა-ფიქლების სერიის ლითოლოგიისათვის//საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მომბეჭ. ტ. 40, № 3. გვ. 657-662.  
 Flores B. M. (1967). Variation in mineral composition during transports//Journ. Sediment. Petrol Menasha. Vol. 37 # 1. P. 210-22.1  
 Варсимашвили Э.В. (1973.) Минеральные ассоциации в нижнемеловых терригенных флишевых отложениях южного склона Большого Кавказа //Сообщ. АН ГССР т. 70, №2. с. 133-136.  
 Варсимашвили Э.В. (2005). Эволюция седиментаций и литогенез нижнемеловых отложений Восточного бассейна флишенакопления Окраинного моря Большого Кавказа//Тр. ГИН АН Грузии. Нов. Сер. Вып. 121. 151 с.  
 Шенгелия Д.М. (1972). Петрология Дарьялского массива //Тбилиси. Мецниереба. 105с.

**3. გელიშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სხივ - კავკასიის ალექსანდრე თვალწორელიძის მინისტრული ნედლეულის ინსტიტუტი (კმნი) თბილისი 0162,  
ფალიაშვილი 85, ელ. ფოსტა: [k-e-l@posta.ge](mailto:k-e-l@posta.ge)

საქართველოს ბუნებრივი მოსაპირეთებელი ქვების პოტენციალის სრული წარმოჩნდების და საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის მიზნით, აუცილებელია საბაზოთა გადაფასება და ისეთი დონისძიებების ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს მართვის დინამიკური სისტემის ორიენტირებულ მუშაობას და გაითვალისწინებს მომზარებლის რეალურ სურვილ-მოთხოვნებს და სანედლეულო ბაზის საწარმოო და გასაღების შესაძლებლობებს.

**Natural Facing Stones of Georgia. Vazha Geleishvili. Caucasian Alexander Tvalchrelidze Institute of Mineral Resoures.** 85 Phaliashvili str., 0162 Tbilisi, Georgia. E-mail: [k-e-l@posta.ge](mailto:k-e-l@posta.ge)

Natural facing stones occupy an important place among the values of the Georgian industrial minerals. It is necessary to carry out actions, which will provide focused work of dynamical system of management; which will foresee the real requirements and wishes of customers and at last which will provide for all possibilities of manufacturing raw material.

**Природные облицовочные камни в Грузии. В. Гелешвили.** Кавказский институт минерального сырья им. Александра Твалчрелидзе, ул. Палиашвили 85, 0162 Тбилиси, Грузия. E-mail: [k-e-l@posta.ge](mailto:k-e-l@posta.ge)

Для полного представления потенциала природных облицовочных камней Грузии и включения их в рыночные отношения необходима переоценка месторождений и проведение таких мероприятий, которые обеспечат ориентированную работу динамической системы правления и предусмотрят реальные потребности пользователя и производительные и реализационные возможности сырьевой базы.

**Abridged English Version**

Natural facing stones occupy an important place among the values of the Georgian industrial minerals. County has extensive experience in their exploring, mining and elaborate. They were widely used in the construction of buildings and the churches for centuries; nowadays to select these materials is especially important because of wide church construction and restoration work.

There are up to three thousand natural facing stones deposits and occurrences in Georgia, their total cost approximately is two milliard dollars, additionally interesting, the author's new information the usage the new and nontraditional layers (dacite, rhyolite, granite and others) as a facing material.

In consequence of massive usage exploitation and drill works, parts of the deposits that have been in manufacture and damaged-for the further exploitation it is necessary to carry out additional geological and engineering works.

With the purpose of revealing full potential of Georgian facing stones and there inclusion in marking, it is necessary to carry out actions, which will provide focused work of dynamical system of management; which will foresee the real requirements and wishes of customers and at last which will provide for all possibilities of manufacturing raw material..

The current conditions can create many small and medium-size enterprises for the stone extraction and elaborate, in a short time, which will employ the local population and the country will receive significant revenues.

საქართველოს სამრეწველო მნიშვნელობის სასარგებლო წიაღისეულს შორის ბუნებრივ მოსაპირეთებელ ქვებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ქვეყანას მათი შესწავლის, მოპოვების და გადამუშავების დიდი გამოცდილება გააჩნია. ისინი საუკუნეების განმავლობაში ფართოდ გამოიყენებოდნენ როგორც საერთო ისე საექლესიო მშენებლობაში, დღეს ამ მასალების შერჩევა განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყანაში ფართოდ გაშლილი საექლესიო სამშენებლო და აღდგენითი სამუშაოებისთვის.

საქართველოში ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების სამასამდე საბადო და მადანგამოვლინებაა ცნობილი, მათი საერთო ღირებულება ოც მილიარდ აშშ დოლარამდე, დაბატებით საინტერესოა ახალი საავტორო ინფორმაციები მოსაპირკეთებელ მასალებად ახალი, არატრადიციული ქანების (დაციტები, რიოლითები, გრანიტები და სხვა) შესაძლო გამოყენების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრე წარმოებაში ნამყოფი საბადოების ნაწილი, მასიურად გამოყენებული ბურღა-აფეთქებების შედეგად, ნაწილობრივ დაზიანებულია – მათი შემდგომი ექსპლუატაციისათვის აუცილებელია დამატებითი გეოლოგიურ-ტექნოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების პოტენციალის სრული წარმოჩნდების და საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის მიზნით, აუცილებელია საბადოთა გადაფასება და ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც დაარეგულირებს ამ დარგში საქმიანობის სრულ ციკლს მარკეტინგიდან პროდუქციის გასაღებამდე, უზრუნველყოფს მართვის ღინამიკური სისტემის ორიენტირებულ მუშაობას, გაითვალისწინებს მომხმარებლის რეალურ სურვილ-მოთხოვნებს და სახედლებულო ბაზის საწარმოო და გასაღების შესაძლებლობებს.

არსებული კონიუნქტურის გათვალისწინებით შეიძლება უმოკლეს დროში მასიურად შეიქმნას ქვის მოპოვებელი და საქარხენო დამუშავების მცირე და საშუალო საწარმოები, რითაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, ქვეყანა კი მიიღებს მნიშვნელოვან შემოსავლებს.

საქართველოს სამრეწველო მნიშვნელობის სასარგებლო წიაღისეულს შორის სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. მათი მოპოვების და გადამუშავების დიდი გამოცდილება გაგვაჩნია. მარმარილოები, ტეშენიტები, ბაზალტები და სხვ. დიდი რაოდენობით გაქონდათ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში, სადაც ქართული მასალებით მოპირკეთუბულია მრავალი შენობა-ნაგებობა. ეს მასალები საუკუნეების განმავლობაში ფართოდ გამოიყენებოდა როგორც საერო ისე საეკლესიო მშენებლობაში.

სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების შერჩევის, მოპოვებისა და გადამუშავების საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყანაში ფართოდ გაშლილი საეკლესიო აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოებისთვის.

მათზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა საერთაშორისო პროექტების (აბრეშუმის გზა, ნავთობისა და გაზსადენები და სხვ.) ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

დღიერისათვის საქართველოში მოსაპირკეთებელი და სამშენებლო ქვების 260-ზე მეტი საბადო და მადანგამოვლინებაა ცნობილი. მათ შორის: გრანიტული ქანების-39 (გრანიტი-9, დიორიტი-7, სიენიტი-3, გაბრო-17, ტეშენიტი-4), ვულკანური ქანების-113 (ტუფი-39, ბაზალტი-31, ფონოლითი-1, დაციტი-4, ანდეზიტი-9, დოლერიტი-5, დიაბაზი-18, პორფირიტი-5, რიოლითი-1), დანალექი და მეტამორფული ქანების-108 (მარმარილო და მარმარილოსებრი კირქვა-57, ფიქლი-1, კირქვა-38, ლიოთოგრაფიული ქვა-2, ქვიშაქვა-9, თაბაშირი-1).

01.01.2008 წლის მონაცემებით სახელმწიფო ბალანსზე ირიცხება 82 საბადო საერთო სამრეწველო მარაგებით -170 მლნ.მ<sup>3</sup>. მათგან 17 წარმოადგენს გრანიტოიდებს, რომელთა საერთო სამრეწველო მარაგი 8,9 მლნ.მ<sup>3</sup>; 5 საბადო წარმოდგენილია ტუფური ქანებით, საერთო სამრეწველო მარაგებით- 18,9 მლნ.მ<sup>3</sup>; 3 საბადო წარმოდგენილია ტეშენიტებით, საერთო სამრეწველო მარაგებით- 6,2 მლნ.მ<sup>3</sup>; 15 საბადო წარმოდგენილია მარმარილოთი და მარმარილოსებრი კირქვებით, საერთო სამრეწველო მარაგებით- 51,3 მლნ.მ<sup>3</sup>; 42 საბადო წარმოდგენილია ანდეზიტ-ბაზალტებით, საერთო სამრეწველო მარაგებით- 84,7 მლნ.მ<sup>3</sup>.

80-იან წლებში საქართველოში წლიურად მოიპოვებოდა დაახლოებით 1,5 მლნ.მ<sup>3</sup> მოსაპირკეთებელი ქვები, რომელთა დამუშავების შედეგად მიიღებოდა პროდუქციის შემდეგი სახეობები: ბლოკები (ბლოკიანობის გამოსავალი 10-30%-ის ფარგლებში), ფილები (ფილების გამოსავალი 1მ<sup>3</sup> ბლოკიდან 6-18 მ<sup>2</sup> ფარგლებში) ბორდიურები, კიბის საფეხურები (გამოსავალი 1მ<sup>3</sup> ბლოკიდან 10-15 გრძივი/მეტრი), დეკორატიული ღორღი (გამოსავალი 70-80%-ის ფარგლებში). აღნიშნული ციფრები მოსაპირკეთებელი ქვების მომპოვებელი და გადამუშავებელი საწარმოების უაღრესად დაბალ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე მიუთითებენ. – აუცილებელია ამ ტიპის საწარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღება.

ადსანიშნავია რომ, მასიურად გამოყენებული ბურღა-აფეთქებების შედეგად წარმოებაში მყოფი საბადოების ნაწილი დაზიანებულია და მათი შემდგომი ექსპლუატაციისათვის აუცილებელია დამატებითი გეოლოგიურ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარება.

განსაკუთრებით საინტერესოა ახალი საავტორო ინფორმაციები მოსაპირკეთებელ მასალებად არატრადიციული ქანების (დაციტები, რიოლითები, გრანიტები და სხვა) შესაძლო გამოყენების შესახებ.

მოსაპირკეთებელი ქვების პოტენციალი საქართველოს მინერალური რესურსების საერთო პოტენციალის დაახლოებით 20%-ს შეადგენს და შესაბამისად რამოდენიმე ათეული მილიარდი აშშ დოლარის დირებულებისაა.

მიუხედავად საქართველოში დაწყებული სამშენებლო ბუმისა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვება და დამუშავება შემთხვევით ხასიათს ატარებს. მხოლოდ ცალკეული მრეწველები ახერხებენ მცირე, ძირითადად ადგილობრივი შეკვეთების შესრულებას. ქვეყანა კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს, ადგილობრივი მოსახლეობა კი დაუსაქმებელია. პრაქტიკულად არ არსებობს ამ დირებულებების ბაზრისათვის შეთავაზების შექანიზმი. ამ წიაღისეულის ეფექტური კომერციალიზაციისათვის აიცულებელია მას თანამდებოვე სამონიტორინგო საშუალებების და მაკროეკონომიკური ანალიზის გამოყენებით ზუსტი ფასეულობითი გამოსახულება მიეცეს და სათანადო რეკლამირება გაფწიოს.

საქართველოს მოსაპირკეთებელი ქვების პოტენციალის სრული წარმოჩინების და საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის მიზნით, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების ჩატარება რომელიც დაარეგულირებს ამ დარგში საქმიანობის სრულ ციკლს მარკეტინგიდან – პროდუქციის გასაღებამდე, უზრუნველყოფს მართვის დინამიური სისტემის ორიენტირებულ მუშაობას, გაითვალისწინებს მომხმარებლის რეაციურ სურვილსა და მოთხოვნებს და სანედლეულო ბაზის საწარმოო და გასაღების შესაძლებლობებს.


აუცილებელია მომზადებს საქმიანი წინადადებები წიაღისეულის მარაგების, შემცველობების, ნივთიერი შედგენილობის თუ გაფრცელების კანონზომიურების შესახებ, მათი მოპოვებისა და გადამუშავების არსებული ტექნილოგიების და გამოყენების სფეროს შესახებ.

უნდა მომზადდეს მასალები მოსაპირკეთებელი ქვების ცალკე სახეობათა და კონკრეტულ საბადოთა ბუკლეტების და ალბომების, ვიდეოკლიპების და სხვ. დამზადების და გავრცელებისათვის, საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაში აქტიური მონაწილეობისათვის.

მოსაპირკეთებელი ქვების ფართო სპექტრი (260-ზე მეტი გამოვლინება) და მათზე შეგროვილი მონაცემები, საშუალებას იძლევა შეიქმნას ქვიური მასალის მდიდარი კოლექცია შესაბამისი სერთიფიკაციით (პასპორტით) და გამოიცეს მაღალი პოლიგრაფიული და მეცნიერული დონის ალბომების სერია, რომლებიც მიაწოდებენ რა ამომწურავ ინფორმაციას, შექმნიან კარგ საინვესტიციო გარემოს საქართველოს სამშენებლო მასალების ინდუსტრიაში.

არსებული კონიუნქტურის გათვალისწინებით შეიძლება შეიქმნას ქვის მომპოვებელი და საქარხნო დამუშავების მცირე და საშუალო საწარმოები. ხოლო სათანადო დაინტერესების შემთხვევაში მოკლე ვადაში ამჟმავდება დარგში ამჟამად გამოუყენებელი სიმძლავეებიც (სადაც თანდათან მოხდება არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახლით შეცვლა), შეიქმნება კონკურენტუნარიანი იაფფასიანი მასალების ფართო სპექტრი.

საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების ფოტოები



ბაზაკლო – ტუფი 1




ბაზაკლო – ტუფი 2




ბაზაკლო – ტუფი 3



ბაზაკლო – ტუფი 4



საირმე – ტუფიტი



ლოჭი – პორფირიტი




ნამონასტრეგი – სიენიტი




ლოქი – გრანიტი




დარიალი – გრანიტი



თალავერი – რიოდაციტი



ქვ. ბოლნისი – დაციტი



შროშა – გამარმარილოებული კირქვი

**მირულის პრისტალური გასივის ალაზრისწინა გეტაგაზიფების  
კეთროქიმიურ-გეოქიმიური თავისებურებები**

**ი. ჭუჭავა, ლ. შებითიძე, ქ. ჩიხელიძე, ქ. თეღლიაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხივ ალექსანდრე ჯანელიძის  
გეოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი 0171, მ. ალექსიძის 1/9. ელ.ფოსტა: [l\\_shubi@yahoo.com](mailto:l_shubi@yahoo.com)

ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე განხილულია ძირულის კრისტალური მასივის ალბუ-  
რისტინგი მეტაბაზიტების პეტროქიმიურ-გეოქიმიური თავისებურებები და დადგენილია მათი პეტრო-  
გენეტური სახეობები.

**Петрогохимические особенности доальпийских метабазитов Дзирульского кристаллического мас-  
сива (Кавказ, Грузия). Т. Н. Цуцунава, Л. Г. Шубитидзе, К. С. Чихелидзе, К. Т. Тедлиашвили.** Министер-  
ство просвещения и науки Грузии. ЮЛОП Институт геологии им. А.Джанелидзе, Тбилиси 0171, ул. М.Алекс-  
идзе, 1/9. E-mail: [l\\_shubi@yahoo.com](mailto:l_shubi@yahoo.com)

На основе аналитических данных рассмотрены петрогохимические особенности доальпийских метаба-  
зитов Дзирульского кристаллического массива (Черноморско-Большекавказский террейн, Кавказ) и установ-  
лены их петrogenетические типы.

**Petro- and geochemical peculiarities of pre-Alpine metabasites of the Dzirula crystalline massif (the  
Caucasus, Georgia).** Tsutsunava T., Shubitidze L., Chikhelidze K., Tedliashvili K. Ministry of Education and  
Science of Georgia, LEPL Alexandre Janelidze Institute of Geology, 1/9 M.Alexidze str., 0171 Tbilisi, Georgia.  
E-mail: [l\\_shubi@yahoo.com](mailto:l_shubi@yahoo.com)

According to analytical data, petro- and geochemical peculiarities of pre-Alpine metabasites of the Dzirula crystalline massif (Black Sea – Central Transcaucasian terrane, the Caucasus) are discussed and their petrogenetic types are stated.

#### **Abridged English Version**

The Dzirula crystalline massif exposes in the pre-Alpine crystalline basement of the central part of the Black Sea - Central Transcaucasian terrane (the Caucasus, Georgia). It is built with the following rocks (Gamkrelidze, Shengelia, 2005): the Precambrian gneiss-migmatitic complex, metabasites of three different generations and quartz-dioritic orthogneisses; Cambrian metabasites of fourth generation; Late Baikalian (?) granitoids of plagiogranite-granitic series; Late Variscan granite gneisses and granites. In the granites are preserved fragments of the so-called Chorchana-Utslevi allochthonous complex represented by the plates of apoterrigenous-volcanogenic rocks of different age and associated with them metaophiolites of the Precambrian-Paleozoic (?) age. Age partition of metabasites of the mentioned four generations is based on their relation with the Precambrian gneiss-migmatitic complexes, Baikalian quartz-dioritic gneisses, rocks of Late Baikalian plagiogranite-granodiorite series and with Late Variscan granites (Fig.1).

In the paper, proceeding from petrogenic elements, RE and REE analytical data, petro- and geochemical peculiarities of four generation metabasites of the Dzirula crystalline basement have been considered and on the basis of data interpretation petrogenetic types of these rocks are defined.


To the metabasites of I generation belong associated with the Chorchana-Utslevi allochthonous complex serpentinites, amphibolites, amphibolic schists, metadiabases and gabbro-diabases. The metabasites are relics of old oceanic basement and are united in the ophiolitic complex (Gamkrelidze et al., 1979 1981; Zakariadze et al., 1993, 1998; Gamkrelidze, Shengelia, 1998; Gamkrelidze, Shengelia, 2001). The main mineral parageneses of amphibolites are Pl+Hbl+Qtz±Ep, Pl+Hbl±Sf, Pl+Hbl±Cum, Grt+Hbl+Ep, but in serpentinites is established hartzburgite protolith. Sm/Nd isotope dating of metabasites yielded  $810 \pm 100$  Ma (Zakariadze et al., 1998). These metabasites are rocks of medium-magnesian order; they are very rich in RE and Ti that is expressed in increasing of Th/La, Th/Sm, Th/Yb, Zr/Y, Ti/Zr ratios and poor in Zn, Ni and Cr content (Table 1,2). In the metabasites of I generation two petrochemical-geochemical groups are ascertained – depleted with rare earth elements and enriched with the same elements. Total amount of REE in metabasites of the first group is 15.97, but in the second – 157.12. On spidergrams are fixed positive minimums of Rb and Nb (Fig. 4). By petro- and geochemical characteristics, the considered metabasites belong to N- and T-MORB.

Metabasites of II generation are represented as concurrent to the gneissosity amphibolites and as boudinage bodies of amphibole-bearing schists in plagiogneisses, granite gneisses and migmatites. They underwent polymetamorphism (Gamkrelidze, Shengelia, 2005). There are established the following mineral parageneses:  $Hbl_{green}+Pl\pm Cum\pm Cpx\pm Hbl_{brown}$ ,  $Grt+Bt+Cum+Hbl+Pl$ ,  $Hbl_{green}+Ep+Ab+Act\pm Chl\pm Bt\pm Qtz\pm Ka\pm Sf$ . Composition of these metabasites is given in the Tables 2 and 3. In these rocks Ti and Zr content is increased, that is established in  $Zr/Y$  and  $Ti/Zr$  data, but in  $Th/La$ ,  $Th/Sm$  and  $Th/Yb$  ratios content of these elements is within norm. Metabasites of II generation are of low-magnesian order. According to petro- and geochemical data two groups of metabasites are distinguished in them: 1 – comparatively enriched with REE and also with relatively high content of  $Al_2O_3$  and 2 –REE depleted and medium aluminiferous. In metabasites of I group total amount of REE is 108.25, but in the II group, it constitutes 41.65. On spidergrams slight discrepancy of lines is observed (Fig.5). For the considered metabasites are characteristic Ba and U positive maxima and Th, Nb and Sr positive minima. According to petro- and geochemical characteristics, metabasites of II generation correspond to different groups of basalts: 1. intraplate and 2. transitive between the intraplate and oceanic ones that are connected to MORB. Comparative to the oceanic intraplate basalts, metabasites of II generation are  $CaO$  depleted and enriched with  $K_2O$ , but  $MnO$  and  $K_2O$  content relative to MORB is slightly increased.

Metabasites of III generation are metagabbroids and their relatively large outcrops are those of Shrosha, Lomisa, Vashlevura, Khelmosmula, Dumala and Dedabera. Under the influence of quartz diorites and granites, their transformation into typical contact migmatites or their plagiogranitization and microclinization are observed. With metagabbroids diabase-, diabase porphyritic, gabbro-porphyritic and gabbro-pegmatic dikes and veins are genetically associated. For metagabbroids are characteristic the following parageneses:  $Hbl+Pl\pm Qtz$ ,  $Hbl+Bt+Pl\pm Qtz\pm Ksp$ ,  $Cpx+Hbl+Pl$ ,  $Cpx+Hbl+Bt+Pl$ ,  $Hbl+Cum+Pl+Qtz$ . These rocks underwent Late Baikalian and Late Variscan metamorphism. Their composition is given in the Tables 4 and 5. In metabasites of III generation two petrochemical-geochemical groups have been defined: standard and highly enriched with REE. This division is based on total amount of REE and on  $(La/Sm)_n$  and  $(La/Yb)_n$  data. Total amount of REE in standard varieties falls within 100.66–133.49, but in highly enriched ones – 554.2. In metagabbros relative to normal gabbros Th and Zr content is increased, that is expressed in  $Th/La$ ,  $Th/Sm$ ,  $Th/Yb$ ,  $Zr/Y$  characteristic ratios. Metabasites of III generation are rocks of low magnesian and high aluminiferous order. On spidergrams positive maxima of Ba and Tb, negative minima of Sr and positive minimum of Nb are fixed (Fig. 6). According to petrogenic elements, RE and REE content they correspond to ensialic island arc basalts of the Sea of Japan. In these rocks relative to MORB: content of  $Al_2O_3$ ,  $CaO$  and RE and REE is increased,  $TiO_2$  and  $MgO$  is decreased, but  $Ta$ ,  $Lu$ ,  $Yb$ ,  $Tm$ ,  $Er$ ,  $Py$ ,  $Tb$ ,  $Gd$ ,  $Eu$  and  $Hf$  are equal.

Metabasites of IV generation are represented by massive or schistose gabbros, gabbro-diabases and diabases (Gamkrelidze, Shengelia, 2005). According to geological interpretation, the age of the metabasites is Cambrian (Gamkrelidze, Shengelia, 2005). These metabasites are metamorphosed during the Late Baikalian and Late Variscan orogenies. Two outcrops of these metabasites – in the Gezrula river gorge and near the village Tskhetijvari are mapped. The first one is predominantly represented by massive gabbro-diorites with key mineral parageneses –  $Hbl_{brown}+Pl\pm Cpx$ ,  $Hbl_{brownish-green}+Pl\pm Bt$ ,  $Hbl_{green}\pm Bt\pm Qtz$ . Tskhetijvari gabbro outcrop is represented by gabbro and gabbro-diabases, with characteristic parageneses –  $Pl+Cpx\pm Hbl$ ,  $Pl+Hbl\pm Bt\pm Sf$ . Age of the latter according to mineral isochrones corresponds to 607±78 Ma (Zakariadze et al., 1998). Composition of metabasites of IV generation is given in the Tables 5 and 6. Gezrula gabbro is more enriched with RE than that of the Tskhetijvari that is expressed in total amount of RE and  $(La/Sm)_n$  da  $(La/Yb)_n$  ratios. They also differ from each other in variations of slightly incompatible elements ratios ( $Hf/Sm$ ,  $Ti/Y$ ,  $Ti/P$ , and  $Ti/Eu$ ). Distribution of their noncoherent elements ( $Hf/Sm$ ,  $Ti/Y$ ,  $Ti/P$ , and  $Ti/Eu$ ) is incompatible as well. Metabasites of IV generation are highly aluminous rocks, but coefficient of their magnesian content is relatively low. In the rocks, REE total amount varies within a wide interval - 81.24–140.73. On spidergrams of IV generation metabasites positive maxima of Ba and positive minima of Th, Nb, Sr and Zr are fixed (Fig. 7). Considered metabasites according to content of petrogenic elements and large radius lithophile elements –  $Rb$ ,  $Sr$ ,  $Ba$ ,  $Zr$ ,  $Th$ ,  $U$  and of RE –  $Co$ ,  $Ni$  correspond to the ensialic island arc calc-alkaline basalts.

ძირულის მასივი წარმოადგენს შავი ზღვა - ცენტრალური ამიერკავკასიის ტერეინის ცენტრალური ნაწილის ალპურისტინა კრისტალური ფუნდამენტის საქმიად დიდ შეერილს. უსხლესი მონაცემებით (გამკრელიძე, შენგელია, 2005), კრისტალური მასივი აგებულია: კამბრიულისტინა გნეისურ-მიგმატიტური კომპლექსით, სამი სახვადასხვა გენერაციის მეტაბაზიტით და კვარციან-დიორიტული ორთოგნეისებით; კამბრიული ასაკის მეოთხე გენერაციის მეტაბაზიტებით; გვიანდაიკალური (?) პლაგიოგრანიტ-გრანიტული სერიის გრანიტოიდებით; გვიანვარისკული გრანიტული გნეისებით და გრანიტებით. ამ უკანასკნელში შემორჩენილია ე.წ. ჩორჩანა-უწლევის ალექთონური კომპლექსის ფრაგმენტები, რომლებიც წარმოდგენილია სხავდასხვა ასაკის ალტერიზებულ-ვულკანოგენური ქანების ფირფიტებით და მათთან ასოცირებული კამბრიულისტინა-პალეოზოური(?) ასაკის მეტაოფიოლიტებით. ძირულის მასივის ოთხი გენერაციის ალპურისტინა მეტაბაზიტების ასაკობრივი დაყოფა ეფუძნება მათ ურთიერთობას კვარციან-დიორიტულ გნეისებთან და პლაგიოგრანიტ-გრანიტული სერიის ქანებთან (სურ. 1).



სურ. 1. ძირულის კრისტალური მასივის ამგების ქანების ურთიერთდამოკიდებულების პრინციპული სქემა (გამკრელიძე, შენგელია, 2005). 1-რიოლიტური ტუფები (გვიანვარისკული); 2-კალიუმიანი გრანიტები (გვიანვარისკული); 3-პლაგიოგრანიტ-გრანიტული სერია (გვიანბაიკალური); 4-გაბრო-დიორიტ-კვარც-დიორიტული სერია (გვიანბაიკალური); 5-კვარციან-დიორიტული ორთოგნეისები (ბაიკალური); 6-გაბროიდები (გვიანკამბრიულისტინა); 7-გნეისურ-მიგმატიტური კომპლექსი (გრენვილურისტინა); 8-მელანოკრატული ფუნდამენტი (ჩორჩანა-უწლევის კამბრიულისტინა ალექთონური კომპლექსის მეტაოფიოლიტები). წრეებში - ბაზიტების I, II, III და IV გენერაციები.

აღწერილი ლავური განვინები მდ. ლამაზურის მარცხენა ფერდზე უწყვეტლად გაიდექნება-პირველი- 1250, მეორე -250 და მესამე - 260 მეტრზე, რის შემდეგაც განვინები ისოლებიან. მარჯვენა ფერდზე მდინარის კალაპოტიდან 35-40 მ-ზე სამივე სხეული წაპვა- თილია ნაწევის ტიპის გვიანდელი რღვევით, რომლის ამპლიტუდა 30 მ-შეადგენს. რღვევის სამხრეთი ქვაბადალა-ლამაზურის წყალგამყოფ ქედამდე და შემდეგ მდ. ქვაბადალის მარცხენა ფერდზე, განვინები უწყვეტლად იღევნება -პირველი 1050, ხოლო მეორე და მესამე-350 მეტრზე. მეორე და მესამე სხეულების ძირითადი გამოსავლები მიმარტებაზე გადაფარულია საკუთარი და პირველი განვინის ჰიფსომეტრიულად მაღლა განლაგებული გამოსავლების ლოდნარით ( ნაყარის ფართით-70 ხე50მ, სისქე-0-20 მ.) ლოდნარის ნაყარის ქვეშ, ადგილ-ადგილ, თითქმის 500 მ-ზე ფიქსირდება მეორე და მესამე ლავური სხეულების ძირითადი გამოსავლების ფრაგმენტები, ხოლო ლოდნარის დასაწყისიდან 210 მეტრზე, პირველ და მეორე განვინს შორის, გამოვლინდა მეორხე მთლიანად ბალიშა აგებულების სხეული, რომლის სიმძლავრე 30 მ-ია და მიმარტებაზე თითქმის 600 მ-ზე გაიდევნება.

ამგვარად, ქვაბადალა-ლამაზურის უბანზე გამოვლენილი ბაზალტური განვინების რიცხვი 3-სა და 4-ს შორის მერყეობს. ვულკანოგენურ-დანალექი შრენარის სიმძლავრე 160-200 მ-ია, მიმარტებაზე დაახლოვებით 3.5 კმ-ზე გაიღვენება და ლითოსტრატიგრაფიულ სეტში გვიან პლინისბაზური ალევრილიტების დასტაში იკავებს ადგილს.

მდინარე სტორის ხეობაში გვიანპლინსბაზურ-ალევრიტურსული ვულკანოგენურ- დანალექი კომპლექსის სიმძლავრე თითქმის 500მ-ს აღწევს და მიმარტებაზე 2.5 კმ-ზე იღევნება. ლავური განვინების ცალკეული ფრაგმენტები გაშიშვლებულია, როგორც მდ. სტორის მარჯვენა დიდი შენაკადის – სვიანას ხევის აუზში, ისე სტორის მარცხენა მცირე შენაკადებში. ძირითადი დაკვირვებები კი - მდ. სტორის ძირითად კალაპოტში, სამხრე- თით გადაბრუნებული ანტიკლინის სამხრეთ ფრთაშია შესრულებული, სადაც ჭრილის ზედა ნაწილი 736 მ. სიღრმის №18/21 სტრუქტურული ჭაბურდილით გვაქს შესწავლილი. ვულკანოგენურ დანალექი დასტის დასაწყისი და შესაბამისად ლავური განვინების პირველი ორი 80 და 96 მ. სიმძლავრის გამოსავალი ჭაბურდილის ჩრდილოეთითა გა- შიშვლებული. ისინი სრული თანხმობით ზიან ზედა პლინისბაზური (წიკლაურის) წყების ზედა მესამე დასტაში. განვინების პირველადი ტექსტურა მასიურია. რღვევის ზონაში ბრექჩიობული და გაკაუებული, ნაპრალების გასწვრივ დასერილი კვარცისა და კალცი- ტის ძარღვაკებით. ჭაბურდილში, პირველი 30 მეტრიანი ალუვიურ- დელუვიური ნაყარის შემდეგ 30-320 მ. სიღრმეზე გადაკვეთილია ბალიშა ტექსტურის მქონე ბაზალტური გან- ვენი - სიმძლავრით 120 მ. განვინს ჭაში 320-425გ. სიღრმეზე სრული თანხმობით მოყვება შავი, ალევრიტის ზოლებიანი 100 მ. სიმძლავრის თიხაფიქლების დასტა. ფიქლები გამდიდ- რებულია პირიტის ჩანაწინწლებითა და კონკრეციებით. კიდევ ერთი ბალიშა ლავის გან- ვენია გადაკვეთილი ჭაბურდილში 425-575გ სიღრმეზე. ამ განვინის ნამდვილი სიმძლავრე- 90 მ-ს შეადგენს. განვინს სრული თანხმობით 575-660 მ-ზე მოყვება 42გ. სიმძლავრის ალევრიტის ზოლებიანი, პირიტის კონკრეციებით მდიდარი - გვიანპლინსბაზური შავი ფიქ- ლების დასტა. კიდევ ერთი 40 მ. სიმძლავრის ლავური განვინია გადაკვეთილი ჭაბურ- დილში 660-710 მ-ზე. უკანასკნელი განვინის პირველი 12გ, ტუფოლავითა წარმოდგენილი, იგი ბრექჩიული ხასიათისაა. ნატეხებს დია ნაცრისფერი, ფიქლებრივი, ზოგჯერ ზოლებ- რიობა შენარჩული, შეცვლილი პელიტოლიტები წარმოადგენს, ცემენტი - დია მწვანე,

სუსტად დაკრისტალებელი ვულკანური მინაა. ნატეხების შემცირებით ტუფოლავა მასიურ ქანში გადადის, რომელიც ინტერვალის ბოლომდე გრძელდება. ჭაბურღილის ბოლო 710-736მ. პელაგ წიკლაურის წყების ალევრიტის ზოლებიანი თიხაფიქლებითაა წარმოდგენილი.

**ჭაბალი- მაზიმჩაის შუამდინარეთი.** ალაზანგალმა კახეთის გვიანპლინსბახ-ადრე ტო-არსული ვულკანიზმის ყველაზე გამწე გამოსავლები კაბალი-მაზიმჩაის შუამდინარეთშია დაფიქსირებული. ამ ზოლის კაბალი -ნინოსხევის მონაკვეთზე საკვლევი კომპლექსის ძირითადი გამოსავლები მეოთხეული ნალექებითაა გადაფარული და ამიტომ ჭაბურღილებით გვაქვს შესწავლილი, ხოლო შრომისხევის, ლაგოდეხისხევისა და სალესავისხევის (მაზიმჩაის მარჯვენა შენაკადი) აუზებში კომპლექსი ზედაპირზე შიშვლდება და შესაბამისად მათზე ზედაპირული, ფართობული კვლევებია ჩატარებული.

დავიწყოთ ჭაბურღილებით. მდ. კაბალის აუზში გაბურღულია №65 ხოლო ნინოსხევის აუზში - №18/21 ჭაბურღილი. პირველის სიღრმეა 728 მ, მეორის-1200.5 მ. ორივე ჭაბადგმულია კახეთის მეგაანტიკლინის სამხრეთ ფრთაში, რომელიც სამხრეთისკენ არის გადმოწოდილი და შესაბამისად, ბურღილით სიღრმეში იკვეთება სტრატიგრაფიული ჭრილის აღმაგალი ნაწილი.

ჭაბურღილი №65 მდებარეობს მდ. კაბალის კალაპოტის ზედა პირველ ტერასაზე, სოფელ სეჩილიდან ჩ. დ. 550 მ. სიმაღლეზე. მისი პირველი 45 მ. ალუვიურ-დელუვიურ ნაკარშია გაფარილი. ძირითადი გამოსავლები იწყება ბაზალტური ლავური განფენით, რომელიც გრძელდება 83 მ-დე. განფენის არაეროზირებული, ჭაში გადაკვეთილი, ნაწილის სიმძლავრე 25 მ-ია. იგი ერთგვაროვანი მომწვანონაცრისფერი, სფეროიდულ-ბალიშა ტექსტურის წარმონაქმნია, სადაც ბალიშები სუსტად გადაკრისტალებული, მომწვანონაცრისფერი ვულკანური მინითაა შეცემენტებული. შემდეგი 88-108გ. ჭაში ალევრიტის ზოლებიანი, შავი, პირიტის კონკრეციებიანი, გვიანპლინსბაზური დასტითად წარმოდგენილი. მას მოყვება (108-218 მ.) თიხაფიქლებშით თანხმურად განლაგებული 65 მ სიმძლავრის კიდევ ერთი ბაზალტური ლავური განფენი, რომელიც საგებში (108-112 მ.) იწყება ტუფობრექჩიებით და თანდითანობით გადადის, ჯერ (112-120გ.) ლავაბრექჩიებში, შემდეგ ინტერვალის ბოლომდე ბალიშა ტექსტურის პილოუ ლავაში. ალევრიტის ზოლებიანი დასტა ჭაში 375 მ-დე გრძელდება. თიხაფიქლებიან დასტას უფრო ღრმად, სანგრევამდე აგრძელებს ადრეტუარსული ფლიშმოდური წყება, რომელიც მკვეთრად ზოლებრივია 2-5 სმ სიმძლავრის დიანაცრისფერი ალევრიტისა და იმავე სიმძლავრის მუქი ნაცრისფერი, თითქმის შავი პელიტოლითების მორიგეობით.

სწორედ ადრეტუარსულ ფლიშმოდურ წყებაში ზის ჭაბურღილის 375-390: 406-412 და 400-490 მ სიღრმეებზე გადაკვეთილი, შესაბამისად 10; 8 და 23 მ. სიმძლავრის ბოლო სამი ლავური განფენი. ამ ვულკანური სხეულებიდან პირველი და მეორე სხეული მასიური აგუბულებისაა, მესამე კი ბალიშა ტექსტურის. ისინი სრული თანხმობითაა განლაგებული ადრეტორასულ, ზოლებიან ფლიშმოდურ წყებაში. სამივე განფენის საგებში შემცავი ფიქლები გაუფერულებულია, განცდილი აქვთ ადინოლიზაცია. სახურავში ფიქლები საღია. ამგვარად №65 ჭაბურღილით დასტურდება, რომ გვიანპლინსბაზურში დაწყებული ბაზალტური მაგმური აქტივობა ადრეტორასულშიც გრძელდება.

**ნინოსხევი.** ყველაზე ღრმა ჭაბურღილი რეგიონში, რომელმაც 8 ლავური განფენი გადაკვეთა, მდ. ნინოსხევის კალაპოტში, სოფ. ხიზაბავრასთან 580 მ. სიმაღლეზეა გაბურღული. მეოთხეული ალუვიურ-დელუვიური ნაყარის შემდეგ (0.0-60.5 მ.), ჭა 541 მ-დე გადაიკვეთა გვიანპლინსბაზური პელიშტური დასტა ალევრიტის ერთეული ზოლებითა და პირიტის კონკრეციებით, რომელშიც 5 ბაზალტური ლავური განფენია დაფიქსირებული. განფენები გადაკვეთილია 120-138; 185-200; 220-225; 400-420 და 480-538 მ. სიღრმეებზე. მათი ნამდვილი სიმძლავრე რიგითობის შესაბამისად შეადგენს 32; 15; 3; 14 და 35 მ-ს. თითქმის ყველა განფენის საგებში ადინოშება შავი ფიქლების ადინოლიზაცია. პირველი და ბოლო განფენები ხასიათდებიან ბალიშა აღნაგობით, დანარჩენი სამი მასიური აგებულებისაა. სხვა ნიშნებით ეს სხეულები უკვე აღწერილი ლავური განფენებისაგან არ განსხვავდებიან.

ჭის 539-540 მეტრზე შეინიშნება ალევრიტული მასალის მკვეთრი მატება, ქანს ეძლევა მასიური ტექსტურა და იღებს უფრო ლეიკოკრატულ ღიანაცრისფერ შეფერვას. შემდეგ 541-544 მ სიღრმეზე მასიური ტექსტურის ქახები თანდითანობით იღებენ ზოლებრივ აღნაგობას, ხოლო 548 მ-ს შემდეგ ყალიბდება ტიპიური, მკვეთრად ზოლებრივი, ადრეტორასული ფლიშმოდური დასტა, რომელიც ჭის სანგრევამდე (1200.5 მ.) გრძელდება. ფლიშმოდურ დასტაში 544-648; 880-900 და 950-960 მ. გადაკვეთილია 3.5; 7 და 7.3 მ. სიმძლავრის

ბაზალტური განფენები. პირველი 3,5 მ. სიმძლავრის განფენი მასიური აგებულებისაა, შემდეგი 2 – ბალიშა. შემცავი ფლიშმოიდების სუსტი კონტაქტური შეცვლა სამივე განფენის საგებში აღინიშნება.

როგორც ავდნიშნეთ, ნინოსხევიდან აღმოსავლეთით- შრომის, ლაგოდეხისა და სალესავის ხევების აუზებში- ბაზალტური ლავური განფენები უკვე ზედაპირზეა გაშიშვლებული. ისინი მოედ ამ ზოლზე, შემცავ დანალექ კომპლექსთან ერთად, დანაოჭებულია და ანტიკლინის სამხრეთი ფრთაში გამოვლენილი. სტრუქტურის ჩრდილო ფრთა, კენამედანის სიღრმული რღვევითაა წაკვეთილი და უფრო ძველი ნალექებით გადაფარული.

შრომის ხევის მარჯვენა ფერდზე სულ სამი განფენია დაფიქსირებული.პირველი ორი, სიმძლავრით 38 და 22 მ., ზის გვიანდლინსბახურ ალევრიტის ზოლებიან პელიტოლითურ დასტაში; მესამე, 27 მ. სიმძლავრის- ადრეტურსულ ფლიშმოიდურ ზოლებიან წყებაში. განფენები მიმართებაზე იდენტებიან 300-500 მ. პირველი და მესამე განფენი ბალიშა აგებულებისაა, ზედაპირზე გამოფიტული-დაშლილი, ისინი ფერდობის გასწვრივ დელუვიურ ლოდნარ დანაგროვების იძლევიან. მეორე განფენი მასიური აგებულებისაა, ფარულკრისტალური, სხეულის შეა ნაწილში ზოგჯერ წვრილმარცვლოვანი.

სალესავის ხევში ერთი 85-95 მ. სიმძლავრის განფენია გამოვლენილი, რომელიც ფლიშმოიდურ დასტაში ზის და მდინარის მარცხენა ფერდზე ვერტიკალურ კარნიზს აქენს. გაიდეგნება 1.8 კმ-ზე მდ. მაზიმჩაის კალაპოტამდე. სხეულის აგებულება, როგორც მიმართებაზე, ისე დაქანებაზე უცელელია და ერთგვაროვანი მომწვანო ნაცრისფერი ლავაბრექჩიებით არის წარმოდგენილი. ნარტექები, რომელთა ზომა 2ს5 სმ-დან 20ს30 სმ-დან იცვლება, უწესრიგოდაა გაბნეული და ქანის საერთო მოცულობის 30-35 % შეადგენს. ნატექების სტრუქტურის მიხედვით იცვლება მათი ფერი: ფარულკრისტალური, ან წვრილმარცვლოვანი ნატექები - უმთავრესად მუქი ნაცრისფერია, მსხვილმარცვლოვანისა და პორფირულის - მომწვანო დაინაცრისფერი. ბრექჩიების ცემენტი ბაზალტი ტიპის, დაუკრისტალებელი, მუქი ნაცრისფერი ვულკანური მინა.

უკელაზე უკეთესად ვულკანიტები მდინარეების შრომისხევისა და ლაგოდეხისხევის კალაპოტებს შორისაა გაშიშვლებული. ისინი შრომისხევის მარჯვენა ფერდზე გამოვლენილი განფენების მიმართებაზე, აღმოსავლეთით გაგრძელებას წარმოადგენს, საგრძნობლად მომატებლი სიმძლავრეებით (50-200 მ-დე). პირველი ზისგვიან პლინსბახურ ალევრიტის ზოლებიან პელიტოლიტურ დასტაში. მეორე უშუალოდ იმავე დასტის ზედა ნაწილში, რომლის სახურავიდანაც ფლიშმოიდური ზოლებიანი ალევრიტული დასტა იწყება. მესამე კი მთლიანად ფლიშმოიდურ დასტაში არის განლაგებული. სამივე განფენი შრომისხევის კალაპოტიდან, ლაგოდეხის ხევის კალაპოტამდე უწყვეტლად 1.5 კმ-ზე იდენტება. ამასთან ზედა ორი აღმოსავლეთით დაგოდეხისხევის ალუვიონის ქვეშ ისოლება, ქვედა უველაზე მდლავრი განფენი კი დაგოდეხისხევის მარცხენა ფერდზე სიმ ძლავრის შეუცვლელად კიდევ 250 მ-ზე გრძელება და შემდეგ 100 მ-ზე კი თანაბათან ისაოლება.

ეს სხეულები მასიური ან ბალიშა აღნაგობით ხასიათდებიან, ნაკლებად ფიქსირდება ბრექჩიული ტექსტურები. ტექსტურული სახესხვაობების ცვლა შეინიშნება ერთი სხეულის შიგნითაც: როგორც მიმართებაზე, ისე სიმძლავრეზე საგებიდან სახურავისკენ. მაგალითად, შრომისხევიდან ლაგოდეხის ხევამდე (1.5 კმ.) მეორე ლავურ განფენში მასიური სტრუქტურა სფეროიდული და პირიქით გადასულია 3-ჯერ. ამასთან ბალიშა ტექსტურის სახესხვაობები შეადგენს მოელი განფენის მასის 65-70 %. ბალიშა ტექსტურის ქანებში გარდა ტიპიური “ბალიშა” ფორმებისა აღინიშნება ოვალური, ლინზისხებური და სხ. სფეროიდული, კონცენტრული შიდა აგებულების ფორმები, განსხვავებული (10ს15 სმ-დან 120ს 180 სმ) ზომებით. სფეროიდები შეცემენტებულია ან თავისივე შეცხობის ქერქით, ან ვულკანური მინით, რომელიც კაჟით ან კარბონატითაა გამდიდრებული.

ამგვარად, კაბალი-მაზიმჩაის შუალედური წარმოდგენილი ბაზალტური წყალქვეშა ვულკანიზმი ფართვედ არის წარმოდგენილი. იგი კენამედანის სიღრმულ რღვევას უკავშირდება, საერთო კაგასიური გავრცელება აქვს; გვიან პლინსბახურში იწყება და ადრეტორარსულში მთავრდება. ამ ტერიტორიაზე როგორც განფენების რიცხვი(1-დან 8-მდე), ისე მათი სიმძლავრეები (3 მ-დან 250 მ-დე) დიდ დიაპაზონში იცვლება.

ალაზანგაღმა კახეთის ტერიტორიაზე ბაზალტური სუბვულკანური (დაიკური) ფაციესი ეფუზურთან შედარებით უფრო ფართედ არის გავრცელებული. ის უწყვეტი ფართე საერთოკავკასიური ზოლის სახით ვრცელდება კახეთის ანტიკლინის დერძულ ნაწილსა და ჩრდილო ფრთაში, ხოლო სამხრეთ ფრთაში მკვეთრად ფიქსირდება დაიკური ფაციესის

სამხრეთი საზღვარი, რომელიც კენამედანის სიღრმულ რდვევას ემთხვევა. მიმართებაზე კი მის გავრცელებას წყვეტილი ხასიათი აქვს: დაიკური ფაციესი ფართედაა გავრცელებული პანჯისის წყებაში (ალაზანი - ჩელთისა და შოროხევი-მაზიმაის შუამდინარეთში), ხოლო დურუჯის წყება(ჩელთი- შოროხევის შუამდინარეთი) – პრაქტიკულად სტერილერია.

დიაბაზების რაოდენობრივი თანაფართობა შემცავ ფიქლებთან მათი გავრცელების მთელ ზოლზე, საშუალოდ 25-30% შეადგენს; რდვევის ზონებში კი 50-55% აღწევს. ცვალებადია მათი სიმძლავრეები, რომელიც რამოდენიმე სმ-დან 10-15 მეტრამდე მეტყეობს. მათ-შორის ჭარბობს 0.5-3.5 მ სიმძლავრის სხეულები. მიმართებაზე დაიკვირი რამოდენიმე ათეული მეტრიდან 0.5 კმ-მდე იდევნებიან. მათ, როგორც წესი, დანალექი კომპლექსის მსგავსად, საერთო კავკასიური ორიენტაცია აქვს. განლაგებულია დანალექი ქანების შრებრიობის თანხმურად (სილები), ან მცირე კუთხით კვეთს შრებრიობას (დაიკვირი). ფიქლებთან ერთად მონაწილეობს დანალექი აშში, რაც მათ ბუდინირებასა და კლიკაუშია ასახული.

სტრუქტურული ნიშის მიხედვით დაიკურ ქანებში გამოიყოფა დიაბაზები, დიაბაზ-პორფირები და გაბროდიაბაზები. ისინი, როგორც წესი, ცალკე სხეულებს წარმოქმნის, თუმცა აღინიშნება ერთი სხეულის ფარგლებშიც. მცირე სიმძლავრის სხეულები, როგორც წესი, ფარულ კრისტალური, ან დიაბაზური სტრუქტურისაა. მძლავრი სხეულები კი კიდეებში წვრილ კრისტალურია, ცენტრის კენტრული კი დიაბაზ-პორფირიტული, ან გაბრო-დიაბაზური.

მთავარი პირველადი ქანმაშენი მინერალებია ანდეზინ-ლაბრადორის (№45-65) რიგის პლაგიოკლაზი და მონხკლინური პიროქსენი. ეორადი - ამფიბოლი, ქლორიტი, ეპიდოტი, ალბიტი, ქვესორებიდან - ილმენიტი, სფენი, მაგნეტიტი.

ამგვარად, კვლევის მოპოვებული შედეგებით დგინდება, რომ გვიანპლინსბასურ- ადრეტოარსულ ეპოქაში ალაზანგაღმა კახეთის ტერიტორიაზე ბაზალტური მაგმური აქტივობით განსხვავებული სამი სტრუქტურული ერთეული გამოიყოფა, რომელთა სუბმერიდონულ საზღვრებს, ანტიკავკასიური მიმართების სიღრმული რდვევები უნდა აფიქსირებდნენ (Прудзен, 1979). მათ ჩვენ ტექტონო-მაგმური ბლოკების სახით გამოვყოფთ.

პირველი ბლოკის ფარგლებში (იორი-ალაზნის წყალგამყოფი ქედიდან—მდ. ჩელთის მერიდიანამდე) დაიკური ფაციესი მთელ ფართზეა გამოვლენილი. ეფუზური კი ორი (ქვახადალა-ლამაზურის უბანი და მდ. სტორის აუზი) იზოლირებული გამოსავლით არის წარმოდგენილი. ეფუზური მაგმური აქტივობა ამ ფართზე გვიანპლინსბასურის ზედა ნაწილშია გამოვლენილი და მისი პროდუქტები მხოლოდ ალევრიტის ზოლებიანი პელიტოლიტების დასტაშია განთავსებული.

მეორე ბლოკის (ჩელთი-შოროხევის შუამდინარეთი) პლინსბას-ტოარსულ ნალექებში არც დაიკური და არც ეფუზური ვულკანიზმი გამოვლენილი არ არის. ეს ბლოკი მაგმატიზმისგან სტერილურია.

მესამე ბლოკში (შოროხევი-მაზიმაის შუამდინარეთი) დაიკური ფაციესი მთელ ფართზეა გამოვლენილი; ხოლო ეფუზური ფაციესი-მდ. კაბალისა და მდ. მაზიმაის შუამდინარეთში თითქმის უწყვეტლად გრძელდება. ამასთან, მაგმატიზმი იწყება გვიანპლინსბასურის ზედა ნაწილში და ადრეტოარსულშიც გრძელდება. ამ პერიოდის მაგმური აქტივობის პროდუქტები განთავსებულია, როგორც ალევრიტის ზოლებიანი პელიტოლიტების დასტაში, ისე ფლიშმოიდურ დასტაში.

თუ დაგუბრუუნდებით რეგიონის პერსპექტივულობის საკითხს კოლჩედანური ტიპის გამადნებაზე, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ალაზანგაღმა კახეთის ტერიტორიაზე პერსპექტივულია ალაზნის სათავეებიდან მდ. ჩელთის მერიდიანამდე - გვიანპლინსბასური ალევრიტის ზოლებიანი პელიტოლიტების, ხოლო შოროხევი - მაზიმაის შუამდინარეთში - გვიანპლინსბასური ალევრიტის ზოლებიანი პელიტოლიტებისა და ადრეტოარსული ფლიშმოიდების გავრცელების ზოლი. რაც შეეხება ჩელთი- შოროხევის შუამდინარეთს, ეს ტერიტორია ამ თვალსაზრისით პერსპექტივული არ არის.

გამოყოფილ პერსპექტივულ ფართებზე, კონკრეტული საბადოების გამოსავლენად, უნდა შესრულდეს შესაბამისი კომპლექსური გეოლოგიურ-გეოფიზიკური ძებნა-ძიებითი სამუშაოები.

## ლიტერატურა

- აქიმიძე ჭ. (2009). კავკასიონის ქვედა-შუაიურული ფიქლებრივ-ტერიგნული წყებების მეტა-მორფოზმისათვის ალაზანგაღმა კახეთის მაგალითზე. საქართველოს ნაცოლი და გაზ. №23. 35-49გვ.
- Akimidze K. (2004). New Data on Late Pliensbachian-Early Toarcian Basaltic Volcanism in the Riverhead of Alazani. Bull.Georg.Acad. Sci 1970, 3.547-549.
- Akimidze K. (2005). On the Petrography of the Late Plinsbachian-Early Toarcian Subalkaline Basaltic Volcanism of the Riverhead of the Alazani. Bull.Georg.Acad. Sci, 1971, 1. 90-93.
- Белианкин Д. С. (1914). К петрографии Архотского тоннеля//Изв. СПБ Политех. Инст. Т. 21. Вып. 2.
- Беридзе М. А. (1978). Новые данные о раннеюрском вулканизме Центральной Абхазии//Сб Проблемы геологии Грузии. Тр.ГИН АН ГССР. Нов. сер. Вып.59. с.51-60.
- Буадзе В. И., Бенидзе Г. М. и др. (1979). Генетические типы руд и условия их локализации в восточном сегменте Южного склона Большого Кавказа /Вкн. «Вопросы геологии и технологии полезных ископаемых Кавказа». Изд. Сакартвело, с.18-24.
- Буадзе В.И. Бенидзе Г.М. и др. (1979). Условия формирования медно-пирротиново-полиметаллическихrudопроявлений Горной Кахетии (СВ Грузия) в свете геолого-минералогических исследований и изучения изотопного состава серы сульфидов//Вкн. «Материалы по полезным ископаемым Кавказа». Изд. «Ганатлеба». с.5-54.
- Варданянц Л. А. (1932).Очерки геологии реки Дидахи в Кахетии. Изв. Всесоюзного Геол. Общества. Т. 51 Вып.98. с.1-12.
- Дзоцениძე Г.С. (1948). Домиоценовый эфузивный вулканлизм Грузии. А.Н.ГССР, Тб., 407с.
- Прудз М.П. (1979). Магматизм Заалазанской Кахетии. В сб. «Материалы по полезным ископаемым Кавказа». Изд. Ганатлеба. С.267-288.
- Татришвили Н.Ф. (1941). Основные Черты петрографии Верхней Рачи//Сообщ. АН ГССР Т.2. № 4. с.95-99.
- Топчишвили М.В. (1996). Стратиграфия нижнеюрских и аalenских отложений Грузии. Тр. ГИН АН Грузии. Нов. сер. вып.108. 314 с.
- Чихрадзе Г. А. (1976). О литостратиграфии нижне и среднеюрских отложений Заалазанской Кахетии. Сообщ. АН ГССР Т. 82.№3. С.637-640.

UDC 548.52

ცერიუმით აძლივი რეჟიმის მართვის მიზანის და მათი

მონიტორინგის ზოგადი და გათი

ლუმინეცციური თვისებების განსაზღვრა

ა. მიქაელიძე, მ. ჯიბლაძე, ზ. რაზმაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ ალ. ჯანელიძის გეოლოგიის  
ინსტიტუტი. ობილის 0171, მ.ალექსიძის 1/9. ლ-ფოსტა: [amikaberidze@mail.ru](mailto:amikaberidze@mail.ru)

ცერიუმით ლუგირებული ლუტეციუმის თქმითოსილიკატების – LSO:Ce მონოქრისტალების საფუძველზე მიღებული იქნა პერსპექტიული სცინტილაციური მასალები ბირთვული საექტრომეტრისათვის (უ-გამოსხივების დეტექტორები) და პოზიტონ ემისიური ტომოგრაფიისათვის. მონოქრისტალების გაზრდა ხორციელდებოდა ვერტიკალურად და პორიზონტალურად მიმართული კრისტალიზაციის ქეთოდებით (მოდიფიცირებული ბრიჯმენ-სტოკბარგერის მეთოდი). მიღებულ იქნა სხვადასხვა ზომების LSO:Ce მონოქრისტალები. შესწავლილია მიღებული ნიმუშების ლუმინესცენტური მახასიათებლები.

**Growth of the Lutetium Oxyorthosilicate Single Crystals Activated with Cerium and Definition of their Luminescent Properties.** A.Mikaberidze, M.Jibladze, Z.Razmadze. Ministry of Education and Science of Georgia. LEPL Alexandre Janelidze Institute of Geology, 1/9 M.Alexidze str., 0171 Tbilisi, Georgia.  
E-mail: [amikaberidze@mail.ru](mailto:amikaberidze@mail.ru)

Perspective scintillation materials for nuclear spectrometry ( $\gamma$ -radiation detectors) and positron emission tomography was obtained on the basis of the lutetium oxyorthosilicate single crystals doped with cerium – LSO:Ce. Growth of single crystals carried out by the vertically and horizontally directed crystallizations (modified Bridgman-Stockbarger method). LSO:Ce single crystals of various sizes was obtained. Luminescent characteristics of the obtained samples were studied.

**Выращивание активированных церием монокристаллов оксиортосиликатов лютения и определение их люминесцентных свойств. А. Микаберидзе, М. Джиладзе, З. Размадзе.** Министерство просвещения и науки Грузии. ЮЛОП Институт геологии им. А.Джанелидзе, Тбилиси 0171, ул. М. Алексидзе, 1/9, E-mail: [amikaberidze@mail.ru](mailto:amikaberidze@mail.ru)

На основе монокристаллов оксиортосиликатов лютения легированного церием были получены перспективные сцинтилляционные материалы для ядерной спектрометрии (детекторы  $\gamma$ -излучения) и позитронной эмиссионной томографии. Монокристаллы были выращены методами вертикально и горизонтально направленной кристаллизации (модифицированный метод Бриджмена-Стокбаргера). Были получены монокристаллы LSO:Ce разного размера. Изучены люминесцентные свойства полученных образцов.

### Abridged English Version

Perspective scintillation materials for nuclear spectrometry ( $\gamma$ -radiation detectors) and positron emission tomography were obtained on the basis of the lutetium oxyorthosilicate single crystals doped with cerium - LSO:Ce. The most common method for growing crystals of high-melting-point oxide materials is the Czochralski technique. In our case growth of LSO:Ce single crystals was carried out by the vertically and horizontally directed crystallizations (modified Stockbarger-Bridgman method) from the melt, at the 2050 °C melting temperature and in the 0.8 N<sub>2</sub>+0.2 He atmosphere conditions. The raw materials were high purity oxides of lutetium, silicium and cerium.

To determine optimal conditions of LSO:Ce single crystal growth the following parameters were modified: Ce - from 0.1 to 0.25 weight percent; homogenization time from 5 to 8 hours; growth speed - from 0.5 to 2.4 mm/hour; temperature gradient - from 20 to 80 °C/cm; gas pressure - from 1.15 to 1.25  $10^5$  Pa.

Dependence of the single crystal quality from growth speed and temperature gradient has shown that more perfect crystals were obtained in the range of growth speed of 0.6-1.6 mm/h and as the temperature gradient increased the internal stress of growing crystal also increased but decreased number of captured admixtures. LSO:Ce single crystals up to 10x10x10 mm<sup>3</sup> were obtained.

Emission on wavelength of 400 nm of crystals after x-ray and UV irradiation was studied. Differences only in intensity were shown in such spectra (i.e. radioluminescence and photoluminescence spectra).

Luminescence studies on various samples have shown that difference of Ce<sup>3+</sup> emission and excitation spectra for high quality samples is small but for samples with defect high concentration it is more expressed.

X-ray excited Lu<sub>2-x</sub>Ce<sub>x</sub>SiO<sub>5</sub> crystal luminescence intensity dependence on cerium concentration shows maximum for concentrations of x=0.2-0.25 weight %. Farther increase of concentration causes decrease of luminescence intensity due to concentration quenching of luminescence.

Luminescence intensity is decreased as sample thickness increase. The curve width is decreased too, particularly, the short wavelength part of the curve shifts to the long wavelength direction. Shift of long wavelength part of the curve to right is insignificant.

It must be noticed, that our results are coincided with results obtained for LSO:Ce crystals grown by Czochralski technique.

სცინტილაციური მასალები გამოიყენებიან ფიზიკაში 100 წელიწადზე მეტ წანებ. მათი უმეტესობა გამოიყენება გამა (მუ) გამოსხივების მარაგისტრირებელი დეტექტორებისათვის 15-დან 511-მდე კვა ენერგიების არეში ძირითადად იმიტომ, რომ ამ ენერგიების კვანტები შედარებით ადვილად მიიღებიან რენტგენის წყაროების და რადიაქტიური იზოტოპების მეშვეობით. რენტგენისა და ზუ კვანტების რეგისტრაციისათვის სცინტილატორების შერჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რეგისტრაციის ეფექტურობას. ცერიუმით დაგირებული არაორგანული კრისტალური სცინტილატორები, თავიათო თვისებების გამო, პერსპექ-

ტიულია სხვადასხვა სფეროში გამოყენების თვალსაზრისით. მათ შორის გამორჩეული სცინტილაციური თვისებები გააჩნიათ ლუტეციუმის ოქსიორთოსილიკატის  $\text{Lu}_{2-x}\text{Ce}_{xx}\text{SiO}_5$  (LSO:Ce) კრისტალებს. პირველად ეს კრისტალები მიღებულ იქნა კრისტალების ზრდის ჩოხრალსკის მეთოდით (Melcher C.L., 1990). Ce-ით ლეგირებული ლუტეციუმის ოქსიორთოსილიკატის მონოკრისტალები ჩვენს მიერ გაზრდილი იქნა განსხვავებული მეთოდით - ვერტიკალურად და ქორიზონტალურად მიმართული კრისტალიზაციის მეთოდით (მოდიფიცირებული სტრუქტურული მეთოდი) ნადნობიდან, კრისტალიზაციის დანადგარებზე "Граннат-2М" და "Сапфир-2М" (Amaglobeli N.S. et al. 2004, Namtalishvili M.I. et al. 2004). კაზმი მზადდაბოდა მაღალი სისუფთავის ძირითადი და მინარევი მასალების (ლუტეციუმის, სილიციუმისა და ცერიუმის) ოქსიდებისაგან.

LSO:Ce კრისტალების ზრდის ოპტიმალური პირობების განსაზღვრისას იცვლებოდა შემდეგი პარამეტრები: ცერიუმის კონცენტრაცია კაზმში 0,1-0,25 წონ.%; გომოგენიზაციის დრო - 5-8 საათი; კონტინურის გადაადგილების სიჩქარე - 0,5-2,4 მმ/სთ; ტემპერატურული გრადიენტი კრისტალიზაციის საზღვარზე 20-80 გრად/სმ; გაზის წნევა კრისტალიზაციის კამერაში - 1,15-1,25  $10^5$  პა

LSO:Ce-ის უფრო სრულყოფილი კრისტალების მიღების მიზნით იცვლებოდა ვოლფრამ-მოლიბდენის გამახურებლებისა და ეკრანების კონსტრუქცია. LSO:Ce-ის კრისტალების ვერტიკალურად მიმართული კრისტალიზაციის მეთოდით გაზრდისას გამოიყენებოდა მილაკისებური მოლიბდენის გამახურებლის კონსტრუქცია ორი დიაფრაგმით, რაც ტუმპრატურის გრადიენტის რეგულირების საშუალებას იძლეოდა.

მონოკრისტალების ხარისხის ზრდის სიჩქარესა და ტემპერატურის გრადიენტზე დამოკიდებულების შესწავლამ გვიჩვნა, რომ უფრო სრულყოფილი კრისტალები მიღება 0,6-დან 1,6-მდე მმ/სთ ზრდის სიჩქარეების დროს. გამოკვლეულებმა აჩვენა, რომ ტემპერატურული გრადიენტის ზრდისას ზრდად კრისტალებში იზრდება შიგა დაძაბულობა, მაგრამ მცირდება ჩაჭერილი მინარევების რიცხვი. ლუმინესცენციური ანალიზისათვის ნიმუშები მზადდებოდა გაზრდილი კრისტალიდან ერთგვაროვანი ნაწილების ამოქრისა და მექანიკური დამუშავების საშუალებით. ოპტიკური თვისებების გაუმჯობესების მიზნით, ხელობა ნაწილი ამ ნიმუშების გამოწვა ( $\text{Ar}+\text{H}_2$  ნაკადის) აღმდგენ ატმოსფეროში,  $1200\ ^\circ\text{C}$  ტემპერატურის პირობებში 20 საათის განმავლობაში. მიღებულ იქნა LSO:Ce-ის ოპტიკურად სრულყოფილი ნიმუშები დაახლოებით  $10\times 10\times 10$  მმ<sup>3</sup>-ის ზომამდე. პოლირებული სიბრტყეებისათვის.

ლუტეციუმის ოქსიორთოსილიკატი მიეკუთვნება სილიკატებს, რომელთა სტრუქტურაში  $\text{SiO}_4$  ტეტრაედრების კუთვნილი ჟანგბადის იონების გარდა არის ჟანგბადის "თავისუფალი" იონები. ეს "თავისუფალი" იონები დაკავშირებული არის ლუტეციუმის ზოგიერთ იონთან ეწ. "ხიდური" კავშირებით, რომლებიც უფრო მოკლეა, ვიდრე უველა სხვა კავშირები მოცემულ სტრუქტურაში.

ლუტეციუმის ერთი იონის -  $\text{Lu}^{+3}$ -ის გარშემო არის შვიდი ჟანგბადი: მისი კოორდინაციული პოლიედრი შექმნილია ხუთი ჟანგბადით, რომლებიც ეკუთვნიან  $\text{SiO}_4$  ტეტრაედრებს და ორი "თავისუფალი" ჟანგბადით. ლუტეციუმის მეორე იონის  $\text{Lu}^{+2}$ -ის გარშემო იმყოფება ექვსი ჟანგბადი, რომლებიც ქმნიან სახეშეცვლილ ოქტაედრს, ამათგან ოთხი ეკუთვნის ტეტრაედრებს, ხოლო დანარჩენი ორი "თავისუფალი". ამრიგად,  $\text{Lu}^{+1}$ -ისათვის საკორდინაციო რიცხვი ჟანგბადით არის 7, ხოლო  $\text{Lu}^{+2}$ -ისათვის - 6.


როდესაც ხდება LSO-ს ლეგირება ცერიუმით, იგი იკავებს ძირითადი იონების  $\text{Lu}^{+3}$ -ის პოზიციებს  $\text{Ce}^{+3}$ -ის სახით. ვინაიდან LSO-ს სტრუქტურაში ლუტეციუმის იონები იკავებენ ორ სხვადასხვა კრისტალიზაციულ პოზიციას, ცერიუმის იონებსაც ასევე გააჩნიათ ორი პოზიცია, და ამიტომ არსებობს ორი სახის გამოსხივების ცენტრები - C1 და C2 (Andriessen J. et. al. 1994, Merenga H. et. al. 1995). C1 მდგომარეობას უკავშირებენ ჟანგბადის 6 ატომის გარემოცვას, ხოლო Ce2 მდგომარეობას - ჟანგბადის 7 ატომის გარემოცვას.

Ce იონების ენერგეტიკული დონეების გამარტივებული სტრუქტურა შეიცავს აღგზნებულ დონეს 5d, რომელიც ხუთ სახს მოიცავს დაახლოებით 0,35 ევ დაშორებით და ძირითადი მდგომარეობის 4f დუბლებს ( $^2\text{F}_{7/2}$  და  $^2\text{F}_{5/2}$ ) დაშორებით 0,25 ევ.

სურ. 1-ზე მოცემულია ცერიუმის სხვადასხვა კონცენტრაციით ჩანაცვლებული  $\text{Lu}_{2-x}\text{Ce}_x\text{SiO}_5$  კრისტალების გატარების სპექტრი. აქ წარმოდგენილია Ce-ის იონის ძირითადი 4f

მდგომარეობიდან გახდებილ 5d დონეებზე ელექტრონული გადასვლების შესაბამისი შთანთქმის ზოლები. სპექტრი შეიცავს  $Ce^{3+}$ -ის შესაბამის ფართო შთანთქმის ზოლებს პიკებით 260, 295 და 360 ნმ-ზე (გადასვლები 4f $\rightarrow$ 5d). გაზომვებისას  $Ce^{3+}$ -ის მძლავრ შეანოქმასთან დაკავშირებული გაჯერების თავიდან აცილებისათვის ნიმუშის სისქე უნდა 0,1 მმ-ზე ნაკლები იყოს, მაგრამ ასეთი ნიმუშის დამზადება დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული.

გამოკვლეულ იქნა კრისტალების გამოსხივება 400 ნმ ტალღაზე ულტრაიისფერი და რენტგენის სხივებით მათი დასხივების შემდეგ. ჩენ ნიმუშებზე გაზომილ ასეთი სახის სპექტრებში (ე.ი. რადიოლუმინესცენციისა ან ულტრაიისფერი სხივებით აღგზნებისას ფოტოლუმინესცენციისა) არ აღინიშნება რაიმე განსხვავება, გარდა განსხვავებისა ინტენსიონაში.




სურ. 1.  $Lu_{2-x}Ce_xSiO_5$  კრისტალის გატარების სპექტრი ოთახის ტემპერატურაზე. კრისტალის ზომებია  $5X5X1,5$  მმ $^3$ . 1 –  $x=0,2$  წონ. %; 2 –  $x=0,1$  წონ. %.

LSO:Ce-ის სხვადასხვა ნიმუშზე ჩატარებულმა ლუმინესცენციურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ გაზრდილი კრისტალის უფრო სრულყოფილი ნაწილებიდან გამოჭრილი მაღალი ხარისხის ნიმუშებისათვის  $Ce^{3+}$ -ის ემისიისა და აღგზნების სპექტრები მცირედაა განსხვავებული. ხოლო ნიმუშებში, სადაც აღინიშნება დეფექტების უფრო მაღალი კონცენტრაცია,  $Ce^{3+}$ -ის ემისიისა და აღგზნების სპექტრები უფრო მკვეთრად განსხვავდება. სურ. 2 -ზე ნაჩვენებია გაზრდილი კრისტალის დეროს გასწვრივ აღებული სხვადასხვა ნაწილის სპექტრები.  $Ce^{3+}$ -ის ემისიის ზოლი ● = 430 ნმ-ზე მაქსიმუმით, ეტყობა შესაბამება კრისტალში  $Ce^{3+}$  იონის სხვა მდგომარეობებს. კრისტალში არატოლფასოვანი მდგომარეობები, ალბათ, წარმოიქმნება დეფექტების ( $Ce^{3+}$  იონების სხვადასხვა განაწილება, მარცვლების საზღვრების მსგავსი დეფექტები და ა.შ.) სიახლოვეს, რომლებიც კრისტალის ამ ნაწილებშია. ამ დეფექტების მახლობლობაში  $Ce^{3+}$ -ის არატოლფასოვან ცენტრებზე შესაძლებელია იმოქმედოს შეცვლილმა ლოკალურმა კრისტალურმა ველმა, რის შედეგაც შესაძლებელია რომ წარმოიქმნას სხვადასხვა მდგომარეობები და მოხდეს  $Ce^{3+}$ -ის 5d ენერგეტიკული დონეების გახდება.

კრისტალების დასხივება ხდებოდა დაბალი წნევის ვერცხლისწყლის ნათურის ულტრაიისფერი გამოსხივებით ან რენტგენის სხივებით. ამ შემთხვევაში ნიმუშები თავსდებოდა სპილენბის ანტიკათოლიკის (35 კვ, 10 მა) რენტგენის მილაპის ფანჯრის უშუალო სიახლოვეში. კრისტალების დასხივება ხდებოდა ოთახის ტემპერატურის პირობებში. რის-

ტალს ეცემოდა  $10^3$  ევ-ის ტოლი ენერგია წამში. რენტგენის სხივები შთაინთქმება ნიმუშის ზედა თხელი ფენის მიერ.

ლუმინესცენციის რეგისტრაცია მიმდინარეობდა მოდულაციური მეთოდის გამოყენებით სინქრონულ დეტექტირებასთან ერთად.



სურ. 2. ახლადგაზრდილი  $\text{Lu}_{2-x}\text{Ce}_x\text{SiO}_5$  ( $x=0,5$  წონ. %)

კრისტალური ზოდის ცენტრალური (მრუდები 1, 3) და პერიფერიული (მრუდები 2, 4) ნაწილებიდან ამოჭრილი ფირფიტების აღგზებისა (მრუდები 1, 2) და გამოსხივების (მრუდები 3, 4) სპექტრი ოთახის ტემპერატურაზე. კრისტალების სისქეა 2 მმ. ემისიის სპექტრი მიღებულია როდესაც აღგზება ხდება  $\lambda_{\text{დ}}=350$  ნმ., ხოლო აღგზების კი  $\lambda_{\text{გ}}=420$  ნმ გაზომვისას.


რენტგენის სხივებით აღმრული  $\text{Lu}_{2-x}\text{Ce}_x\text{SiO}_5$  კრისტალების ლუმინესცენციის ინტენსიფიციის ცერიუმის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების შესწავლისას  $x=0,2-0,25$  წონ. % -ის შემთხვევაში დაიმზირება ინტენსივობის მაქსიმუმი. კონცენტრაციის შემდგომი ზრდა ამცირებს ლუმინესცენციის ინტენსივობას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იწყება ლუმინესცენციის კონცენტრაციული ჩაქრობა. ასევე იცვლება ლუმინესცენციის ინტენსივობა  $\text{Lu}_{2-x}\text{Ce}_x\text{SiO}_5$  ( $x=0,2$  წონ. %) კრისტალების სხვადასხვა აირის ატმოსფეროში გამოწვის შემდეგ. სურ. 3-ზე მოცემულია რენტგენის სხივებით გამოწვეული  $\text{LSO:Ce}$  კრისტალების ლუმინესცენციის ინტენსივობის დამოკიდებულება ნადნობში ცერიუმის კონცენტრაციაზე (წონით %-ში) გამოწვამდე და აირის სხვადასხვა ატმოსფეროში გამოწვის შემდეგ.  $0,9 \text{ Ar} + 0,1 \text{ H}_2$  ატმოსფეროში გამოწვის შემდეგ ინტენსივობა დაახლოებით ორჯერ იზრდება საწყის მდგომარეობასთან შედარებით. დამატებითი გამოწვის შედეგად  $\text{O}_2$  ატმოსფეროში კი ინტენსივობა ნაკლებია საწყის მდგომარეობაში დაფიქსირებული ლუმინესცენციის ინტენსივობაზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გამოწვის შედეგად  $\text{O}_2$  ატმოსფეროში მკვეთრად მცირდება კრისტალში აღძრული ლუმინესცენციის ცენტრები.

ჩვენს მიერ შესწავლილი იყო  $\text{Lu}_{2-x}\text{Ce}_x\text{SiO}_5$  ( $x=0,2$  წონ. %) კრისტალების ერთი და იგივე ზოდიდან გამოჭრილი სხვადასხვა სისქის ნიმუშების ლუმინესცენციის სპექტრი რენტგენის სხივებით დასხივებისას.


შედეგები მოცემულია სურ. 4-ზე. ნიმუშის სისქის გაზრდა ამცირებს ლუმინესცენციის ინტენსივობას. ასევე მცირდება მრუდის პიკის სიგანგ. კერძოდ, მრუდის მოკლებალ-

დოვანი ნაწილი ინაცვლებს გრძელი ტალღების მხარეს. მრუდის გრძელტალღოვანი ნაწილიც ინაცვლებს მარჯვნივ, მაგრამ ეს წანაცვლება უმნიშვნელოა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი შედეგები თავსებადია მონაცემებთან, სადაც გაზომვები ჩატარებულია ჩოხრალსკის მეთოდით გაზრდილ LSO:Ce ნიმუშებზე.



სურ. 3. რენტგენის სხივებით გამოწვეული LSO:Ce კრისტალების ლუმინესცენციის ინტენსივობის დამოკიდებულება ნადნობში ცერიუმის კონცენტრაციაზე (%-ში) გამოწვდე და აირის სხადასხვა ატმოსფეროში გამოწვამდე; 1 – კრისტალების აირის სხვადასხვა ატმოსფეროში გამოწვამდე; 2 – 0,9 Ar + 0,1 H<sub>2</sub> ატმოსფეროში გამოწვის შემდეგ; 3 - 0,9 Ar + 0,1 H<sub>2</sub> ატმოსფეროში გამოწვის შემდეგ კიდევ დამატებით O<sub>2</sub> ატმოსფეროში გამოწვის შემდეგ



სურ. 4. Lu<sub>2-x</sub> Ce<sub>x</sub> SiO<sub>5</sub> (x=0,2 ჭო.%) მონოკრისტალის ოთახის ტემპერატურაზე ლუმინესცენციის ინტენსივობის დამოკიდებულება ნიმუშის სისქეზე გამოსხივების სხვადასხვა ტალღისთვის.

1 – ლუმინესცენცია 380 ნმ-ზე; 2 – ლუმინესცენცია 400 ნმ-ზე; 3 – ლუმინესცენცია 420 ნმ-ზე.

## ლიტერატურა

- Amaglobeli N.S., Namtalishvili M.I., Mikaberidze A.A., Nakaidze Sh.G., Jibladze M.I., Gabeskiria M.A., Razmadze Z.G. and Tsotskhalishvili N.V. (2004). Growth of the Scintillating Single Crystals of LSO:Ce by the Bridgman-Stockbarger Method //Georgian Engineering News, №2, pp.71-74.
- Namtalishvili M., Sanadze T., Basharuli N., Magalashvili P., Mikaberidze A., Razmadze Z., Gabeskiria M. (2006). Growth of Ce-Doped LSO Single Crystals by Stockbarger-Bridgman Modified Crystallization Method //Bull. Georg. Natl. Acad. Sc. V.174, N1. P.65-67
- Andriessen J., Dorenbos P., van Eijk C.W.E. (1994). Calculation of energy levels of cerium in inorganic scintillator crystals//Mat. Res. Soc. Symp. Pros. 348. P.355.
- Merenga H., Andriessen J., van Eijk C.W.E. (1995). Positions of 4f and 5d energy levels of Ce<sup>3+</sup> in the bandgap of CeF<sub>3</sub>, YAG, and LSO. Radiat. Meas. 24. P. 343.
- Melcher C. L. (1991). Lutetium orthosilicate single crystal scintillator detector. U.S. Patent No. 4.958.080. (1990) and 5.025.151 (1991).

UDC 552.3+550.42

## პლიტის გაბრო-დიორიტული ორთოგნეისების პეტროგნიზია და გეომიზია (გავპასონი)

### ა. ვარდანაშვილი, ნ. მაისურაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ ალ. ჯანელიძის გეოლოგიის  
ინსტიტუტი. თბილისი 0171, მ.ალექსიძის 1/9. ელ. ფოსტა: [gristinav@yahoo.com](mailto:gristinav@yahoo.com)

კლიჩის ინტრუზივის შედგენილობა მერყეობს გაბრო-დიორიტულიდან კვარციან დიორიტებამდე და შეესაბამება სუსტადიოფერენცირებულ დაბალკალიუმიან სერიას, ხასიათდება K<sub>2</sub>O\Na<sub>2</sub>O ფარდობის დაბალი მნიშვნელობით. რიგი ნიშნით ინტრუზივი ფორმირებულია მცირე სიღრმეზე, ლითოსფეროს ნაოჭა სისტემების ენსიმატურ ზონაში, ხოლო სხვა ნიშნებით დეპლეტირებული მანგიის ზედა ნაწილში.

**Petrochemistry and Geochemistry of Klich Gabbro-dioritic Orthogneisses (The Greater Caucasus).** Q.Vardanashvili, N.Maisuradze. Ministry of Education and Science of Georgia, LEPL Alexandre Janelidze Institute of Geology, 1/9 M. Alexidze str., 0171 Tbilisi, Georgia. E-mail: [gristinav@yahoo.com](mailto:gristinav@yahoo.com)

The composition of the Klich intrusive varies from gabbro-diorites to quartz-diorites and corresponds to weakly differentiated low potassium series; it is characterized by low K<sub>2</sub>O\Na<sub>2</sub>O ratios. According to some features the intrusive is formed at a little depth, in the ensimatic zone of the fold systems of the lithosphere, but by other features it is formed in the upper part of the depleted mantle.

**Петро- и геохимия габбро-диоритовых ортогнеисов р. Клыч (Большой Кавказ). К. Г. Варданашвили, Н.И. Maisuradze.** Министерство просвещения и науки Грузии, ЮЛОП Институт геологии им. А. Джанелидзе, Тбилиси 0171, ул. М.Алексидзе, 1/9. E-mail: [gristinav@yahoo.com](mailto:gristinav@yahoo.com)

Состав Клычского интрузива меняется от габбро-диорита до кварцевого диорита и соответствует слабодифференцированной, низкокалиевои серии, характеризуется низким соотношением K<sub>2</sub>O\Na<sub>2</sub>O. По некоторым признакам интрузив формировался на малой глубине в энсиматической зоне складчатых систем литосфера, а другими признаками - в верхней части деплетированной мантии.

### Abridged English Version

The Klich gabbro-dioritic intrusive participates in the make-up of the crystalline core of the Greater Caucasus and is exposed in the limits of the Pass subzone of the Main Range zone. The exposure of the intrusive is fixed in the eastern part of mountainous Apkhazeti, in headwaters of the river Kodori, covering about 10km<sup>2</sup> (Fig.1). According to different authors the intrusive is represented by "eye-shaped" biotite-hornblende bearing and biotitic orthogneisses (Somin, 1971), or by gabbros and gabbrodioritic orthogneisses

(Javakhishvili, 1979). According to our data, the most widespread among the rocks composing the Klich intrusive are hornblende bearing and weakly biotitized gneissose diorites, and relatively less spread are their last marginal members – gabbros and especially quartz-diorites. The rocks including the intrusive are represented by the rocks of Gwandra suite of Buulgen series, which underwent regional metamorphism corresponding to the staurolite facies connected with the Late Baikalian orogenic cycle. In the Late Paleozoic time, the Gwandra suite rocks together with the rocks composing the Klich intrusive, underwent prograde regional metamorphism connected with the Bretonian phase of the Variscan orogeny, which corresponds to the andalusite-sillimanite pressure type and temperature conditions of biotite-muscovite bearing gneissic facies (Shengelia, Ketskhoveli, 1982; Shengelia, 2000). Moreover, in the contact zone of the Klich intrusive and the enclosing metapelitic crystalline schist the products of contact metamorphism, massive metamorphic rocks - felses are spread. U-Pb zircon age of quartz-dioritic orthogneisses yielded 320 Ma (Bibikova et al., 1991). M.Somin considers this age to be the age of crystallization of magmatic protolith of orthogneisses (Petrology of Metamorphic..., 1991) and thinks that the formation of the Klich intrusive formed during the Sudetian orogeny. According to this author, the Klich orthogneisses are of mantle origin. I.Gamkrelidze and D.Shengelia connect forming of the Klich intrusive with the beginning of the Bretonian phase.

As mentioned above, Klich gabbrodioritic intrusive is more or less studied, but from the petrochemical and geochemical viewpoint, it required further researches. Below are given recent data obtained by the authors of the paper; based on these and already existing data diagrams (Fig. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 and 9) are drawn and done their interpretations.

According to  $K_2O/Na_2O - SiO_2$  diagram (Fig. 2) figurative points of the Klich gabbro-dioritic intrusive are disposed in Na-, K-Na- and Na-MORB series. In  $FeO^*/MgO-SiO_2$  and AFM diagrams (Fig. 3) they occupy the calc-alkaline and tholeiitic fields, but in  $Na_2O+K_2O - SiO_2$  diagram (Fig. 4) they correspond to the calc-alkaline series only.

According to ACM and AFM binary diagram (Fig. 5) figurative points of the studied rocks arranged predominantly near the fields of MAR and basic cumulates and in  $Ti/Cr-Ni$  diagrams they occupy a IAT field (Fig. 6).

In  $Ce/Pb-Ce, Sm/Yb-Ce/Sm$  diagrams the figurative points indicating the rocks composing the Klich intrusive occupied the MORB, IOB and MORB+IOB fields. According to  $Th/Y-Nb/Y, Th/Yb - Ta/Yb$  and  $La/Nb-Ti$  diagrams their content corresponds to the MORB. In the  $Th/Yb-Nb/Yb$  diagram the points are distributed in the area of the depleted mantle, but in the  $Rb/Y-Nb/Y$  diagram they correspond to the middle and lower crust formations (see Fig. 9).

Spider diagrams of the Klich gabbrodioritic intrusive rocks are characterized by low angle of inclination and positive Eu minima (Fig.10) that is indicative of typical mid-acidic rocks.

Thus, from petrochemical and geochemical study of the Klich gabbrodiorite gneisses it has been established that composition of the intrusive:

1. varies between gabbrodiorites and quartz diorites;
2. corresponds to weakly differentiated low potassium series;
3. is characterized by low ratio of  $K_2O/Na_2O$ .

It should be noted that, according to some features the intrusive belongs to the shallow magmatic chambers being formed in the ensimatic zone of lithosphere fold systems, but by other signs they are similar to the magmatites generated in the upper part of the depleted mantle.

კლიჩის გაბრო-დიორიტული ინტრუზივი მონაჟილეობს კავკასიონის კრისტალური გულის აგებულებაში და შიშვლდება მთავარი ქედის ზონის საუდელტენილო ქვეზონის ფარგლებში. ინტრუზივის გამოსავალი დაფიქსირებულია მთიანი აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. კოდორის სათავეებში, დაახლოებით 10 კმ<sup>2</sup>-ზე (ნახ.1). სხვადასხვა ავტორის მიხედვით, ინტრუზივი წარმოადგენილია „თვალისებრი“ ბიოტიტ-რქატყუარიანი და ბიოტიტიანი ორთოგნეისებით (Сомин, 1971), ან გაბროებით და გაბრო-დიორიტული გნესიებით (Джавахишвили, 1970). ჩვენი მონაცემებით, კლიჩის ინტრუზივის შემადგენელ ქანებს შორის შემადგენელ ფართო გავრცელებით სარგებლობს რქატყუარიანი და სუსტად გაბიოტიტებული დაგნეისებული დიორიტები, ხოლო შედარებით დამორჩილებულ რაოდენობითაა გავრცე-

\* Analytic definition of RE and REE was performed in NERC ICP-MS laboratory of Kingston University (UK) and Earth Science Department of National Taiwan University.

ლებული მათი უკიდურესი წარმომადგენლები – გაბროები და, განსაკუთრებით, კვარციანი დიორიტები. ინტრუზივის შემცავ ქანებს წარმოადგენს ბუჟლების სერიის გვანდრის წყების ქანები, რომლებმაც ადრეპალეოზოურ დროში განიცადა გვიანდაიკალურ ოროგენულ ციკლთან დაკავშირებული სტავროლიტური ფაციესის შესაბამისი რეგიონული მეტამორფიზმი. გვიანპალეოზოურ დროში გვანდრის წყების ქანებმა, უკვე კლინის ინტრუზივის შემადგენელ ქანებთან ერთად, განიცადა გარისკული ოროგენეზის ბრეტონულ ოროფაზასთან დაკავშირებული პროგრადული რეგიონული მეტამორფიზმი, რომელიც შეესაბამება ანდალუზიტ-სილიმანიტურ ბარულ ტიპს და ბიოტიტიან-მუსკოვიტიანი გნეისების ფაციესის ტემპერატურულ პირობებს (Шенгелиა, ქეცხოველი, 1982; Шенгелиა, 2000). გარდა ამისა, კლინის ინტრუზივისა და შემცველი მეტაკლიტური კრისტალური ფიქლების შეხების ზონაში აღინიშნება კონტაქტური მეტამორფიზმის პროდუქტების, მასიური მეტამორფული ქანების – ცელსების გავრცელება.

კვარციანი დიორიტული ოროგენების დათარიღებულია ცირკონების მიხედვით (UPb მეთოდი) და მიღებულია კონკორდანტული ასაკი 320 მლნ. წელი (Бибикова и др., 1991). ამ ასაკს მიიჩნევს მსომიერი ოროგენების მაგმური პროტოლიტის კრისტალიზაციის ასაკად (Петрология метаморфических..., 1991) და თვლის, რომ კლინის ინტრუზივის ჩამოყალიბება დანაოჭების სუდეტური ოროფაზის თანადროულია. ამავე ავტორის აზრით, კლინის ოროგენების მანგიური წარმოშობისაა. ე. გამყრელიძისა და დ. შენგელიას (Гамкрелидзе, Шенгелиა, 2005) მიხედვით, კლინის ინტრუზივის ფორმირება უკავშირდება დანაოჭების ბრეტონულ ფაზისს დასაწყისს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კლინის გაბრო-დიორიტული ინტრუზივი მეტ-ნაკლებად შესწავლილია, მაგრამ პეტროქიმიური და გეოქიმიური თვალსაზრისით იგი დამატებით შესწავლას საჭიროებდა. ქვემოთ მოყვნილია ავტორთა მიერ მიღებული ახალი მონაცემები (ცხრ. 1-2)\* და ამ და უკვე არსებული მასალის საფუძვლზე აგებული დიაგრამები (სურ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9) და მათი ინტერპრეტაცია.

როგორც  $K_2O/Na_2O - SiO_2$  დიაგრამიდან ჩანს (სურ. 2) კლინის გაბრო-დიორიტული ინტრუზივის აღმნიშვნელი ფიგურატული წერტილები  $Na$ -,  $K-Na$ - და  $Na$  -MORB სერიებში განლაგდა.  $FeO^*/MgO-SiO_2$  და AFM დიაგრამებზე (სურ. 3) ისინი კირ-ტუტე და ტოლეიტურ ველებში თავსდება, ხოლო  $Na_2O+K_2O - SiO_2$  დიაგრამაზე (სურ. 4) – მხოლოდ კირ-ტუტე სერიას შეესაბამება.

ACM და AFM ორმაგ დიაგრამაზე (სურ. 5) შესწავლილი ქანების ფიგურატული წერტილები ძირითადად MAR-ის და ფუძე კუმულატების ველების მახლობლად განლაგდა,  $Ti/Cr-Ni$  დიაგრამაზე კი – IAT-ის ველში (სურ. 6).  $TiO_2-K_2O$  და  $TiO_2 - FeO^*/MgO$  დიაგრამების მიხედვით (სურ. 7, 8), კლინის გაბრო-დიორიტული ინტრუზივის შედგენილობა კუნძულთა რკალების ბაზალტებს უპასუხებს.


$Ce/Pb-Ce$ ,  $Sm/yb-Ce/Sm$ ,  $Nb/Th-Nb$  დიაგრამების მიხედვით კლინის ინტრუზივის ამგები ქანების აღმნიშვნელი ფუგურატული წერტილები MORB, IOB და MORB+OIB ველებში განთავსდა.  $Th/Y - Nb/Y$ ,  $Th/Yb-Ta/Yb$  და  $La/Nb-Ti$  დიაგრამების მიხედვით კი მათი შედგენილობა შეესაბამება MORB.  $Th/Yb-Nb/Yb$  დიაგრამაზე წერტილები დეპლეტირებული მანგის ველში განლაგდა, ხოლო  $Rb/Y-Nb/Y$  მიხედვით კი – შეა და ქვედა ქრქულ წარმონაქმნებს უპასუხებს, (იხ. სურ. 9).

კლინის გაბრო-დიორიტული ინტრუზული ქანების სპაიდერგრამები ხასიათდება დახრის მცირე კუთხით და დადგებითი Eu-ის მინიმუმებით (სურ. 10), რაც ტიპიური საშუალო მჟავიანობის ქანებისთვისაა დამახასიათებელი.

ამგვარად, კლინის გაბრო-დიორიტული ოროგენების პეტროქიმიური და გეოქიმიური შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ინტრუზივის შედგენილობა:

1. მერყეობს გაბრო-დიორიტებსა და კვარციან დიორიტებს შორის;
2. შეესაბამება სუსტადდიფერენცირებულ დაბალკალიუმიან სერიას;
3. ხასიათდება  $K_2O/Na_2O$  დაბალი შეფარდებით;

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რიგი ნიშნით ინტრუზივი მიეკუთვნება მცირესიღრმულ მაგმურ კერებს, რომელთა ფორმირება ხდება ლითოსფეროს ნაოჭა სისტემების ენსიმატურ ზონაში, ხოლო სხვა ნიშნებით იგი მსგავსია დეპლეტირებული მანგის ზედა ნაწილში გენერირებული მაგმატიტებისა.



სურ. 1. კავკასიონის მთავარი ქედის სქემატური გეოლოგიური რუკის ფრაგმენტი (გ. ჭიჭინაძის გამოუქვეყნებელი მონაცემების მიხედვით და აგტორების დამატებით)

1-თანამედროვე მყინვარები და მეოთხეული ნალექები; 2-ქვედაიურული თიხა-ფიქლები და ქვიშაქვები; 3-6 - ზედაპალეოზოურამდელი მეტამორფული კომპლექსების ბულგენის სერია: 3-სისინის წყება, 4-კლინის წყება, 5-გვანდრის წყება; 6-იალბუზის ქვეზონის ინფრასტრუქტურის მიგმატიტები; მაგ-მური ქანები: 7-შუაიურული დიაბაზები და დიაბაზ-აროფირიტები; გვიანვარის სეული კომპლექსი: 8-ორქარსიანი და ბიოტიტიანი გრანიტები; 9-პლაგიოგრანიტები; 10-ბიოტიტიანი და ბიოტიტიან-რქა-ტყუარიანი კვარციანი დიორიტები, პლაგიოგრანიტები, პლაგიოგრანიტიორიტები; 11-კლინის გაბრო-დიორიტული ორთოგნეისები (ადრებრეტონული?); 12-შეცოცება, 13-რდვევები, 14-ქანების წლილის ელემენტები.

### ცხრილი 1


კლინის ინტრუზივის გაბრო-დიორიტული ორთოგნეისების  
ქიმიური შედგენილობა (მას.-%-ში)

N	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO	MnO	MgO	CaO	Na <sub>2</sub> O	K <sub>2</sub> O	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	TOTAL
K-2	54.87	1.11	16.92	9.91	0.15	4.46	5.67	2.31	2.51	0.64	98.56
K-13	57.59	0.86	17.17	6.66	0.10	3.80	5.84	2.04	3.84	0.19	98.96
K-14	49.75	1.11	20.57	9.80	0.14	5.02	8.50	3.12	0.69	0.27	98.96
K-20	56.97	1.05	17.53	9.32	0.15	3.80	6.43	2.45	1.40	0.26	99.96
515	48.55	0.21	20.19	5.29	0.09	8.26	14.38	1.52	0.21	0.02	100.32
527	49,60	1,02	20,74	8,91	0,10	5,10	9,45	2,60	0,45	0,25	99,50
